ანდრე შედიდი

ნეფერტიტი
და ეხნატონის ოცნება

ნეფერტიტი
და ეხნატონის ოცნება

ანდრე შედიდი

NEFERTITI
ET LE RÊVE D'AKHNATON

Andrée Chedid

„წიგნი გამოიცა მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა, თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრისა და საფრანგეთის კულტურის სამინისტროს -- წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით"

Ouvrage réalisé dans le cadre du programme d'aide à la publication Mérab Mamardachvili avec le soutien du Ministère français des affaires Etrangères, de l'Ambassade de France en Géorgie et du Centre culturel français Alexandre Dumas de Tbilissi et avec le concours du Ministère français chargé de la Culture - Centre national du livre

მთარგმნელი
ლია რუხაძე
რედაქტორი
ლალი ქადაგიძე
დიზაინერი
გიორგი ტაბლიაშვილი
დამკაბადონებლები
ნინო გურული

© 1988, FLAMMARION, Paris pour cette édition
© 2006, გამომცემლობა „დიოგენე"

პირველი ქართული გამოცემა 2006
ყველა უფლება დაცულია

ISBN 99940-45-39-3

გამომცემლობა „დიოგენე" თბილისი 0179, კეკელიძის ქ. 6
ტელეფონი 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71
www.diogene.ge


ევფრატი
კვიპროსი
ხმელთაშუა ზღვა
ბიბლოსი
პალესტინა
ალექსანდრია
ჰელიოპოლისი
მემფისი
არაბეთი
თელ-ელ-ამარნა
(ახეტატონი)
აბიდოსი
თებე
(კარნაკი და ლუქსორი)
ლიბია
ასუანი
1-ლი ჩანჩქერი
ნილოსი
მენამული ზღვა
მე-2 ჩანჩქერი
ნუბია
მე-3 ჩანჩქერი
მე-4 ჩანჩქერი
სახელმწიფოს საზღვარი თუთმოს III-ის დროს

ალის და როჟე გოდელებს

მიშელ და ჟან-ლუკ კოლცებს

იმედის ქალაქის დაარსება

1369 წ. ქრისტეშობამდე

ადგილი, რომელიც ფარაონმა ამენოფის IV-მ (ეხნატონმა) და მისმა მეუღლემ ნეფერტიტიმ აირჩიეს თავიანთი ახალი დედაქალაქის – იმედის ქალაქის (ახლანდელი თელ-ელ-ამარნას) ასაშენებლად, მემფისსა (კაირო) და თებეს (ლუქსორი) შორისაა, ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე. აქ ციცაბო სანაპირო კლდეები მდინარეს შორდება და ნაყოფიერი მიწის ვრცელ ნახევარწრეს შემოხაზავს, რომელიც სიგრძეში თორმეტ კილომეტრს მოითვლის, სიგანე კი ხუთამდეა. ამ რიყის განაპირა კლდეებში გამოკვეთილი სტელები, რომლებიც ქალაქს ზღვარს უდებენ, მისი დაარსების ამბავს გვამცნობენ:

„ეს ადგილი არავის ეკუთვნის; ის არც სამეფო სამკვიდროა და არც ღვთის საუფლო, ის ყველასია... მიწა აქ სიხარულს შობს, გულები ბედნიერებით აღივსებიან".

იმედის ქალაქის დანგრევა

1347 წ. ქრისტეშობამდე

როგორც კი მხედართმთავარმა ჰორემჰებმა ძალაუფლება ხელთ იგდო და ძველ დედაქალაქში – თებეში აღსაყდრდა, არ დაახანა, რომ მთელი სიძულვილი, რასაც ის ეხნატონის, ნეფერტიტისა და მათი გარემოცვისადმი გრძნობდა, სრულად გადმოენთხია. ათასობით კაცი გაგზავნა იმედის ქალაქის დასანგრევად. მათ წაბილწეს საფლავები, მიწასთან გაასწორეს შენობები, მხეცურად ამოამტვრიეს კედლებზე ეხნატონისა და ნეფერტიტის სახელები.

ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა ქალაქის აღდგენაზე. იქ შემორჩენილი მცხოვრებნი უკვე თავად მონაწილეობდნენ საკუთარი სახლების ნგრევაში. იავარქმნილი ქალაქის ნანგრევებზეც კი დუღაბის სქელი ფენა მოასხეს, თითქოს ეშინოდათ, ამ არემარეში რაღაც სნეულებაა ჩაბუდებული და კვლავ არ იფეთქოსო.

ვერც ერთი ნაგებობა ვერ გადაურჩა ნგრევას თვინიერ ზემო სასახლისა, სადაც დედოფალმა ნეფერტიტიმ, მთელი ამ ველური განადგურების მოწმემ, თავი შეაფარა თავის მემატიანე ბუბასტოსთან ერთად.

I

მე, ბუბასტოს ამენოს ძეს და მისგანვე განსწავლულ კალმოსანს, შესაფარი რომ ვპოვე დედოფალ ნეფერტიტისთან ჩრდილოეთ სასახლეში, პატივი მაქვს, სრულად აღვნუსხო ყველაფერი, რასაც დედოფალი მიკარნახებს და რაც ჩემს მეხსიერებას შემოუნახავს. ჩვენ აქ ორნი ვართ, გარიყულნი ქალაქის განაპირას, უფრო კი იმისა, რაც ქალაქისგან შთენილა.

მხედართმთავარმა ჰორემჰებმა, რომელიც სამი წელია, განაგებს ეგვიპტეს, ბრძანა, ბოლო მოეღოს ეხნატონის ოცნების ქალაქს. აღგვილი პირისაგან მიწისა, იგი ქვების გროვაა ოდენ, ლოდების ნამსხვრევებია.

შევუდგები თხრობას.

ახლა წელიწადის პირველი სეზონია, წყალდიდობის პირველი თვე... აი ნეფერტიტი, ფანჯრისკენ ზურგით ზის, მე კი მის პირდაპირ, ოთახის კუთხეში, ჩავცუცქულვარ, ვცდილობ, კედელს შევერწყა, გავუჩინარდე. მისი სიტყვები ბაგეს რომ მოსწყდნენ, ამ ხმამ ჩვენ შორის სივრცე რომ გააპოს და ჩემს ყურებამდე მოაღწიოს, დედოფლის ირგვლივ სრული სიცარიელე, იდუმალება უნდა სუფევდეს.

თავად აღარ ვარსებობ. ჩემგან შთენილა ოდენ ორი თითი, შავ მელანში ამოწებულ ლერწამს მოჭიდებული, ორი თითი, რომლებიც დიდი ხნით ჩაგუბებული, ამო-

უთქმელი სიტყვების მოლოდინში არიან, რომ ისინი, ნიშნებად ქცეულნი, პაპირუსზე გადაიტანონ.

ვინღა ვარ? საცოდავი, მწერალთა შორის უკანასკნელი. სიბერისგან მუცელზე ქონი დამდებია. თვალებში ძლივს ვიყურები. განგებამ იმდენად მწირი ნიჭი მარგუნა, რომ ამენომ – მამაჩემმა და ჩემმა მოძღვარმა – იმთავითვე გადიწურა იმედი, რომ რაიმე ღირსეულ ადგილს დავიკავებდი. თუმცაღა სწორედ მე მხვდა წილად, შემოვუნახო შთამომავლობას ამბავი იმედის ქალაქისა. მე ვიტვირთე, ჩავწერო, ავუწერო მოგზაურთ, ზღვით თუ ხმელეთით მოსულთ, ახლა თუ მომავალში, ათასგვარი შორეული ქვეყნიდან, ეხნატონის და ნეფერტიტის უჩვეულო ამბავი, რათა ეს ამბავი, ძველი, მაგრამ ესოდენ მახლობელი კაცთათვის, არ დაიკარგოს, ფურცლიდან ფურცელზე გადაიტანონ, გადაწერონ თუ გადათარგმნონ და თაობიდან თაობას გადასცენ. ყოველი საუკუნე თავის დაღს დაასვამს მას, მისთვის დამახასიათებელი გამოთქმებით შეალამაზებს, მაგრამ დიდად აღარ მადარდებს, ამ გრძელ გზაზე ამბავმა ჭეშმარიტებას რომც გადაუხვიოს, რადგან მჯერა, რომ მისი გამოძახილი მაინც დარჩება, იმედის გამოძახილი, რომელსაც ყველა გაიგონებს ყველგან.

ვწერ, რათა ამ ნაწერმა, გამოვლილმა ჩემს ხელში, შემდეგ სხვისაში და კიდევ რამდენის ხელში, თვალი მოგტაცოს, ჩემო მკითხველო, და გულზე მოგხვდეს, რომელ ხანაშიც უნდა ცხოვრობდე.

შევყურებ ნეფერტიტის, მთელი დღეა კვალში ვუდგავარ, ველი, მისგან რაიმე გავიგონო. იმდენად

მძაფრია განცდა გადატანილისა, რომ სულის სიღრმემდე მწვდება.

ზოგჯერ განვლილი ცხოვრება ლოდივით აწვება გულზე, სული ეხუთება მისი სიმძიმის ქვეშ, ველარ ახერხებს, სიტყვა იპოვოს ამოსათქმელი. მაშინ, კაეშანი რომ განვუქარვო, როკვას ვიწყებ დაირაზე და ებანზე დავამღერებ ხოლმე. ვცდილობ, როგორმე ვასიამოვნო, ყოველ ღონეს ვხმარობ, გავართო, რასაც მეტნილად ვახერხებ კიდეც.

ჟამითჟამს დედოფალი ცარიელ ოთახებში დაეხეტება, ან კიდევ განთიადისას უდაბნოსკენ მიმავალ გზას დაადგება. თქმა არ მჭირდება, ვხვდები, რომ მარტო ყოფნა სურს. მეც აქ ვრჩები, ველოდები კიბეზე ან ჩვენი სახლის წინ ბებერი სიკომორის ჩრდილში ჩამომჯდარი. ავუშვებ ხოლმე თხას და ისიც დახტის ჩემ გარშემო, სახეს მილოკავს. როდესაც უბედურება დაგვატყდა თავს და ქალაქი ინგრეოდა, ჩემი მაიმუნი სენბი დავკარგე. გული დამეწვა.

ამ პაპირუსის გრაგნილზე დედოფლის სიტყვებს შორის ჩემი მოგონებებიც გამოერევა ხოლმე. დაარსებიდან მის უკანასკნელ დღემდე მე ამ ქალაქში ვიცხოვრე, მაგრამ სადღაც მიღმა, ჩრდილში მდგომმა, იქ, სადაც თავად მერჩია, სადაც, ვგონებ, ჩემი თავისუფალი და, შესაბამისად, უტყუარი ხედვა უკეთ განსჭვრეტდა მოვლენებს, ვიდრე მათი შემოქმედნი.

საღამოა. ნეფერტიტი ფანჯარასთან ზის. მის ზურგსუკან წყალსავსე ნილოსი ისე მოაგორებს ზვირთებს, ლამის კალაპოტიდან გადმოვიდეს. ფრინველების გადაფრენის სეზონია. მაღლა სერავენ ზეცას,

მერე ოდნავ დაბლა ეშვებიან და ნაპირებს მიჰყვებიან.

დედოფალს სახეზე ეტყობა, რომ ფიქრებით სადღაც შორს არის. მომშტერებია, მაგრამ ვერ მხედავს. რომ არ გავწყვიტო მის ფიქრთა ძაფი, ჩემი კალამი ოდნავ ეხება თეთრ ფურცელს, არ წრიპინებს. ჩემი ხელის მოძრაობა თითქმის შეუმჩნეველია, გამოყვანილი ნიშნები სულ უფრო და უფრო წაგრძელებული.

დრო თითქოს გაჩერდა. სიჩუმე ჩამოწვა. ცოტა ხნით წერასაც ვწყვეტ, რათა ეს მდუმარება არ დავარღვიო. ბოლოს ნეფერტიტიმ თავი მიაბრუნა და დიდხანს უყურებდა, როგორ ბინდდებოდა. მიწის და ცის შესაყარს ცეცხლი ეკიდა. მერე ერთბაშად ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა.

დედოფალი წამოდგა, მთელი ტანით წამოიმართა და, სანამ ყელმოღერებული, ნელი ნაბიჯით გაემართებოდა აივნისაკენ, წამით შეყოვნდა. ის დინჯად, ძალიან დინჯად მიიწევს წინ. ამ საღამოს, სანამ ისევ გაივლის თავისი წარსულის გზას, მან ღრმა და უხილავი უფსკრული უნდა გადალახოს. ზურგი მაქცია, ვერ მხედავს, მაგრამ იცის, ჩუმად მივყვები, რათა მის მახლობლად, აივნის ერთ კუთხეში, მივიყუჟო. უკანმოუხედავად იცის, რომ უკვე მოვიკალათე იატაკზე და მასავით მზად ვარ, ჩანაწერებით გამოვტაცო სიკვდილს ეხნატონის ოცნება.

ნეფერტიტი მოაჯირს დაეყრდნო და მთვარის შუქზე გაჰყურებს იმას, რაც იმედის ქალაქისგან შთენილა. დამუნჯებული, გაქვავებული, იგი ბოლომდე მოწმე იყო, როგორ ესალმებოდა სიცოცხლეს ეს ქალაქი. ახლა გასცქერის ნანგრევებს და ელის პასუხს, რომელსაც ვერავინ გასცემს. უფრო წინ

გადაიწია, დაჟინებით იცდის, სავსეა მოთმინებით, და აი, ნატუსალის წიაღიდან რაღაც შეიძრა, წამოიწია და აღიმართა კვლავ სიცოცხლეშთაბერილი. მზერად ქცეული დედოფალი შესცინებს ამ მიწას, სწადია, გააცოცხლოს წარსული. მიუხედავად შეშუპებული მარცხენა თვალისა, რომელსაც რამდენიმე წელია იტკიებს, ნეფერტიტის მშვენებას დროის მსახვრალი ხელი არ შეხებია. პირიქით, მეჩვენება, რომ ამ უეცრად ჩამჭკნარი, ჩამქრალი, შელახული სილამაზით დედოფალი უფრო მიწიერია, გავიწყებს მანძილს, რომელიც ერთმანეთს გვაშორებს, როგორღაც იშლება ზღვარი, მისი დიდებული წარმომავლობით გაჩენილი. თქვენობით აღარ მივმართავ, შინაურულად, თანაბარივით ველაპარკები.

„...თითოეული ეს ქუჩა, ბუბასტოს, ეხნატონის ნებით, მისი მითითებებით გაჩნდა. ჩვენ ერთად ვადევნებდით თვალყურს ყოველი ამ ნაგებობის მშენებლობას. ახლაც საკმარისია, თვალები დავხუჭო, რომ უმალ წარმომიდგება ტაძრები და სახლები, აფეთქებული ბაღები, სიცოცხლით სავსე ქუჩები. საკმარისია, ჩემო მემატიანევ, ხანგრძლივად მოთმინებით დავაკვირდე ამ ნანგრევებს, რომ დავინახო ჩვენი ქალაქი, წარმოვიდგინო, როგორ შენდებოდა ის, როგორ ეწყობოდა ქვა ქვაზე ამ უდაბურ არემარეში. თავისთავად ცოცხლდება ის ჩემს წარმოსახვაში".

მეც, ბუბასტოსი, ვიქნები მოწმე იმისა, თუ როგორ ააოხრებენ იმედის ქალაქს, დაანგრევენ გრანიტის უკანასკნელ ლოდამდე, დაამსხვრევენ ქანდაკებებს. მერე ნაქალაქარს სხვები ეძგერებიან – ის ქურდების საკბილო გახდება. ტაძრები და სამარხები მუდამ იზიდავს მძარცველებს. მოგვიანებით, ჩვენ რომ უკვე აღარ ვიქნებით, საიდან არ მოსული ყაჩაღები კვლავ იყნოსავენ ნადავლის სუნს და გაშმაგებულნი დააცხრებიან ამ მიდამოს, თვით მიწასაც კი ტომრებში ჩაიტენიან.

გულთმისნობაზე თავს არ ვდებ. ბუნებით უდარდელს ბევრი არაფერი გამეგება წინასწარმეტყველებისა, მაგრამ ზოგჯერ ისე ნათლად წარმოვიდგენ მომავალს, თითქოს უკვე განმევლოს იგი ისეთი, როგორიც, შესაძლოა, კიდეც იქნეს...

რაც ხანში შევდივარ, მით უფრო გაუგებარი ხდება ჩემთვის ეს ჭეშმარიტება. მე ხომ დაბალი ტანის გამო, როგორც ადრე, ფეხის წვერებზე უნდა შევდგე, რომ სიკომორის ფუღუროში დადებულ თასს მივწვდე.

ახლობლებს მოუყოლიათ ჩემთვის, რომ დაბადებიდანვე თავს დაჟინებით ძირს ვხრიდი. ასეთ შემთხვევაში ქურუმები ოჯახს ახალშობილის მალემსწრაფ სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ. ბნელე-

თის ამ კანონების ჯიბრზე სიცოცხლე დავიმკვიდრე! მაგრამ მათ, თავის მხრივ, ცხადია, შური იძიეს იმით, რომ ჩემს სხეულს სრულქმნილება არ აღირსეს.

დედაჩემს, ჩვილი, არტახებით კისერზე ვეკიდე და ასე გულზე მიკრულს მატარებდა, ხელები რომ თავისუფალი ჰქონოდა. მან ისე ადრე განისვენა, რომ ჩემს მეხსიერებას არ შემორჩენია მისი ხატება. მისი წასვლით ისეთ სიცარიელეში აღმოვჩნდი, რომლის შევსება ვეღარასოდეს ვერაფრით შევძელი.

სკოლაში რომ დავიწყე სიარული, მამამ შარვალქამარი მაშინ მაჩუქა. მანამდე კი, უბრალოდ, ყელსაბამი მეკეთა. სიცივე სუსხავდა, სიცხე კი თანგავდა ჩემს სხეულს. მომწონდა, ჰაერი რომ იყო ჩემი ერთადერთი სამოსელი.

ოჯახში რომ ხედავდნენ, ვიზრდებოდი, სიხარულისგან გაგიჟებულები ვირის ხორცით მკვებავდნენ; კეთილმყოფელ გავლენას მიაწერდნენ მას. მუსიკალური ნიჭით ვიყავი დაჯილდოებული, ლექსებსაც ვწერდი და შინაურები მცირეოდენი სანოვაგის საზღაურად, მეზობლების სტუმრების გასართობად მიშვებდნენ. შემეძლო, კიდეც მეცეკვა, როცა და სადაც მომინდებოდა. ჩემს მოკლე კიდურებს ხელოვნურად, გამოთლილი ჯოხებით ვიგრძელებდი. ბავშვები ტაშისცემით იკრიბებოდნენ ჩემ გარშემო, მოზრდილებიც კი მიკრავდნენ ტაშს.

ყველაფერი ეს, ჩემი სიგონჯის მიუხედავად, კარგ განწყობას მინარჩუნებდა.

ნეფერტიტიც შევიდა ხანში. სიმარტოვემ და თავს დატეხილმა უბედურებებმა განსაკუთრებით დაასვა

დაღი მის ნაკვთებს: შუბლი და თვალები ტბის ზედაპირივითა აქვს, გრიგალი რომ გადაუვლის, წყალივითაა, ყველაფერს რომ აირეკლავს.

ადრე ვერც კი წარმომედგინა, რომ მშვენიერ სახეს, მარად ნორჩ, ქათქათა კანს სიბერე შეეხებოდა. თავად თუ შეშფოთებულა ამის გაფიქრებაზე? ახლაც მოსდის თავში მსგავსი აზრები?

„ისტორიის ტყვეობაში ვართ, ბუბასტოს. გაჩენის დღიდან მის ნებას ვემორჩილებით. სულერთი არ არის, სად დაიბადები, რომელ დროში, რა გარემოში. თუმცა ჭკუა-გონებას შეუძლია გაარღვიოს ეს ჩარჩოები.

დარწმუნებული ვარ, ეხნატონის არსება, რაშიც უნდა გარდასახულიყო, იმავე სულისკვეთებით იქნებოდა აღვსილი. მჯერა, რომ მისი მამაცი სული ვერც მის საკუთარ თავში ჩაეტეოდა, ვერც მისი ქვეყნის ფარგლებში და ვერც განსაზღვრულ დროში.

აღწერე, ჩემო მემატიანევ, როგორი იყო ეგვიპტის მიწა-წყალი ამ სწორუპოვარი ფარაონის გაჩენამდე. დაგვიხატე ეს ძველისძველი, უკიდეგანო და ძლევამოსილი სამეფო. მოიხსენიე რამდენიმე ღვთაებაც; ისინი ხომ მრავლად იყვნენ, სანამ გაცხადდებოდა ის, რაც არის „სიცოცხლე და სინათლე“ და რომლის სახელია ატონი. მანამდე, ბუბასტოს, ღმერთებს ადამიანთა სახე ჰქონდათ მათთავე თავზარდასაცემად...“

ოთხი ათასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ადამიანები ნილოსის სანაპირო ნაყოფიერ მიწებზე დამკვიდრდნენ. ისინი კაჟს იყენებდნენ და ძვლისგან სადგისს აკეთებდნენ, კალათების დაწვნაც იცოდნენ და ქსოვილებსაც ქსოვდნენ, დაუფლებული იყვნენ თიხის ნაკეთობათა ხელოვნებას. მალე ლითონის ნივთების დამზადებაც ისწავლეს.

გამოხდა ხანი და დიდმა მენესმა ზემო და ქვემო ეგვიპტე გააერთიანა.

ხმამაღლა ვყვები იმას, რასაც ვწერ, დედოფლის გასაგონად. მისი აზრი მაინტერესებს. მე ხომ იმ ადგილს ვამზადებ, ეხნატონმა რომ უნდა დაიკავოს.

ნეფერტიტი მოაჯირს მოსცილდა, აივანი გაიარა. ისე წავიდა, სიტყვაც არ უთქვამს. გავიგონე, როგორ ჩაიარა კიბეები ჩქარი ნაბიჯით.

რაც შეეხება ღმერთებს, ისინი ყოველთვის უხერხულობას მიქმნიდნენ. ჯერ კიდევ ბავშვი კითხვებს ვუსვამდი ჩემს ახლობლებს მათ შესახებ. შეძრწუნებულნი, ისინი მცემდნენ, რათა ხმა გამეკმინდა. მე ვბღაოდი.

„კარგად მიბეგვეთ!“ – იყო ერთ-ერთი ქურუმის რჩევა მახლობელი ტაძრიდან. „ადამიანი ყურად მხო-

დიახ, რაც შეეხება ღმერთებს, ისინი, გარემოცულნი თავიანთივე მონათესავე ნახევარღმერთებით და დემონებით, თავიანთი მოდგმით, რიტუალებითა და მითებით, დიდ გაწამაწიაში არიან. ვშიშობ, ერთ დღეს იმქვეყნიური კარი ვეღარ გაუძლებს, ვერ შეაკავებს მათ მოწოლას, მოედებიან დედამიწას, დაერევიან ადამიანებს და სრულიად განდევნიან მათ, რათა მთელი ქვეყანა თავად დაისაკუთრონ.

ურიცხვი სამღვდელოება ემსახურება მათ: მუდამ მათი თაყვანისმცემელი მღვდელმთავარნი, ქურუმების მთელი თაობები, წმინდანები და ზეციური მამანი. მდიდრული ტაძრების წარმოდგენაც კი გაუჭირდება ადამიანს!

და მაინც ხალხს მოსწონს დღესასწაულები და ღვთაებათა პატივსაცემად გამართული რიტუალები; მშვენიერი საბაბია კარგი სმა-ჭამისათვის მთელი დღეების განმავლობაში. საუკუნეების მანძილზე რამდენჯერმე აღმდგარან ამის წინააღმდეგ, მაგრამ მალევე ჩაუხშვიათ ეს მღელვარება.

აბა, რომელი ერთი დაგისახელოთ ამ ღმერთთაგან?

ამონს ვიტყოდი, მძლეთამძლეს, რომელსაც მზის ღმერთს რას უკავშირებენ. მერეა ნუტი – ზეცის ქალღმერთი, ფეხებით მიწას რომ ებჯინება, გადაწოლილი ტანით ცას შეყრდნობია და მეორე მხარეს მისი თმები ისევ მიწამდე ეშვება. მის მუცელქვეშ გები – მთელი დედამიწაა გადაჭიმული.

მივესალმები ისისს, თავისი ქმრის – ოსირისის აჩეხილი სხეულის საძებრად რომ გაუწევია.

არ შევჩერდები ხარ-ღმერთებზე, არწივ-ღმერთებზე, ნიანგ სობეკზე, კატა ბასტეტზე, მაგრამ უნდა ვახსენო ხნუმი – მეთუნე ერკემალი, რადგან

მან გამოძერწა თიხის კვერცხი, საიდანაც დედამიწა უნდა გამოჩეკილიყო.

სოხმეტ – ძუ ლომი შეიძლება არ მომაგონდეს, არც თუერის – ბეჰემოთი, შევარდენი ჰორიც, მაგრამ არა თოთ ბრძენი, იბისი – კალმოსანთა მფარველი, რომელსაც მამაჩემი სცემდა თაყვანს. გრძნობამორეულს მახსენდება ჰათორი; ბავშვობაში წარმოვიდგენდი, რომ მის კალთაში ვიჯექი, ის კი ცრემლებს მწმენდდა და ძუძუს მაწოვებდა.

მაგრამ ჩემი რჩეული ბესია, მრუდეფეხება პატარა ჯუჯა. მე მას თანატოლივით ვესაუბრები და მუდამ თანა მაქვს მისი გამოსახულება.

ატონის გამოჩენას ორი თუ სამი მცდელობა დასჭირდა. მას სახე არა აქვს, უსასრულობიდან მოდის. არის კი ის ღმერთი? იქნებ ის თავად ჩვენ ვართ და მეტი არაფერი, თითოეული ჩვენგანი, მხოლოდ უფრო იდუმალი, უფრო სრულქმნილი. მას უბრალოდ მზის დისკოს გამოსახულება უნდა ჰქონოდა.

ჩემს ქაღალდს ბინდი დაეფინა. ნაწერი ძნელი გასარჩევი ხდება.

ეს-ესაა ნეფერტიტი გამოჩნდა. არც გამიგონია, ისე ჩუმად მომიახლოვდა. პაწია თიხის თასი უკავია, მრგვალი და ბრტყელძირა. შიგ პატრუქი ინავლება.

– მოვათავე ამბავი ღმერთებისა...

დედოფალს არ ესმის ჩემი. ვდგები. მივემართები მბჟუტავი სინათლისკენ, მინდა წავუკითხო, რაც ჩავწერე. ნეფერტიტი განზე გადგა და თავით მანიშნა, რომ არ სურს.

– ხვალ მეფეებზე ვისაუბრებ...

რაც ჩვენი ქალაქი აღიგავა პირისაგან მიწისა, აღარაფერი შეგვრჩა, დროის საზომი ხელსაწყოც კი არ

გაგვაჩნია, არც მკლავის სიგრძე ძირგახვრეტილი ჭურ-ჭელი, რომლის მოცულობა ისეა გათვლილი, რომ თორ-მეტ საათში იცლება წყლისგან. ღამით ვარსკვლავები მშველიან დროის გამოთვლაში, დღისით კი მზეს ვარ მინდობილი.

მეგონა, პირველმა გავიღვიძე, მაგრამ ნეფერტიტი უკვე გამოსულა. ჩემი ოთახის კედლის ნაპრალიდან ვხედავ, როგორ რწყავს მზისგან გადამწვარ სიკო-მორს.

ხელი დავავლე აბგას, რომელშიც წინასწარ გამზა-დებული ხემსი მიდევს, და ვცდილობ, დავეწიო მას. ძლივს ვანვდენ ჩემს მოკლე ფეხებს კიბის ფართო სა-ფეხურებს. დედოფალმა ალბათ გაიგონა, როგორ ჩავრ-ბივარ და დამიძახა, არ მეჩქარა. ჯობდა, დამეჯერებინა მისთვის. სიჩქარეში კისერზე ჩამოსაკიდებელი სამელ-ნე ოთახში დამრჩა. ისეთი შეწუხებული სახე მაქვს, ნეფერტიტის სიცილი აუტყდა. დავდე აბგა მის ფეხებ-თან და უკან გავბრუნდი. ისევ ავრბივარ კიბეზე. მისი რჩევის მიუხედავად, მაინც ვჩქარობ. მერე კალიასავით ხტუნვით ჩამოვრბივარ უკან.

– აი, მეც მოვედი!

დედოფალი ჩრდილოეთის გზას გაუყვა. მეც მასთან ერთად მივდივარ ნანგრევებს შორის. გეზი ქვის სამ-ტეხლოებისკენ ავიღეთ. მოშორებით საცხოვრებელი სახლების შიშველი კედლები მოჩანს, ჩამონგრეული აივნებით და სახურავებით. უფრო ახლოს, მარცხნივ, ქვების გროვაში საზაფხულო სასახლე ამოვიცანი. ფანჯრის კვალიც არსად ჩანს, იმ განსაკუთრებული ფანჯრისა, საიდანაც ეხნატონი თავის ოჯახთან ერთად ხალხს ესალმებოდა.

ქალაქი სწორედ აქეთ, ჩრდილოეთის მიმართულებით, იზრდებოდა. მცხოვრებნი რომ გაიქცნენ, ახლად დაწყებული მშენებლობები დაუმთავრებელი დარჩა. გალავანს კი რამდენიმე კედელი შემორჩა.

ნეფერტიტი ერთი სახლის წინ გაჩერდა, რომელიც სასწაულად გადარჩენილიყო. საოცარია, როგორ ასცდა მას ნგრევის მსახვრალი ხელი. შენობის შიდა ნაწილი სრულიად უვნებელი იყო. მხოლოდ კარიბჭის ზემოდან ჩამოვარდნილი ქვის ფილა, რომელზეც სახლის პატრონის სახელი იყო ამოტვიფრული, შენობის მოშორებით, ქვებში ეგდო ჩვენ წინ. დედოფალმა თავისი ხელით გადაწმინდა სილა და ქვის ნამსხვრევები. გამოჩნდა კარტუში. ვკითხულობ კაცის სახელს, რომელსაც მოჰყვება სიტყვები: „რა ბრძანებს, რომ ის დღეგრძელიმც იყოს!" თავში უნებურად გამიელვა, რომ ღმერთები არასოდეს ასრულებენ დანაპირებს.

ნეფერტიტი განაგრძობს სვლას. მივყვები, როგორც მზეს მისი ჩრდილის ნაფლეთი. მარტონი ვართ ამ გაცამტვერებულ ქალაქში. მივდივართ ნეფერტიტი და მე, მისი ციცქნა ამალა – მისი მემატიანე, სიკვდილამდე განუყოფელნი.

სანამ კირქვის კლდეებამდე მივიდოდით, დედოფალი ერთ სასაზღვრო სვეტთან შეჩერდა. მასზე ეხნატონის სიტყვებია ამოკვეთილი. ვკითხულობ. აკვანზე დანამღერ სიმღერასავითაა:

„ჭეშმარიტების სახელით ვფიცავ:
ეს ქალაქი მინდა იყოს ყველას სავანე.
და ყოვლისშემძლემ მომმადლოს დღეგრძელობა

ნეფერტიტის – ჩემი მეუღლის,
მრავალჟამიერ, უკუნითი უკუნისამდე".

დედოფალი თვალდახუჭული მისმენს. სვეტს მიეყრდნო. ისეთი ნაღვლიანია, თვალს ვერ ვუსწორებ. აქ არც ხეებია, არც ჩრდილი, მაგრამ სიცხე მაინც არ გვაწუხებს, პირიქით, დღითი დღე კლებულობს, რადგან წყალდიდობის სეზონი დგება. მალე ეს მიწები წყლით დაიფარება. ქვეყნად ვერავინ მაცდუნებდა, მდინარეში შევსულიყავი გინდ საბანაოდ, გინდ სათევზაოდ. ნილოსი ამ დროს ისეთი მძვინვარე და გაშმაგებულია, რომ მე ვერ გამოვდგები მის ღირსეულ მეტოქედ.

– თავდაპირველად მენესი იყო...

დედოფალი მანიშნებს, რომ მისმენს. მეც იქვე ახალგამოთლილ ქვის ლოდზე ჩავიკუნტე.

– „მძლეთამძლე" მენესი, რომელმაც სათავე დაუდო პირველ დინასტიას. მან ააშენა მემფისი და თავის დედაქალაქად გამოაცხადა. სამოცდაორი წელი იმეფა და ნადირობისას დაიღუპა: ბეჰემოთს შეაკვდა.

ზოგჯერ ჩანაწერს, რომელსაც ნეფერტიტის უსიტყვო თანხმობით ხმამაღლა ვკითხულობ, ჩემეულ შენიშვნებს ვურთავ. ღვთისა და კაცისგან მიტოვებულ ქვეყნის ამ დასალიერში ყოველგვარი პირობითობა ძალას კარგავს. ისევე ხარ მისგან თავისუფალი, როგორც ის შენგან.

– აი უკვე ძველი სამეფოც...

ჯოსერს გამოვყოფ მესამე დინასტიიდან. სიტყვები: „სიცოცხლე – ჯანი – ძალა" განასახიერებენ

ამ ფარაონს. მისი „საფეხურებიანი პირამიდა“ მყარად დგას მიწაზე და ცად ატყორცნილა.

განსაკუთრებული პატივით მოვიხსენიებ იმჰოტეპს, სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც იმავდროულად ფილოსოფოსი, ექიმი და ხუროთმოძღვარიც იყო. ეხნატონის სულიერებაში ბევრი რამ იყო ამ ბრძენკაცისაგან...

– მეოთხე დინასტიისთვის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, უფრორე დასავლეთისაკენ წარმატებული ლაშქრობების შედეგად. ხეოფსმა, ხეფრენმა და მიკერინმა თავიანთი პირამიდები აღმართეს. პეპი პირველმა აღმოსავლეთისკენ განავრცო ქვეყანა. ჩრდილოეთიდან ბედუინთა ტომები არ გვასვენებდნენ. ბევრჯერ დამარცხდნენ, მაგრამ არასოდეს დაგვმორჩილებიან.

მრავალ სახელოვან ხელმწიფეს მოიხსენიებენ ქრონიკები, მაგრამ მათ შორის გამორჩეული იყო ხეთი მესამე, მეცხრე დინასტიიდან.

– მტერმა რომ მისი მშობლიური ქალაქი ტინისი დაანგრია, ხეთიმ საჯაროდ აღიარა თავისი ბრალეულობა: „ჭეშმარიტად ეს ჩემი დანაშაულია. მტერს პასუხი არ მოეთხოვება; ისინი თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. სასჯელს მე ვიმსახურებ“.

ასიოდე წლის შემდეგ აჯანყებამ იფეთქა. ხელისუფლება დაემხო და მონარქი გააძევეს. ღარიბებმა მიწები წაართვეს მფლობელებს, ლუკმაპურს დანატრებულებმა ბეღლები იგდეს ხელთ, ოქროს სამოსი ვისაც მოსავდა, ძონძებმა დაუფარა სხეული. მაგრამ სამართლიანობისათვის ბრძოლა ბრმა შურისძიებაში გადადის ხოლმე. მეამბოხეთა მეთაურები უმოწყა-

ლოდ ხოცავდნენ, განუკითხავად იმეტებდნენ სასიკვდილოდ მოწინააღმდეგეს. ნუთუ არასდროს აღდგება ხალხი სისასტიკის გარეშე ისე, რომ გუშინდელ მსხვერპლთ და დღეს გამარჯვებულთ ადამიანის სახე არ დაეკარგოთ?

შუა სამეფოს მივადექი. მზეს გავხედე – შუბისტარზე გადასულიყო. მუცლის ამოსაყორად აბგაში რაღაცეები მეგულებოდა. ამოვაწყვე ღვინის მათარა, ხახვი, ცერცვი და კიტრი. დედოფალს ვუწილადებ და სამაგიეროდ ის ლეღვს და პურს მაძლევს. ჩემს ლოდთან ვბრუნდები. სიამოვნებით ვშლი დიდხანს ჯდომით დაბუჟებულ ფეხებს.

– სესოსტრ პირველმა სამხრეთით, თებეში, გადაიტანა დედაქალაქი. არასოდეს ყოფილა ეგვიპტე ასე აყვავებული. დაპყრობილია ნუბია, საუკეთესო ურთიერთობები დამყარდა ფინიკიასთან. წერდნენ, რომ იმ გრანდიოზულ სამუშაოებს ეგვიპტელი მუშები კეთილი ნებით და ხალისით ასრულებდნენ, ისე, რომ ზედამხედველებს დიდი გარჯა არ სჭირდებოდათ. ერთერთი მათგანი ტაძრის კედელზე ასეთ სიტყვებს ამოაკვეთინებს: „ჩემი ქვეშევრდომების კეთილი პატრონი ვიყავი...“ რამდენად მართალი უნდა იყოს ეს? როგორი იქნებოდა ზაფხულში, თაკარა მზით გავარვარებულ მიწაზე მთელი დღე მუშაობა?

ზოგიერთი მონარქის ხელში ქვეყნის ერთიანობას საფრთხე დამუქრებია, მაგრამ ხალხს ერთსულოვნება შეუნარჩუნებია.

ჩვენს ერამდე ხუთასი წლით ადრე ბედის ბორბალი უკუღმა დაგვიტრიალდა. ეგვიპტეზე შავწვეროსანთა

ურდოებმა გადითარეშეს. აზიიდან მოსული მესაქონლე მეფეების და ყაჩაღების ხელში აღმოვჩნდით. მათ ჰქონდათ ის, რასაც ჩვენ აქამდე არ ვიცნობდით: რკინის იარაღი და საომარ ეტლებში შებმული ცხენები.

– თავისუფლების იდეა მეჩვიდმეტე დინასტიის მოსვლისას განმტკიცდა. „აბჯარასხმული მეფე აჰმოსი სამხრეთიდან ლომარწივივით ეძგერა მტერს და ხერხემალში გადატეხა. მისი დროშა ყველაზე მაღალ კოშკზე აფრიალდა“.

მოგონებებში გადავვარდი, მათ მივყვები, სიტყვებს რითმებში ვჭედავ. ცხენდაცხენ მივყვები აჰმოსს ქარში მოფრიალე დროშის ქვეშ. ღვინომ ხომ არ დამათრო? ლოყებზე ცეცხლი მიკიდია, გამარჯვების ურუანტელი მივლის ტანში.

„...ბუბასტოს, კარგად მიაპყარ ყური ხმებს!

ამ გამარჯვებებთან ერთად აღწერე გვამებით მოფენილი ციხესიმაგრეები, უმოწყალოდ დახოცილი ტყვედ ჩავარდნილი ციხისთავები. მოიგონე, როგორ ცხვრებივით ერეკებოდნენ მოხუცებს ეკლიანი ტოტების ცემით. ზანგი ქალები როგორ გარბოდნენ პალმებში, კალათებში ჩვილი ბავშვებით, ზურგიდან კი ისრები ეწეოდათ. მოიგონე გავარვარებული შანთებით დადალული კაცები!

რატომაა ომები, რატომ? დასვი ეს კითხვა!

ეხნატონმა ხომ უარი თქვა სისხლისღვრაზე. სხვა სამყაროდან ხომ არ იყო ის? ან კიდევ ახალი ცხოვრების დადგომას ხომ არ გვაუწყებდა?“

არ ცდებოდა მამაჩემი ამენო, როცა ამბობდა, მემატიანის ხელობა ფრიად საპატიოა. თითქმის არც ერთ მათგანს არ უყვარს მეომრები და ღიზიანდებიან, როდესაც ზოგიერთი მათი მოწაფე, ფუჭი დიდებით დაბრმავებული, ზოგჯერ თიხის ფირფიტას და კალამს საომარ ეტლებში შებმული ცხენების თქარათქურს ამჯობინებს. ამ უგუნურ ჭაბუკებს მუდამ ასე არიგებენ ჟამთააღმწერელნი: „ჯარისკაცის ცხოვრება საზარელი რამ არის. მშობლიურ მიწაზე გამარჯვებით მობრუნებულნიც კი თხემით ტერფამდე ჭიით გამოჭმულ ხესა ჰგვანან“.

– აი ესეც, ჩვენი ახალი სამეფო.

ძნელბედობა დიდებული აყვავების ჟამმა შეცვალა, ისტორიას წარმოდგენაც რომ არ შეუძლია მისი და ბრმად ადევნებს თვალს ბედის სასწორს. ქვეყანა ფართოვდებოდა, იმატებდა მიწებს, მაგრამ არა დაპყრობის ჟინის გამო, არამედ მეზობელი ხალხების მხრიდან თავდასხმების აღსაკვეთად.

სამღვდელოებაც თანდათან ძლიერდებოდა.

– თუტმოს პირველი გამორჩეულია მამაც მეომარ მეფეთა შორის. უამრავი ვაჟის მამა ქალიშვილს – ჰატშეფსუტს გამოარჩევს. ტანად სუსტი, მაგრამ სულით მტკიცე და ურყევი ნების ქალბატონი ოცდაორი წელი

მართავდა ქვეყანას. გვერდში ედგნენ დიდებულები, უფრორე მხედართმთავარი და ხუროთმოძღვარი სენმუტი. იმას ეტრფოდა, მაგრამ ცოლად თავის ნახევარძმას – თუტმოს მეორეს გაჰყვა, რომლის მკვლელობის შემდეგ თავის ძმისწულზე — თუტმოს მესამეზე იქორწინა, თავი მეფედ გამოაცხადა, ფარაონის სამოსელს და წვერს ატარებდა და გვირგვინოსან ქმარსაც თავად მფარველობდა. სწორედ თუტმოს მესამე გახდა მისი სიკვდილის შემდეგ ძლევამოსილი მეფე, რომლის მსგავსი ეგვიპტეს არა ჰყოლია. მომავალში ეხნატონად წოდებული ამენოფის მეოთხის მშობლებს – ამენოფის მესამეს და მის თანამეცხედრეს დედოფალ თიიას უზარმაზარი სამეფო გადმოეცათ მისგან და ღირსეულადაც განაგებდნენ მას.

რამდენიმე დღეა, ჩვენს მოგონებებს არ მივბრუნებივართ.

წუხელ მთელი ღამე მესმოდა, როგორ მიდი-მოდიოდა დედოფალი იმ ადგილის მახლობლად, სადაც მძინავს. უეჭველია, ჩემთან გასაუბრების სურვილი დაუბრუნდა, თორემ ეს პირქუში თავშესაფარი არასოდეს იზიდავდა მას. მზად ვარ, მივეახლო, მაგრამ ნაბიჯების ხმა მშორდება. ვწრიალებ ჩემს სადგომში, მინდა გავაგონო, რომ არ მძინავს, აქვე ვარ და საკმარისია მიხმოს...

არ მეძახის.

ხელნაწერში კი ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი მზადაა, რათა ეხნატონისა და მისი ქალაქის ამბავი დავიწყოთ.

ნეფერტიტისთვის ეს მტანჯველი, უმძიმესი გამოცდა იქნება, მაგრამ უკან დასახევი გზა არ გვაქვს. სახეზე ვამჩნევ, როგორ ებრძვის დუმილს, დაძაბულია, თითქოს უფსკრულის თავზე გადებულ ბეწვის ხიდზე გადიოდეს.

როდესაც მზე ზენიტს მიაღწევს და დასავლის გზას შეუდგება, ვიცი, რომ უკვე გვიანია და ვეღარაფერს იტყვის. იმედის ქალაქის კარი რომ შეაღოს, ამის ძალას მას მხოლოდ განთიადი თუ მისცემს. მხოლოდ განთიადი შთააგონებს, გვიამბოს ამბავი იმედის ქალაქისა. მაგრამ როდის გაგვითენდება ეს დილა?

ზოგჯერ შიში შემიპყრობს, ერთ-ერთი ჩვენგანის ან ორივეს აღსასრულის დღე არ დადგეს მანამ, სანამ ჩვენს ვალს მოვიხდიდეთ. ბუნებრივი სიკვდილი გვიწერია თუ ფარაონ ჰორემჰების მიერ დაქირავებული მკვლელი მოგვიღებს ბოლოს? ამ უკაცრიელ უდაბნოში, სადაც ძაღლის ყეფაც კი არ ისმის, არავინ გვიცავს. რამდენიმე თვის წინ ჩვენმა უკანასკნელმა მწევარმაც მიგვატოვა. მართლაც რომ ბედის ანაბარა ვართ. მაგრამ რას წარმოვადგენთ მტრებისთვის? ტახტიდან ჩამოგდებული დედოფალი და ვიღაც მემატიანე, ორი სულთმობრძავი მკვდარ ქალაქში. რა საფრთხეს უნდა მოელოდნენ ჩვენგან? მგონი, გვაცლიან, მშვიდად ჩავიფერფლოთ.

მშვიდად?! სასუფეველს ვერ დავიმკვიდრებთ, სანამ არ წარმოვიდგენთ ახლო თუ შორეულ მომავალში ფარდაგზე ფეხმორთხმულ მემატიანეებს, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ჩვენი პაპირუსის გრაგნილები ან მათი ასლები და ხმამაღლა კითხულობენ მათ.

„სიტყვა, წარმოთქმული თუ დაწერილი, სალ
კლდეზე უფრო მტკიცეა, ამბობდა მამაჩემი ამენო.
კაცის პირიდან გაგონილი პირამიდასავით სამარა-
დისოდ ჩაიბეჭდება გონებაში".

მოლოდინის ამ დღეებს უქმად არ ვკარგავ, ჩემი
ჩანაწერების პირველ ნაწილს ვათეთრებ. შავი მელნით
გამოყვანილ იეროგლიფებს წითლებით ვავსებ, სათა-
ურებსაც წითლით გამოვყოფ. ამ ორი ფერის საუკე-
თესო ხარისხის მელანს ვიყენებ. ამასთან, ყოველთვის
დიდ ყურადღებას ვაქცევდი კალიგრაფიას და დიდის
რუდუნებით გამომყავდა პაპირუსზე თითოეული
ნიშანი.

ირიჟრაჟა. ნეფერტიტი მდინარისკენ მიემართება.
ფეხდაფეხ მივყვები. წყნარი, მშვიდი სახე აქვს. ჩანს,
დღეს დავიწყებთ ჩვენი ამბის მოყოლას.

მანამდე ჩვენი თხის რძე დავლიეთ, უგემრიელესი.
მიწის ერთ ნაკვეთს ვამუშავებ, სადაც ყველანაირი
ბოსტნეული მომყავს. არაფერი გვაკლია. ნანგრევებ-
ში ერთი ღვინის სარდაფიც კი აღმოვაჩინე. დედოფა-
ლი მცირედით კმაყოფილდება, თუმცა სიამოვნებით
მიყურებს, როგორ მადიანად მივირთმევ. მუცელზე
ჯერ კიდევ შემომრჩა სამი ნაკეცი, რომლებზეც ჩემს
მძიმე გარჯით დამაშვრალ ხელებს ვასვენებ ხოლმე.

ფარაონის ბილიკს მივუყვებით მდინარის აღმო-
სავლეთ ნაპირზე. ნეფერტიტიმ ნაბიჯს აუჩქარა
მოთმინებადაკარგულს თითქოს სიტყვები პირზ
მოსდგომია, საცაა ამოხეთქავს, მაგრამ ადგილს ვერ
პოულობს, ეძებს, სად შეჩერდეს, რომ სათქმელ
ამოთქვას. ამ ნაცარტუტად ქცეულ ქალაქს ისლა შე

მორჩა მცველად. გზა გააგრძელა. დროდადრო უკან იხედება, რათა დარწმუნდეს, რომ მივყვები, ბოლოს მანიშნებს, მის გვერდით ვიარო.

ჩავუარეთ ქალაქის განაპირა სასახლეს თავისი პატარა აუზით, რომლის ნაპირებიდან საფეხურებს მდინარემდე ჩავყავართ. წყალი ამომშრალა, აღარ ყვავის მის ირგვლივ ბაღიც, სადაც სამეფო ოჯახი უბრალო ხალხთან ერთად ილხენდა. გაზონები გადათელილია, ხეები აჩეხილი. აუზის კიდეებს ლოტოსისა და დუმფარების ნახატები შემორჩენია. ოდესღაც ისინი წყალში მოლივლივე გეგონებოდათ. გზის პირას სამეფო მწევართა ჩონჩხები ყრია. მოშორებით ფანჩატურია. დედოფალი შეჩერდა, თითით მიჩვენებს, თითქოს ესესაა აღმოაჩინაო. ხის ეს ფარატინა ნაგებობა გამომწვევად დგას ნანგრევების გორებს შორის.

ნეფერტიტი მტკიცე ნაბიჯით გაემართა ნილოსისაკენ. წყლის პირას ერთი ეული ტირიფის ძირას ჩამოჯდა. ხეს ტოტები გადაეზნიქა და ბოლოები მდინარეში ჩაეშვა. მეც იქვე, ხის ჩრდილში, მოვიკალათე.

არც ბარბითი მაქვს ხელთ, არც დაირა. მართლია ბუნებამ დიდად არ გამანებივრა, მაგრამ სასიამოვნო ხმით მაინც დამაჯილდოვა.

ვუმღერ მდინარეს:

„გულს უხარია, სული ლაღობს, რა საამოა,
შენს შესახვედრად მდინარისკენ გამოვემართო.
ხედავ? წყალში ვარ, ტალღებს მივაპობ;
შენი ტრფობა გულს მიმაგრებს
და წყალზე ისე მყარად ვდგავარ,
როგორც მიწაზე“.

„...პატარა ვიყავი, პირველად ზღვაზე რომ მოვხვდი, ისიც მცირე ხნით, რადგან თებე, სადაც ვცხოვრობდი, მისგან მოშორებითაა. აღარ მახსოვს, რა გარემოებებმა განაპირობა ეს ჩემი საზღვაო მოგზაურობა, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ამ თვალუწვდენელი წყლის ნაპირზე გატარებული დრო.

შებინდებისას გადიასეკეას თანხლებით ნაპირზე ჩავდიოდი და ტალღებს ვეგებებოდი. კოჭებამდე ვეფლობოდი სველ ქვიშაში. რამდენიმე წამით, სანამ ტალღა წაშლიდა, ჩემი სხეულის ნაწილის ნაკვალევი ჩანდა. ისევ და ისევ ვტოვებდი ანაბეჭდს, მაგრამ ამაოდ. სეკეას ჩემს სიჯიუტეზე ეცინებოდა. მართლაც, ღიმილის მომგვრელი იყო ჩემი ძალისხმევა, რომელიც გამარჯვებულ წყალს აინუნშიც არ მოსდიოდა. მაგრამ მიწაზე ცოცხლად აღბეჭდილი ნაკვალევი, თუნდაც წამიერი, უსაზღვრო სიხარულს მგვრიდა და ვემუდარებოდი სეკეას, ჩემთვის მოებაძა. რაღაც ქვეცნობიერი რწმენა დამეუფლა: ზღვის უნებლიე გამარჯვება მხოლოდ მოჩვენებითია მაშინ, როცა ადამიანის შეუპოვრობამ, რაგინდ ეკლებით იყოს მოფენილი სავალი, საზღვარი არ იცის.

ძალიან ადრე შევითვისე, რომ ადამიანის ერთადერთი ღირსეული მეტოქე ის არის, რაც შეუძლებელია.

– გააკეთე ჩემსავით, სეკეა, – ვეხვეწები მას. გადია უარზეა, ჩაებას ამ თამაშში.

– გეყოფა, ჭკუით იყავ, გველოდებიან.

ძველი სასახლე გველოდა. იყოს, გველოდოს!

სეკეამ ხელი ჩამავლო. ვეურჩები. ბრაზობს, ბუზღუნებს. სახე წამოუწითლდა. ზორბა ქალია. სწორი, ფართომხრებიანი კვართი აცვია. მე ისევ ზღვისკენ მივიწევ. ბოლოს ვნებდები.

ნაპირზე ტალღამ ზღვაში ჩახვეტა ყველაფერი, მერე ისევ წამოვიდა...

– წინ იყურე, კისერს მოიტეხ, თვალებს აქეთ-იქით ნუ აცეცებ.

არაფერი მესმის. ცის დასალიერს გავყურებ.

– უმჯობესია, ამ სასახლეს შეხედო, ბაღებით დატკბე. აქეთ იყურე, წამო...

– არა!

ჩემთვის მაშინ მხოლოდ ზღვა არსებობდა, მხოლოდ ზღვა!

ბაღში, სასახლისკენ მიმავალ ერთ-ერთ ხეივანში, სეკეამ ჩაიმუხლა.

– მოდი ჩემთან!

გადიას კაბის კალთაში ჩავეფლე. სეკეამ ფეხებიდან. ქვიშა ჩამომიფერთხა, ყურებიდანაც გამომიფერთხა. მერე სანდლები ჩამაცვა. ლოყა ლოყაზე მომადო. მისი ცხელი სუნთქვა ყურში მიღიტინებს. ვიცინით. ზურგზე მოკიდებული მივყავარ, მოკლე ნაბიჯებით მიუყვება აყვავებულ ხეივნებს.

დაბადებიდან ცოტა ხანში დედა რომ გარდა-

მეცვალა, მისმა ახლო ნათესავმა – დედოფალმა თიიამ მიშვილა. თებეში, ამენოფის მესამის სასახლეში ვიზრდებოდი ფარაონის ქალიშვილებსა და ერთადერთ ვაჟთან ერთად, რომელზეც მომავალში უნდა დავქორწინებულიყავი. მთელი ბავშვობა სეკეა გვერდიდან არ მომცილებია. შავგვრემანია. პრიალა კანი მუდამ გრილი აქვს.

– უმჯობესია, სუფთა იყო, ვიდრე ლამაზი! – ირწმუნება ის.

ისე დავგორავ მის ბარაქიან სურნელოვან მკერდზე და მუცელზე, როგორც მდელოზე. მუდამ მანდილი ახვევია. ერთხელ დავინახე თავშიშველი. თმები სულ თეთრი ჰქონდა. მოჩვარულ ქუთუთოებს მიღმა ჩამქრალი თვალები მოჩანდა. ტუჩებს ნაოჭები შემოჭდობოდა. ზორბა ტანთან შედარებით კისერი წვრილი უჩანდა.

გაოცებული მივშტერებოდი. ასი წლისა მეგონა. სიბერე მეყსეულად მეცა თვალში და ვიგრძენი, რომ ჩემი ციხესიმაგრე, ჩემი თავშესაფარი, ჩემი ოაზისი თავზე მემხობოდა. ავცახცახდი, ქვითინი ამივარდა. სეკეას ვერ გაეგო, რა მოხდა. თავსაფარმა ისევ დაიკავა თავისი ადგილი, მაგრამ ამიერიდან ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალა. მისი გულის მოსაგებად თავი ისე მომქონდა, თითქოს ის მფარველობდა, მაგრამ ახლა უკვე თავად ესაჭიროებოდა ქომაგი. გადავწყვიტე, ყოველგვარი განსაცდელისაგან დამეცვა, რაც კი დაემუქრებოდა, პატივი მეცა მისი ნაოჭებისათვის, მეზრუნა ავადმყოფზე და გამეპატიოსნებინა მიცვალებული...

დედაჩემი სეტამონი ცამეტი წლისა გარდაიცვალა. მასზე ბევრად უფროს მამაჩემსაც ამის მერე დიდხანს არ უცოცხლია.

მიუხედავად სამეფო გვარის ჩამომავლობისა, სეტამონი სასახლის კარზე არავითარ როლს არ ასრულებდა. თავისი სილამაზით თუ წარმომავლობით, დედოფალი თიია ყველა მანდილოსანს ჩრდილავდა ირგვლივ.

სეკეა ხშირად მიყვებოდა დედაჩემზე, რომელიც მის კალთაში გაიზარდა. დედოფალი თიიაც იგონებდა მას. დები ერთმანეთს ჰგავდნენ: ერთნაირი თვალების ჭრილი, აზიური მაღალი ყვრიმალები, ხორბლისფერი კანი, მწვანე თვალები.

ჩემთვის სეტამონი მარად ცამეტი წლისა დარჩა. რაა ცამეტი წელი ჩემი ხნის ადამიანისათვის?! ზოგიერთი არსებისთვის, რომლისთვისაც თვალი ძლივს მოგვიკრავს ან მხოლოდ წარმოგვიდგენია, დრო უკანსვლით მიდის. დრო კი არ შლის მას, არამედ უფრო მკაფიოს ხდის ჩვენს თვალში. დედაჩემი სეტამონი მარად ჩემშია. ხშირად დავდივართ ერთად სვეტებიან დარბაზში, მივსეირნობ მის გვერდით, მას კი ხელში ბავშვი რომ უჭირავს, მე ვარ.

– მომეცი, სეტამონ, ნეფერტიტი ძალიან მძიმეა შენთვის.

მაძლევს. დროის თანმიმდევრობა მერევა. ეს ბავშვი, ხელში რომ მიჭირავს, თვითონ მე ვარ, ამ დროს კი დედაჩემის გვერდით მივაბიჯებ.

ერთხელაც თავად ვხდები სეტამონის დედა. ვეხვევი. ის კისერზე მეკიდება. უფრო მაგრად ვიკრავ

გულში, თითქოს რაღაცისგან ვიცავ, ოღონდ არ ვიცი, რისგან. ყველაფრისგან: სიცოცხლის ასე ნაადრევად ჩაქრობისგან, მამაჩემისგან, იმ ბებერ კაცთან გატარებული ღამეებისგან...

– სეტამონ, ჩემო პატარა გოგონა!

ვაღვიძებ. დავიწყებიდან და ღრმა ძილიდან გამომყავს, ხელს ვკიდებ.

– წამოდი!

უცებ მისი და გავხდი. ერთი ხნისანი ვართ. ბაღებში დავრბივართ, თალარებში ვიმალებით მე და ძალიან, ძალიან ახალგაზრდა დედაჩემი. სეტამონი მოკრძალებულია. ის ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, მინდა, გავამხიარულო, გავაცინო:

– წამო, გავიქცეთ!

მდინარისკენ გავრბივართ. ქოქოსის ნაყოფს ვწყვეტ, ქვით ვტეხ და ვიყოფთ.

– წამო, სეტამონ, დედილო, ჩემო შვილო!

ნაპირზე ვსხდებით. ფეხები მდინარეში ჩავკიდეთ, ვაჭყაპუნებთ, წყალს ვადგაფუნებთ.

– ხომ გაგაცინე, სეტამონ, ჩემო მშვენიერო, ბოლოს მაინც ხომ გაგაცინე!"

ნეფერტიტი ჩუმდება. მერე მთხოვს, ეხნატონის დაბადების ამბავზე გადავიდე.

პაპირუსი ისე დავახვიე, რომ მისი მონაყოლის შემდეგ საკმაო ადგილი დავტოვე. კალამს ვცვლი, ვაწებ, ვწერ...

– დედოფალმა თიიამ მრავლად გაუჩინა ქალიშვილები ამენოფის მესამეს, მაგრამ ძლიერ განიცდიდა, ვაჟი რომ არ ჰყავდა. მეფობის ოცდამეხუთე წელს მისი მხურვალე ლოცვები შეისმინეს ღმერთებმა და ვაჟიშვილიც მიეცა, რომელსაც მამის სახელი – ამენოფისი დაარქვეს. ახალშობილს ღვთაება ამონი მფარველობდა. ის ხომ მზით გასხივოსნებულ თებეში დაიბადა, სადაც მაცოცხლებელი ნიავი უბერავს და ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი.

უფლისწულის დაბადება დიდებული ნადიმებით აღინიშნა სასახლის კარზე.

ამონის თაყვანისმცემელი სამღვდელოება კი შეაშფოთა მომავალი ხელისუფლის გამოჩენამ. ნადირობით გატაცებული და დღემუდამ ლაშქრობებით დაკავებული ფარაონი არაფრით ზღუდავდა მათ ძალაუფლებას, თუმცა დედოფალ თიიას ზოგჯერ, დიახაც, აღიზიანებდა მათი ჰეგემონია.

„წლისა ვიყავი, როდესაც დედოფალმა თიიამ ამენოფის მეოთხე მოუვლინა ქვეყანას. ახლო ნათესაობა მეტად მნიშვნელოვანია ეგვიპტელთათვის და მან იმთავითვე თავისი ერთადერთი ვაჟის მომავალ მეუღლედ დამიგულა.

მემკვიდრე უფლისწული გაჩნდა. დიდმა სიხარულმა მოიცვა ქვეყანა. ამის დასტურად თებეს მთის ძირას სასახლე მთელი ღამე გაჩახჩახებული იყო. მეორე დღეს ტბაზე გადაინაცვლა დიდმა ზეიმმა. სასეირნოდ გამობრძანებული მეფე-დედოფალი ჯალაბთან ერთად ოქროს ნავში იჯდა. აფრიანი ხომალდი ზანტად მიაპობდა ტალღებს. ყველგან მღეროდნენ, ცეკვავდნენ, წარმოდგენებს მართავდნენ.

– დღეგრძელიმც იყავ, ამენოფის, ჩვენდა საბედნიეროდ! – გაისმოდა ყოველი მხრიდან.

რომ წამოვიზარდე, მეფის ასულები მიყვებოდნენ იმ დღეების ამბებს. მე მუდამ მათთან ერთად ვიყავი, ხელიდან ხელში გადავდიოდი. მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ მათგანს დავავიწყდი, ბალახებში დამტოვა. მომიგლეჯია ერთი ბღუჯა ბალახი და უკვე პირში ვიტენიდი, სეკეამ რომ მომისწრო და, როგორც თავად ირწმუნება, სიკვდილს გადამარჩინა.

დაბადება და გარდაცვალება, ზეიმი და გლოვა! ზოგჯერ ესენი ერთად გამიელვებენ ხოლმე თავში, როგორც ადამიანთა არსებობის მუდმივი თანამდევნი.

დიახ, ახალი მეფე მოევლინა ქვეყანას! ამ, ჯერ კიდევ მჩხავანა, პაწია სხეულში განსახიერებულია თებეს დიდება, სიმდიდრე და ყოვლისმძლეობა, წინაპრები, დიდებულნი თუ უბრალო ხალხი. მთელ ეგვიპტეს პირზე ეკერა მისი სახელი, მუხლს იყრიდნენ მის აკვანთან, თაყვანს სცემდნენ მას, ვისაც იმთავითვე მათავისებული ჰქონდა ხალხის სატკივარი, მისი ჭირ-ვარამი თუ ლხინი.

დიახ, ვაჟკაცი მოევლინა ქვეყანას. მომავალი ლირსეული გვირგვინოსანი!"

დედოფალ თიიას გავლენა სასახლის კარზე კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ვაჟი გაუჩინა ხელმწიფეს. მის წოდებას – „მეფის თანამეცხედრე" დაემატა არანაკლებ მნიშვნელოვანი „დედა-დედოფალი".

უფლისწული მშვიდ გარემოში იზრდებოდა. მრავალი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ამენოფის მესამემ ნუბია დალაშქრა. ომიანობა დავიწყებას მიეცა. კანტიკუნტად თუ ვინმე იხსენებდა აზიურ ლაშქრობებს და რაც უფრო შორეულ წარსულს ბარდებოდა ეს გამარჯვებები, მით მეტად განადიდებდნენ მათ.

ეხნატონი დედის და დების გვერდით, ქალების გარემოცვაში იყო, სამხედროს ხელი საერთოდ არ ერია მის აღზრდაში.

თორმეტიოდე წლის ვიყავი, როდესაც პირველად მოვკარი თვალი შვიდი წლის უფლისწულს ერთ-ერთი დიდი დარბაზობის დროს. იმ დღეს მამაჩემს ამენოს დავალებული ჰქონდა, აღენუსხა უცხოელ დესპანთა ძღვენი, და თან წამიყვანა დასახმარებლად, სამელნე დამიკავე და კალმის ნვერები წამითალეო.

საარაკო, ენით აუწერელი ზეიმი იყო. რა ოქროს მელანი და ქაღალდი მეყოფა, რომ აღვნერო თასების ჭახუნი, დოლების გრიალი, ფერთა ელვარება... და აი, კოლონადაში პატარა უფლისწული გამოჩნდა. მას

ნაღვლიანი სახე ჰქონდა. დედასთან ხელჩაკიდებული მოდიოდა ქოლგების ქვეშ, რომლებიც მათ უკან მსახურებს ეკავათ.

უკეთ რომ დამენახა, მამაჩემს ამენოს ვთხოვე, მხრებზე შევესვი.

მროკავნი და მემუსიკენი გარს ეხვევიან საზეიმოდ გამონყობილ დიდ ქურუმებს და სასახლის კარის რჩეულთ. თვალს ჭრის დიადემების, ყელსაბამების, სამაჯურების და ნვივსარტყელების ბზინვარება.

უფლისწული ავდარს გარიდებული მოლაღურივითაა. იგი ფეხშიშველა მოაბიჯებს, სელის ნაკეცებიანი კაბა ოდენ თეძო- ბარძაყებს უფარავს. თვალში გეცემა მისი წაგრძელებული სხეულის სიგამხდრე. მოგვიანებით მამაჩემისგან გავიგე, რომ მისი სუსტი აღნაგობის გამო ყველანი ფრიად შეშფოთებულნი იყვნენ. ამასთან ერთად, ზოგჯერ კანკალი აუტყდებოდა და თავიდან ფეხებამდე აძაგძაგებული ძირს ეცემოდა. „ვერ ამჩნევ, როგორი წაწვეტებული თავის ქალა აქვს? ზოგიერთები ფიქრობენ, მოწიფულობამდე ვერც მიაღწევსო“.

მთელი დღე არც ნეფერტიტი და არც მე აივნიანი დიდი დარბაზიდან არ გამოვსულვართ. ღამით ამოვარდნილი ქარი კედლებს ეხეთქებოდა. დედოფალს უეცრად კაეშანი შემოაწვა, მოუსვენრად დაწრიალებს ძუ მგელივით, სიკვდილის მოახლოებას რომ გრძნობს და ყმუილს ძლივს იკავებს.

– სიკვდილ არ არსებობს. ეხნატონი მარად ცოცხალია! – წამოვიძახე მე.

ისე შემომხედა, თითქოს ვერ გაიგო, რა ვთქვი.

როგორ სურს, გვირგვინოსანი თანამეცხედრე და მისი ქალაქი დროის მსახვრალი ხელისაგან დაიფაროს!

მაგრამ ეს ტვირთი მეტისმეტად მძიმეა მისთვის, ლამის წელში გაწყვიტოს.

მე ჩემსას ვაგრძელებ:

– იმედის ქალაქი გაცოცხლდება. შეიძლება დიდი ხნის შემდეგ, სულ სხვა ადგილას, მაგრამ ის გაცოცხლდება!

დედოფალი უჩუმრად მტოვებს და აივანზე უდაბნოდან მონაქროლ ქარს ეგებება.

ვხედავ, აივნის მოაჯირზე დაყრდნობილ დედოფალს სახე სანაპირო პიტალო კლდეებიდან მონაბერი ქარისათვის მიუშვერია, თითქოს სურს, სილამ ამოუვსოს თვალები, ცხვირი, პირი და ასე შეერწყას მარადისობას. ქარი კაბის კალთებს უფრიალებს, მტვერი ზაფრანისფრად ედება სახეზე, მკლავებზე.

ფეხაკრეფით მივუახლოვდი და აივნის კუთხეში მივიყუჟე. მდუმარედ თანავუგრძნობ სასოწარკვეთილს. თან ვცდილობ, მტვრისგან დავიცვა ჩემი გრაგნილი, მოვარიდო კალამს ეს მოყვითალო ნადები. სილა ყველაფერში ღრმად ჯდება.

დედოფალი წელში იმართება, თითქოს უეცრად გადაწყვიტა, მიიღოს უდაბნოს გამოწვევა, მაგრამ სულის სიღრმეში კიდევ ერთხელ რაღაცა ჩასწყდა.

ჩამკვდარი სული! ასე ვიტყოდი, უკვე ჩამქრალი, მინავლული, იმ ბეწვის ხიდზე დაკიდებული, ეს-ესაა რომ ჩაწყდება...

– ხვალ უკეთესი დილა გაგვითენდება! – გავძახი სიცარიელეს.

ასეთმა სასოწარკვეთამ შეიძლება ყველა ადამიანი მოიცვას და იმ უფსკრულივით შთანთქას, რომელიც სრულიად მოულოდნელად, ზოგჯერ უმნიშვნელო მიზეზითაც კი შეიძლება გაჩნდეს სულ მცირედი, რაღაც უმისამართოდ წამოსროლილი სიტყვის გამო. ამიტომ მივეჩვიე ფხიზლად, მოთმინებით ველოდო.

– ხვალინდელი დღე სასიკეთოდ მოტრიალდება!

ჩემი სიტყვები ქარს მიაქვს.

ამ საღამოს მარტოობის მარწუხები მეტისმეტად შემოეჭრა. ამ საღამოს მხოლოდ ეხნატონს შეეძლო მისი შველა. მისკენ მომავალს, მისკენ ხელებგაწვდილს შეეძლო ეხსნა ის საკუთარი თავისაგან, გამოეყვანა ამ წყვდიადიდან.

როგორც იქნა, ეს ღამეც გავლიეთ!

ქარი ჩაწყნარდა. უდაბნომ ჩაიბრუნა ჰაერში ატაცებული ქვიშა, მოწყალების თვალით გადმოგვხედა ჩვენც და ამ ქვებსაც.

რა ცოტა კმარა ამ დილით, რომ ზეციური მადლი მოგვეცხოს, რომ ფართოდ გაშლილ ცისქვეშეთში ღრმად ჩავისუნთქოთ სუფთა ჰაერი, რა ცოტა კმარა...

დედოფალს მივეახლე, ბროწეული გავუწოდე, ვარდისფერი, მომჟავო წვენით სავსე მარცვლებიანი ბროწეული...

რა ცოტა კმარა იმისათვის, რომ კვლავ გავიცინოთ გულიანად, ისე, წარსულში რომ გაგვიცინია, რომ კვლავ წარმოვიდგინოთ სასახლის ფართო კიბეებზე ჩამომავალი ახალგაზრდა ნეფერტიტი რუიასთან, მერინესთან და სხვა გოგონებთან ერთად.

„კიბეზე ჩამოვრბივარ. სეკეა კალათით ხელში დინჯად მოგვყვება, მერე გვიახლოვდება, ბროწეულებს გვირიგებს, აი, ასეთ ბროწეულებს, ბუბასტოს. მარცვლები სკდებიან ჩვენს კბილებში და წვენს ვისრუტავთ.

რა თამაშებით არ ვერთობოდით! ხილის ნაყოფს ან კენჭებს მაღლა ვისროდით და ვიჭერდით, შაშს ვთამაშობდით, ორნი ერთმანეთს ზურგით ვეკვროდით, ხელებს აქეთ-იქით ერთმანეთს მაგრად ჩავჭიდებდით, მეორე წყვილი კი დაგვეჭიდებოდა, რათა გავეცალკევებინეთ. მერე სეკეა ნიშანს გვაძლევდა და სიცილ-კისკისით ტრიალობანას ვაჩაღებდით, ვბზრიალებდით თავბრუს დახვევამდე, დავარდნამდე.

ტამიტი, ჩვენი კატა, ფეხებში გვედება. ძაღლი ნები თვლემს. ცალი თვალი მიულულავს. მაიმუნები ხიდან ხეზე ხტიან, მერე მოგვიცუცქდებიან, რათა ხელში ბანანი ჩავუდოთ.

შენი მაიმუნი სადღაა, ბუბასტოს?“

თავი ჩავქინდრე და ჩავიბურდღუნე: „მოგვიანებით..."

დედოფალმა კი ისე გააგრძელა, თითქოს არაფერი უკითხავს ჩემთვის.

სევდა შემომაწვა. ჩემი მაიმუნი სენბი იმ ხანებში გაქრა, ეხნატონი რომ მოკვეთეს აქედან. იმ საზარელი დღეების ორომტრიალში სენბი ისე გამეპარა, ვერც კი შევნიშნე. გონს რომ მოვეგე, გვიან იყო...

წლებმა განვლო, მაგრამ ზოგჯერ, ჩემდა უნებურად, მგონია, ნანგრევებიდან ამოძვრება, მომახტება და თავის გრძელ მოქნილ მკლავებს შემომხვევს.

„მებაღეთუხუცესი შედუ ბაღების განაპირას პატარა ქოხში ცხოვრობდა. ხშირად ვსტუმრობდით მას, ვუყურებდით, როგორ მუშაობდა და ვუსმენდით ენაწყლიანს. ტანმორჩილი, ფართოსახიანი შედუ კარგად უვლიდა ბაღებს.

ერთხელ...

ყრმა ამენოფისი, აშკარა იყო, რაღაც მომენტში დაუსხლტა ამალას და ვაზს ამოფარებული იმალებოდა. ჩემს მეტს არავის შეუნიშნავს ის. ჩუმად მანიშნა, არ გამემხილა მისი იქ ყოფნა. ამენოფისი გასუსული, გარინდებული იდგა, სახეზე ცნობისმოყვარეობა ეხატა. თვალს ვერ ვწყვეტდი მას“.

სიტყვა ჩამოვართვი: შედუს მუდამ წესრიგში ჰქონდა ბაღები, ლამაზად შეკრეჭილი გაზონები გადამკვეთი ხეივნებით. მისი შერჩეული იყო ყვავილების ფერები. ის წყვეტდა, რა სიხშირით დარგულიყო ვაზი ვენახში. ამაყობდა იმ თვრამეტი სახეობის ხეების ჯიშებით, რომლებიც სამეფო ბაღს ამშვენებდა. ყოველ ტალავერს თავად უვლიდა, ზრუნავდა, რათა იქ მისული სტუმარი სრულად დამტკბარიყო მუდამ დაცვარული ფანჩატურით თუ პატარ-პატარა საგუბრებში მოტივტივე დუმფარებით. თვალი ეჭირა, როგორ იღებდნენ მებაღეები აუზიდან დოქით წყალს კვლების მოსარწყავად...

როდესაც დედოფალი ჩუმდება, ვცდილობ, სიტყვა შევაშველო, მეც შევავსო ნაამბობი. თხრობის ძაფი რომ არ გაწყდეს, ვცდილობ, გეზი მივცე მას, მკაფიოდ წარმოვაჩინო წარსული. დრო ხომ შლის ან აუფერულებს გარდასულ დღეებს. რა წარმოდგენა ექნებათ ჩვენზე, თუ არ დავხატავთ ჭეშმარიტ სურათს?

ზოგჯერ მგონია, ნეფერტიტი თავის თავში ჩაიკეტა, თავის თავს ელაპარაკება. ხანდახან მისი სიტყვები ფერფლად აქცევენ ხილვებს, რათა გეენის ცეცხლმა შთანთქას ისინი. აი, აქ კი ჩანაწერები მცირედ გადახედვას საჭიროებენ. ამიტომ ვუხმობ ჩემს მოგონებებს, მათზე დაყრდნობით ვუსვამ დედოფალს სხვადასხვა კითხვას. ვებღაუჭები ყველა წვრილმანს, რაც მეხსიერებას შემორჩა, რაც ჯერ კიდევ ფეთქავს.

„შედუ გატაცებით ყვება ომის ამბებს. მე კი ამენოფისს მივშტერებივარ. მას მკაფიოდ გამოხატული წაგრძელებული სახე აქვს, ღრმა, ჩაძირული თვალების ნათელი გამოხედვა. არის მასში რაღაც ხალასი, რაც მათრობს.

ასე, ბუბასტოს, ვზივარ გოგონებთან ერთად. შედუ აგრძელებს საგმირო ამბების მოყოლას. მე კი ისევ ვაზს ამოფარებულ ამენოფისს მივჩერებივარ. ჩვენი შედუ უფრო და უფრო იგზნება, ძარღვები ებერება, ხმას უწევს. სეკეა ტაშს უკრავს ჩვენს მეომართა გამარჯვებებს.

მე ისევ ვერავის ვამჩნევ გლახაკივით ყველასგან გარიყული ამენოფისის გარდა. იგი შედუმაც შენიშნა და მცირედ დაცხრა, მოთოკა ვნება...“

შედუს სამყარო მხოლოდ მცენარეებით შემოიფარგლებოდა. იგი ბუნების ყველა საიდუმლოს იყო ნაზიარები: „მოლაღურის ქონი საუკეთესო საშუალებაა ბუზების წინააღმდეგ, თევზის ქვირითი რწყილებს სპობს...“ მწერების, ვირთხების, ხვლიკების და გველების გარდა მტერი არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ შედუ მხოლოდ ომებში გამარჯვებაზე და საბრძოლო დიდებაზე ოცნებობდა! ამ მებაღეში გმირი ფარაონის უდრეკი სული სახლობდა. როგორ უელავდა თვალები, ხელებს იქნევდა, ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა. რუიას, მერინეს, სეკეას და სხვებსაც შიშის სასიამოვნო ჟრუანტელი უვლით ამ ამბებს მოსმენისას.

– მერე, შედუ, მერე?!

შედუმ განაჩენი გამოუტანა მტერს: „იმ უღირსთ“ გადაწვეს ჩვენი ქალაქები, გაჟლიტეს ყველა სულდგმული. ამიტომ შედუმ ალყა შემოარტყა მათ ქალაქებს, დაატყვევა მთელი მოსახლეობა, ბორკილები დაადო მათ, ბოძებზე გააკრა და გახურებული შანთებით დადაღა.

ამენოს უკვირდა, ვერაფერი გაეგო მათი, ვისაც თითქოს ერთი სული ჰქონდა, თავად გამოეჩინა ის სისასტიკე და ავკაცობა, რომლითაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი მათ თავზარს სცემდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ.

„შედუს სიტყვები სადღაც შორიდან, ნაწყვეტ-ნაწ-ყვეტ აღწევენ ჩემამდე. მე და ამენოფისი ერთმანეთის მზერაში ვიძირებით. თვალებს ვხუჭავ, რომ მისი ხატება შიგ ჩამრჩეს.

შედუს ხმა დოლის ბრაგუნივით ჩამესმის. მთელი არსებით შორს, სადღაც სხვაგან ვარ.

ბალში მყოფნი კი ფარაონ შედუს წარმატების მოწმენი არიან. მას შეძახილებით ხვდება ხალხი, ქურუმები ხოტბას ასხამენ, ქების სიტყვებს არ იშურებენ. შედუ კისერზე თოკგამობმულ ტუსაღებს წინ მიერეკება. მტრის ბელადები დიდი ზარ-ზეიმით დახოცეს. გამძვინვარებული შედუს ღრიალი ჭექა-ქუხილივით გაისმის.

ქალები ერთმანეთს შიშით ეკვრიან.

ქალაქად თუ მის გარეთ, ველად თუ უდაბნოში ფარაონ შედუს ქება-დიდებაა.

უეცრად ამენოფისი წამოიმართა, წამოდგა და ჩვენკენ წამოვიდა. ციებიანივით კანკალებს, ენა ებმის. შედუმ ახლაღა შენიშნა ის და მიწაზე გაერთხა. ამის დანახვაზე ამენოფისს თვალებზე ცრემლი მოადგა, ანიშნა შედუს, წამომდგარიყო და, როგორც იქნა, მოახერხა, წარმოეთქვა:

– აღარ გვინდა ომები, იყოს მშვიდობა მთელ დედამიწაზე. შენ კი, შედუ, წამოდექი და არავის წინაშე არ დაემხო, არავის!

ამენოფისი გაგვშორდა არცთუ მტკიცე ნაბიჯით.

შედუმ და სეკეამ ერთმანეთს გადახედეს. ჩემი მეგობრები რაღაცას ჩურჩულებდნენ. მე კი მსურდა, დავდევნებოდი, დამეყვირა მისთვის:

– მეც ასე ვფიქრობ, ამენოფის, შენ გვერდით, შენთან ერთად ვარ.

მაგრამ სეკეამ მტკიცედ ჩამჭიდა ხელი და შემაჩერა.

მეფის ამალა, უეჭველია, უკვე ეძებდა უფლისწულს. რა დაინახეს, მიეახლნენ. დიდებულნი და დიდქურუმნი მოცვივდნენ, გადაეფარნენ, როგორც ნადავლს რასმე.

მე მას ველარ ვხედავდი“.

არ ვიცი, სად ან როდის ისურვებს დედოფალი, გაგრძელოს თხრობა. ამ მოლოდინში საკუთარი მოგონებების ხეივნებში დავეხეტები, სიტყვას სიტყვაზე ვაბამ, ვაკონწიწებ. როგორც ლერწმიდან კალამი, ისე რუდუნებით გამომყავს სიტყვები, რათა საუკუნეების შემდეგაც ყველას ეუწყოს ეხნატონის, ნეფერტიტისა და მათი სიყვარულის ამბავი. ყოველივე ამის მოწმე გახლავართ, რადგან მამაჩემმა ამენომ – ნათელში იყოს მისი სული! – მეჭურჭლეთუხუცეს ტუტუსთან მეგობრობის წყალობით უმცროსი მემატიანის ადგილი მომიხერხა. ჩემი მოკრძალებული თანამდებობა და ასევე გარეგნობა ყოველთვის მეხმარებოდა, შეუმჩნევლად შევპარულიყავ იქ, სადაც მათ შორის სიყვარულის პირველი ძაფი იბმებოდა.

სიყვარული?.. მე მისი ოდენ მეხოტბე ვარ, თორემ თავად განა ვინ შემიყვარებდა? ვინ გაეკარებოდა ჩემს სხეულს, პირმორღვეულ ქერის ტომარას რომ ჰგავს? ვინ მოეფერებოდა ჩემს გადახნულ სახეს, თუნდაც მოცინარს, ხანაც ცრემლებად დაღვრილს? დიახ, ჩემი სხეული გრიგალივით ამსხვრევდა გრძნობის გამხელის მცირედ მცდელობასაც კი.

და მაინც არაფერი შეედრება სიყვარულს, გრძნობას, რომელიც გვალაღებს და გვტანჯავს, გვადიდებს

და გვამცირებს. ის საოცრებაა, ყველაზე მტკიცედ გამაგრებულ ქალაქზე უფრო შეუვალი, ყოველგვარ ფილოსოფიაზე მაღლა მდგარი! კარგად გამიგეთ: აქ იმ სიყვარულზე მოგახსენებთ, რომელიც აღგვამაღლებს, ნეფერტიტის და ეხნატონის იმ ორმხრივ სიყვარულზე, რომელიც თავად ვიხილე, როგორ დაიბადა და მერე ხორცი როგორ შეისხა. ამ სიყვარულს თავად შევტრფოდი და დღემდე გზას მინათებს.

რაც შეეხება გრძნობას ხორციელს... შორს ვარ იმისგან, რომ ზიზღით თვალი ავარიდო მას. აქ ყველაფერი რიგზე მაქვს, საჩემო ყველაფერი უხვად მიმიღია. მიუხედავად ჩემი უდღეური გარეგნობისა, ვაჟკაცობაში არ მოვიკოჭლებდი. დიახ, ტკბობა-სიამოვნება არ იყო უცხო ჩემთვის. დამილევია იმდენი, რომ უგონოდ მთვრალი ძლივს დავბარბაცებდი. დოლზე ისე დამიკრავს და მიცეკვია-მიბუქნავია, რომ ქვეყანა ჩემი მგონებია.

ხშირად ვსტუმრობდი მოცეკვავე და მომღერალ ქალებს, სიძვის დიაცებს რომ ეძახიან. გულკეთილები არიან, მათგან ვისწავლე, რაა ტკბობა სიახლოვისა. მეხვეოდნენ. ვნებივრობდი მათ მკლავებში, მკერდზე, მუცელზე.

ნეფერტიტი და ეხნატონი ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილები. ეს ბედიც იყო და კეთილი ნებაც დედოფალ თიიასი, რომელიც ამ ქორწინების მოსურნე იყო. თუმცა მამაჩემი ფრთხილად ეკიდებოდა ამ კეთილი ნების გამოვლინებას და მიაჩნდა, რომ თიია ყოველთვის სამეფოს ინტერესებს დააყენებდა ყველაფერზე მაღლა. ვინ იცის, ამბობდა მამაჩემი, რას უქადის

ხვალინდელი დღე ესოდენ უზარმაზარ ქვეყანას? მხრებს ვიჩეჩდი, ვერ ვწვდებოდი მის შორსმჭვრეტელობას.

როცა ახალგაზრდობას იგონებს, დედოფალი სრულიად იცვლება, თითქოს მდინარეში შედის და იქიდან ახალი ძალ-ღონით დამუხტული გამოდის. წელში იმართება, გულმკერდს შლის. უწინდებურად მინარნარებს თეძოების ნაზი რხევით, მხიარულად, ცოცხლად, ჰაეროვნად, თითქოს მიწას არც ეხებაო...

„გავრბივარ, ბუბასტოს, როგორც კი ამენოფისს დავინახავ, მისკენ გავრბივარ. ვერაფერი მაკავებს. ბაღის თუ სასახლის ყველა კუთხე-კუნჭულიდან მისკენ მივილტვი. მაგრამ ამონის დიდი ქურუმები, რომლებსაც მისი აღზრდა-განათლება ავალიათ, ფხიზელ თვალს არ აშორებენ მას. ამაოდ ვაწყდები მათ მიერ აღმართულ შეუვალ ზღუდეს.

გავიგე, რომ უფლისწული ცოდნის წყურვილით გულმოდგინედ დასწაფებია სწავლას.

მოთმინებით ვიცდიდი, რადგან დედოფალ თიიასგან ვიცოდი, შევუღლდებოდით. მაშინ, ეს რომ გამანდო, თანხმობის ნიშნად თავი დავხარე. თავი დავხარე იმიტომაც, რათა დამემალა, სახეზე ალმური რომ მედებოდა და გული ძალუმად მიძგერდა. გრძნობის ესოდენ სააშკარაოზე გამოტანას არ მოიწონებდა ეს ბუნებით მკაცრი ქალი, რომელმაც ისევე კარგად იცოდა საკუთარი თავის მოთოკვა, როგორც სხვების.

ერთ დღეს სასახლის კარის სკოლაში ვიყავი, სადაც ფარაონის სანათესაოს გოგონები და დიდი ვეზირის ქალიშვილები დადიოდნენ. ამ კვადრატული ფორმის შენობის კარებს ზაფხულობით ღიას ტოვებდნენ. იმ

დღეს ერთ-ერთი კარის მახლობლად ვიყავი ჩამუხ-ლული ჭილოფზე. ჩვენი მოძღვარი, ხანში შესული კაცი, ჩვენ წინ იდგა. მთელი სიცოცხლე ხელნაწერებში ცხვირჩარგული, იგი თითქმის ბრმა იყო. წარმოიდ-გინეთ, არც ნანობდა, რადგან, წერა-კითხვამ რაც შესძინა, თვალის ჩინი იმისთვის გაღებულ მსხვერპლად ულირდა. ცდილობდა, ჩვენთვისაც გადმოედო ეს გზნება. „ვერაფერი მოვა წიგნთან ახლოს, ადამიანიც კი, რომელიც კვდება, მიწად იქცევა. წიგნი გადას-წონის ნებისმიერ სასახლეს, რაოდენ მყარადაც უნდა იყოს ის ნაგები“.

ჩვენმა მოძღვარმა იცოდა ანგარიში, განსწავლული იყო ციურ სხეულებში, გრამატიკაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში როგორც კაცობრიობის, ისე ღვთაებათა. „ნაწერი, – განაგრძობდა ის, – არც რკინის სვეტებია და არც ბრინჯაოს პირამიდები. პირველთ ნელ-ნელა ქვიშა დაფარავს, მეორენი დავიწყებას მიეცემიან თავიანთი დარბაზებით. ნაწერს კი, თუ ის მართლაც რამედ ღირს, კითხულობენ და მუდამ წაიკითხავენ“. ხშირად ზეპირად გვიკითხავდა ძველ ტექსტებს. ამ დროს მისი თვალები, მთელი მისი სახე თითქოს წარიშლებოდა და დარბაზში ალარაფერი იყო თვინიერ სიტყვისა და ბაგისა, ეს სიტყვა რომ სწყდებოდა.

ვიღაცის მზერას ვგრძნობ. თავს ვაბრუნებ და ბალს თვალს ვავლებ. ამენოფისი ერთ ხესთან დგას, მელო-დება. განძრევას ვერ ვბედავ. მერინემაც შენიშნა ის, იდაყვს მკრავს და მუჭში იცინის.

მოძღვარმა მიხსნა გასაჭირისგან: მთხოვს, ნების-

მიერი ლექსი ვთქვა. ვდგები და მივმართავ ამ ღია კარს, მის იქით ბაღს, ხეს, ამენოფისს, მხოლოდ მას ერთს:

„ჩემო სულო, შენთან ერთად ყველგან შევალ,
ყველგნით გამოვალ.

აბა, შეხედე, რა ძლიერს მხდის ის სიყვარული,
შენი მამაცი გულიდან რომ მოედინება“.

ადგილიდან ისე ვწყდები, თითქოს რაღაც ძალამ მიმიზიდა. კარის ზღურბლს ისე გადავევლე, მოძღვარს არც უცდია, შევეჩერებინე. მისკენ მივქრი. მიუხედავად საშინელი სიგამხდრისა, ამენოფისი გოლიათად მეჩვენება. ვაკვირდები მის სახეს მსხვილი ტუჩებით, ნამძინარევივით თვალებით, ძალიან გრძელი ნიკაპით, ჩემი მეგობრები მახინჯად რომ მიიჩნევენ.

მივუახლოვდი. ხელი გამომიწოდა.

ახლა ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, ვერც დიდი ქურუმები, ვერც მეგობრები, ვერც სეკეა! ხეების ჩრდილს მივუყვებით. თანატოლები ვართ, თექვსმეტი წლისანი.

ჩემს გაყინულ ხელს მისი ხელის სითბო ეამა. მან კი ჩემთან გაიგრილა მხურვალე ხელი. საერთოდ ბევრი ლაპარაკი არ სჩვევია. ახლაც დუმს. ჩვენი სახეები ერთმანეთს ეხება. ორივეს ჟრუანტელმა დაგვიარა. რაღაც უხილავმა ძაფებმა ერთმანეთს სამუდამოდ დაგვაკავშირა.

მალე ყველამ იცოდა ჩვენი სიყვარულის შესახებ.

ერთხელაც ვსაუბრობდით. მე ჩემს მოძღვარზე ვუყვებოდი, ის – თავისაზე.

– დადგება დღე, როცა წერა-კითხვა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.

ვერაფერი გამეგო. ვიცოდი, რამდენ დროს, რუდუნებას და ძალისხმევას მოითხოვდა სწავლა. მაგონდება, თავდაპირველად მხოლოდ ქვის ან თიხის ფირფიტებს გვირიგებდნენ, რათა ჯერ კიდევ გაუწაფავთ, პაპირუსის სიწმინდე არ შეგვებღალა. ისიც მახსოვს, ბოლოს რა დიდის ამბით გვცნეს სუფთა ქაღალდის ღირსად, რა სასოებით ჩაგვაბარა თითოეულს მოძღვარმა და მუხლებზე გაგვაშლევინა ცინცხალი გრაგნილი, ხელის როგორი განსაკუთრებული მოძრაობით აწებდა ლერწმის კალამს შავ მელანში და გვაწვდიდა, ჩვენ კი მერე გულისფანცქალით ვადევნებდით თვალს პირველ მოხაზულობათა გამოჩენას.

– რამდენი მასწავლებელი უნდა იყოს, რამდენი სკოლა?!

– უნდა გამოინახოს. გამოვნახავთ, – შემაწყვეტინა ამენოფისმა. მას საოცარი უნარი შესწევს, ისეთი ძალა მისცეს თავის სიტყვებს, რომ დაგარწმუნოს.

შევამჩნიე, უეცრად გაფითრდა, საფეთქლებს იზელს. ვიცოდი, რომ მოსდიოდა ასეთი რამ; აკანკალდებოდა, მერე ძირს ეცემოდა, მაგრამ თავად არასოდეს შევსწრებივარ. ზოგი თვლიდა, რომ მას რაღაც თანდაყოლილი სენი სჭირდა, სხვებს სწამდათ, რომ ეს მისი ღვთაებრიობის ნიშანი იყო. ჩემთვის არც ერთს არ ჰქონდა მნიშვნელობა. მთავარი იყო, მისთვის ტანჯვა შემემსუბუქებინა. ტკივილმა სახე დაულმიჭა,

ყბა მოუქცია, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა.

– წადი, ნუ მიყურებ, – ამოიხრიალა.

მაგრამ არაფერი მისი ჩემში ზიზღს არ იწვევდა. მისი ტანჯული სხეულის ყოველი უჯრედი მიყვარდა. აცახცახებული ტუჩებით ვეკვროდი მის სველ ტუჩებს, ოფლიან სხეულს. ასე დავრჩებოდი მის გვერდით, სანამ შეტევა არ გაუვლიდა, მაგრამ თვალებით მევედრებოდა, მარტო დამეტოვებინა, და მეც გავეცალე. შეძრწუნებული.

მოგვიანებით ამენოფისმა დამარწმუნა, რომ ისწავლა, როგორ დაიმორჩილოს ეს თავისი სნეულება, ისწავლა, როგორ ააყოლოს სხეული კრუნჩხვებს სრულ გონდაკარგვამდე, ისწავლა, ბოლო ბიძგის დამთავრებისთანავე როგორ მოეგოს გონს. ამბობდა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ კუნთები საამოდ ეშვებოდა და საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა კიდურებში.

მერე, იმ დიდი ხნის მანძილზე, როცა ის ჩემ გვერდით აღარ იყო, ამენოფისის ფიქრები, მისი სიტყვები მუდამ თან მდევდა.

ჩემდა თავად უსამართლობად მიმაჩნია, წერაკითხვა კალმოსანთა და წარჩინებულთა პრივილეგია რომაა. ჩვენი სამყარო მაშინ შეიცვლება, როდესაც ყველა ადამიანს შეეძლება თავისი ნიჭი წარმოაჩინოს! „ყველა ადამიანს...“ ეს სიტყვები იქნება მარად მათი გზამკვლევი.

რას იტყოდა ამაზე, ბუბასტოს, მამაშენი – დიდი მემატიანე ამენო?“

მამაჩემი ყოველთვის პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა იერარქიას და მსაყვედურობდა გულგრილობას პატივმოყვარეობისადმი.

– ვერასოდეს ელირსები მაღალ თანამდებობას, ქვეშევრდომებს. სულ ასე მაჩანჩალად დარჩები!

ბევრჯერ სცადა, ვეზიარებინე მართვის თუ თანამდებობის პირთა ქცევის საიდუმლოებებს, ომის კანონებს, ვაჭრობის წესებს. მის მიერ დასმულ კითხვებს, თუ რა რაოდენობის სანოვაგე სჭირდება ომში მიმავალ ჯარის ნაწილს ან რამდენი აგური მოუნდება ამა და ამ სიდიდის სიმაგრის აშენებას, დუმილით ვპასუხობდი. გაწბილებული მამაჩემი მუდმივად ჩრდილში ყოფნას მიწინასწარმეტყველებდა. კალმოსანს თუ სურს, თავი წარმოაჩინოს ხელისუფალთა თვალში, თავისუფლად უნდა შეეძლოს სხვადასხვა სამსახურის გაწევა.

ბოლოს და ბოლოს ამენომ ჩათვალა, რომ, ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მხოლოდ გადამწერად თუ ვივარგებდი და ხელი ჩაიქნია ჩემზე. მართლაც, საოცრად ლამაზი კალიგრაფიით გამომყავდა თითოეული ნიშანი მწვანე, ლურჯი და ყვითელი მელნით, როცა ლექსს ან მოთხრობას ვიწერდი. ჰოდა მამაჩემმა, ის იყო, მოურავ ტუტუს სთხოვა ჩემზე, იმსა-

ხურეო. ამანაც, ჯუჯა ბედნიერებას მომიტანსო, მაშინვე მიმიღო; უმნიშვნელო, წვრილმან რაღაცეებს მაწერინებდა. შიგადაშიგ თავისუფალი დროც მქონდა, თუმცა მოგვიანებით, როცა შენიშნა ჩემი სიახლოვე უმცროს ამენოფისთან – იგი ხშირად მიხმობდა თავისთან, – მოურავმა მომთხოვა, ჩანაწერები გამეკეთებინა მომავალი ფარაონის ქცევების შესახებ. თავად ტუტუ უსაზღვროდ ერთგული იყო უფლისწულისა.

ამ ჩანაწერებმა დიდად განავითარა ჩემი დაკვირვების უნარი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმ უბედურ დღეებში დაიკარგა, ზოგიერთი ადგილი ცოცხლად შემორჩა ჩემს მეხსიერებას და ახლაც თვალწინ მიდგას; თავისუფლად შემიძლია გადავიტანო ისინი გრაგნილზე.

იმ ხანებში დიდი ვეზირი რამოსიც კეთილად იყო განწყობილი ჩემდამი, განსხვავებით დიდქურუმ ჯადესგან, რომელიც ავ თვალს არ მაშორებდა. საკმარისი იყო, სადმე გადავყროდი, „ცარიელ ქოთანს“ და „შუბლძარღვგაწყვეტილს“ მეძახდა. გაჯოხვით მემუქრებოდა, თუ კიდევ ერთხელ დამინახავდა მეფის ამალას ადევნებულს. საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ მიყურებდა, სასაცილოდ არავის ვყოფნიდი და ჯადესაც, ლანძღვა-მუქარას რომ გადმომაფრქვევდა, მალევე ვავიწყდებოდი.

„ბალის განაპირას, ხეივანს რომ ჩაათავებ, ერთი მიყრუებული ადგილი აღმოვაჩინეთ და იქ ვხვდებოდით ერთმანეთს. მხოლოდ იქ ვახერხებდით, გავრიდებოდით ასობით ცნობისმოყვარის მზერას და ერთმანეთის პირისპირ მარტო დავრჩენილიყავით.

ამენოფისს ხშირად თვალები ნახევრად დახუჭული აქვს, გეგონება, წყლითა აქვს სავსე და ეშინია, არ გადმოეღვაროს.

აი, ვხედავ, როგორ მელოდება შებინდებისას. ჩამომჯდარა, თავი ოდნავ გვერდით გადაუხრია. ვუახლოვდები, მისი სავსე ტუჩები სულ ახლოსაა ჩემთან. საჩვენებელი თითი მოვავლე მის ოდნავ შესამჩნევ ღიმილს. მთრთოლვარე ბაგე და ნესტოები. სული ანკარა და ფაქიზი. გამხდარი, ნაზი სახის ნაკვთები. გამჭოლი მზერა იდუმალ, უკიდეგანო სამყაროს სწვდება, სადღაც შორს, უსასრულობაში იკარგება. შესამჩნევად წინ წამოზრდილი ცხვირი და ნიკაპი. მუდამ ოფლით დაცვარულ კანზე სულის სიღრმიდან მომავალი ბიძგები თითქოს უფაქიზეს სიმებს არხევენ. ამენოფისის არსება ყოვლისმომცველია, გარესამყაროს ყველა წერტილთან აქვს შეხება. ვგრძნობ, ის მუდამჟამს ჩემთანაა, მიზიდავს, მაღელვებს. მისი ოცნებების ტალღა

მიტაცებს, ელვის სისწრაფით ვწვდები მის ფიქრებს, ბრძნულს თუ სრულიად გიჟურს.

მაშინ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი, დროის როგორ მარწუხებში ვიყავით მოქცეული.

ანაზდად ამენოფისი ლაპარაკს იწყებს სიკვდილზე, ღმერთებზე, ბედნიერებაზე, მშვიდობაზე...

– ჩვენი წინაპრები მუდამ სულის უკვდავებაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ჯერ არავინ მობრუნებულა საიქიოდან, რომ გვამცნოს, როგორ ცხოვრობენ გარდაცვლილნი, რა აწუხებთ მათ. საიქიო მხოლოდ ანარეკლია სააქაოსი. განა ვინმეს შემოუდვია სული ცალკე აქაურ და ცალკე იქაურ სასწორზე? რით იზომება სიკეთე, ბოროტება?

ჩვენ ამაზე პასუხი არ გვქონდა და ამენოფისი არც ელოდა მას. იგი ამ კითხვებს ბებერ დედამიწაზე ახალი კვლების გასაყვანად სვამდა.

– ღმერთები სამღვდელოებას უპყრია ხელთ. სიკვდილი მათთვის ერთგვარი ხაფანგია.

ამ სიტყვებში დედოფალ თიიას გავლენას ვგრძნობდი. სეკეას ხშირად შეუნიშნავს დედა-შვილი ერთად; ისინი ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. დიდი ხანია, თიია ცდილობდა, ეხსნა სამეფო კარი ამონის თაყვანისმცემელთა მარწუხებისგან. ამენოფის მესამესაც აღიზიანებდა მათი უსაზღვრო ძალაუფლება, მაგრამ, ნადირობით გართულს, არ ეცალა მათთვის და დიდი ქურუმებიც ლაღად გრძნობდნენ თავს. თუმცა დროდადრო ამჩნევდნენ თავზე შემოკრებილ შავ ღრუბლებს.

მიუხედავად საკმაოდ მტკიცე ხასიათისა, დედოფალი მაინც ქალი იყო. რაც შეეხება ტახტის ერთა-

დერთ მემკვიდრეს, ის მხოლოდ და მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა, სნეული უფლისწული იყო, რომელსაც მალემსწრაფ სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ.

– მიცვალებულთა სამკვიდრო არ ჰყოფნით, – განაგრძობდა ამენოფისი, – ცოცხლებისასაც უნდათ დაეპატრონონ! ამ დიდ ქურუმებს უზარმაზარი სამფლობელოები აქვთ, ათასობით სული საქონელი, მწერალთა მთელი ჯარი ჰყავთ. ახლა რამდენი მუშა და გლეხი ემსახურება მათ! წესრიგის მცველნი მათ ბრძანებებს ემორჩილებიან, მოურავები სრული უფლებამოსილებით განკარგავენ მათ სავარგულებს. ისინი იმკიან მეომარი ფარაონების გამარჯვებების და ხალხის შრომის ნაყოფს. მდიდრული ტაძრების ფუფუნებაში იხრჩობიან. ოქროში ჩასვეს ახალი სამსხვერპლოები, განსასვენებლები, კოლონები. ღმერთებისა და სიკვდილის შიშით ადამიანები ბრმად ემორჩილებიან მათ.

მცირე პაუზის შემდეგ ამენოფისმა გამანდო:

– სასახლის ერთ დარბაზში დედოფალმა თიიამ ატონის – მზე-ღმერთის ეგვტერი დაადგმევინა. ერთ დღეს წაგიყვან, გაჩვენებ.

უცებ მომეჩვენა, რომ ვილაც გვისმენდა, დაფნის ხეებს ამოფარებული. მგონი, ვიცანი დედოფალ თიიას კაბა და თავსაბურავი, მაგრამ, სანამ კარგად დავინახავდი, მოჩვენება გაქრა.

– კარნაკში ატონის ტაძრის აგებას ვაპირებ, – განაგრძობდა ამენოფისი, – ამ ღვთაებას ოქროს დისკო გამოსახავს, ყოველგვარი ცოცხალი არსების ხატების გარეშე. მას ყველა გაითავისებს. სხივების ბოლოს

სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა – ხელები იქნება, ხელები, რომლებიც გიცავენ, გიფარავენ და გეფერებიან.

მერე პაპირუსის ქაღალდი გამომიწოდა, რომელზეც რაღაც ნიშნები იყო გამოყვანილი:

– შეინახე. ეს ჩემი „მზის სადიდებლის“ დასაწყისი სტრიქონებია. როდისმე დავასრულებ.

„მზეო, ცხოველო დასაბამიდან...
ყოველ ქმნილებათ, შენ, ღმერთო ერთო...
ეს შენით არის ყველა გზა ხსნილი...“

– ვინმე თუ დამტკბარა ადამიანის ან ცხოველისსახიანი ღმერთების ცქერით? მზეს კი უწინდებურად ყველაშეხარის და ასე იქნება მუდამ. ის სიცოცხლეს შთაბერავს, თავად ჩვენშია, მის ხელთაა სიკვდილიც და მკვდრეთით აღდგომაც. ის ჩვენთვის ამოდის, ჩვენთვის!

მოსალამოვდა. პაპირუსი კაბაში ჩავმალე და წამოვედი.

– ...შენით არის ყველა გზა ხსნილი...

მომდევნო შეხვედრისას გულისფანცქალით, აცახცახებული ველოდი ამენოფისს. ბედნიერების ურუანტელი მივლიდა მთელ ტანში მისი გამოჩენისას. ეს გრძნობა ვერავითარმა განსაცდელმა და წლებმა ვერ წაშალა. ყოველ მოგონებაზე ისევე განვიცდი, როგორც პირველად, ყოველ ჯერზე ვისწრაფვი მისკენ, მივფრინავ მისი გაშლილი მკლავებისკენ, მის მხარზე თავს ვდებ უცვლელი გზნებით.

გადია მირჩევდა, თავი შემეკავებინა მეტისმეტად ხშირი შეხვედრებისგან. სეკეა მაფრთხილებდა, რომ, მიუხედავად ჩემდამი კეთილგანწყობისა, ჩვენი ხანგრძლივი განმარტოება ეჭვებს აღუძრავდა დედოფალს. მას ესმოდა ჩვენი, ჩვენი ახალგაზრდული გატაცებისა და უსაზღვრო ლტოლვისა ერთმანეთისადმი, მაგრამ სურდა, თავისი ვაჟის ფიქრების და ზრახვების ერთადერთი თანაზიარი თავად ყოფილიყო.

ამენოფისს ასევე გულით სწადდა, ახლოს ყოფილიყო თავის მშობლიურ ეგვიპტელ ხალხთან, რომელთაგან სასახლის ბინადართ თავი შორს ეჭირათ. ჩემთვის ცნობილია, ბუბასტოს, რომ ვეზირ რამოსის ხელშეწყობით საღამოობით ამენოფისი შენთან ერთად სასახლიდან იპარებოდა, რათა ღამის საფარქვეშ გული ეჯერებინა თებეს ქუჩებში ხეტიალით".

მაგონდება ის საღამოები, როდესაც ამენოფისი და მე – მისი მემატიანე ხშირად ვიპარებოდით სასახლიდან. ბაღს რომ ჩავათავებდით, შემოვტრიალდებოდი, რომ კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავი ამ დიდებული სასახლის ხედით. ის თითქოს ჰაერისა და ლოდებისგან იყო ნაგები მდინარის პირას და გასხივოსნებული ირგვლივ შემოჯარული კლდეებისგან ასხლეტილი მზის მრავალფერი ნათებით.

ჩავუვლიდით სასახლესა და ტაძარს შორის ჩამწკრივებულ სფინქსებს, მერე სამეფო პალმებს, აკაციებს, დუმფარებიან აუზებს, მართკუთხა ხეივნებს და დაკლაკნილ ბილიკებს, ჭასავით მრგვალ მშენებლობებს, ჯერ მიწას რომ არ ასცილებოდა.

უფლისწულს წინ მივუძღოდი, რადგან ბავშვობიდან კარგად ვიცნობდი ქალაქის ქუჩაბანდების ლაბირინთებს.

თუ სასახლის მახლობლად ამენოფისი სახეს ნაწილობრივ მაინც იფარავდა, მოშორებით უკვე თავისუფლად დადიოდა, რადგან ქალაქის მცხოვრებლებს იგი არასოდეს ენახათ და სახეზე ვერავინ სცნობდა. მოურავი ტუტუ ჩვენი მესაიდუმლე იყო. მან გვიშოვა უხეში ტილოს ღარიბული მოსასხამი, რომელიც კიდეც უხდებოდა ყმაწვილ უფლისწულს. ყველგან დამყავდა.

ამ მდაბიო ხალხში, რომელსაც თავად ვეკუთვნოდი, თავს ლაღად ვგრძნობდი. მათსავით გულიანად ვიცინოდი, ვხარობდი, მათსავით არ ვკარგავდი იმედს, რა უბედურებაც უნდა დამტეხოდა თავს, მათთან ერთად სიამოვნებით ვისმენდი ამბებს, რომლებშიც მასხრად იგდებდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და საკუთარ თავსაც დასცინოდნენ. მომწონდა მათი ენამოსწრებული, მაგრამ ყოველგვარ ღვარძლს მოკლებული ხუმრობები.

ამენოფისს ჩემს ახალგაზრდა კოლეგად ვაცნობდი ყველას, სახელად უტას, რომელსაც ვითომდა წერის საიდუმლოებებს ვაზიარებდი. კალმოსანთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომლებიც ამრეზით უყურებდნენ ხელოსანთა საქმიანობას, მე ვაქებდი უტას, რომელსაც სურდა, უკეთ ჩასწვდომოდა მას.

ვსტუმრობდით გავარვარებულ ღუმელთან მოფუსფუსე მჭედელს, დურგალს, რომლის ხელში ხე მშვენიერ სკივრად იქცეოდა. გვერდს არ ავუვლიდით ციცქნა საამქროებს: ერთგან მეწაღე გადმოგვილაგებდა მთელ დასტა სანდლებს, მეორეგან დაბაღი გვიჩვენებდა, როგორ თრიმლავდა ზეთით და ქონით და გამოჰყავდა ტყავი, სხვაგან მექოთნე თავმომწონედ გამოდგამდა მუცელგაბერილ ქოთნებს და ხარხარით ამბობდა:

– ის დოქი, რომლის გაკეთებასაც ახლა ვაპირებ, შენი მოყვანილობისა მინდა იყოს, ძმაო ბუბასტოს! ხომ დამიჯდები?

' შევივლიდით მხატვრების, მოქანდაკეების, ოქრომჭედლებისა და მეიარაღეების სახელოსნოებში. მათ

თაროებზე გამოეფინათ თავიანთი ნაკეთობები და ელოდნენ სამუშაოთა დამკვეთთ, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ, დაიმკვიდრებდნენ თუ არა ეს ქანდაკებები, ქვის ლარნაკები, სარკეები, სამკაულები, მშვილდები და აბჯარ-აღკაზმულობები ადგილს ღმერთების ტაძრებსა თუ მარადიულ განსასვენებლებში.

ბევრი ზედამხედველთა სიკმკაცრეს უჩიოდა:

– მათგან კეთილ სიტყვას ვერ გაიგონებ. „გაანძრიეთ ხელები!“ – სულ ამას გაიძახიან.

არავინ გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ ნივთებზე მათი სახელების ნაცვლად ბატონების სახელები დარჩებოდა.

ყმაწვილი უფლისწული მოხიბლული იყო ამ უნატიფესი ნაკეთობებით და აღშფოთებას ვერ მალავდა, რომ ამ საუკეთესო ხელოსნებს ესოდენ მცირე შრომის საზღაურს უხდიდნენ.

– ეს დაბეჩავებული ხალხი გაცილებით მეტს იმსახურებს. მე მათ საკადრის ადგილს მივუჩენ.

ერთ საღამოს დალაქი ზოფირი შემოგვხვდა. შინ ბრუნდებოდა მთელი დღის ნაჯაფით. შემომთავაზა, მოგაშორებ ამ საშინელ ბანჯგვლს და თვალში გამოვახედებ შენს სახესო. დავუჯექი. ზოფირი მუხლებზე ჩაჩოქილი მპარსავდა, უტას კი ჩირაღდანი ეჭირა. ამენოფისი, გეგონებოდა, ციდან ვარსკვლავს წყვეტსო.

ამ უცნაურ სანახაობაზე ჩვენ ირგვლივ ხალხი შემოიკრიბა. ზოფირმა მყისვე გალექსა, ჩემს ხელმოჭერილობას დასცინა, რისთვისაც არაერთხელ საკადრისად მიმიღია. თუმცა არც მე დავრჩი ვალში

და ჩემს მოსწრებულ პასუხს მხურვალე ტაში დააყარეს. ზოგჯერ ნილოსის ნაპირებამდეც ჩავდიოდით. იქ კალატოზები სააგურე მასალას ამზადებდნენ შლამისაგან, რომელსაც ქვიშას და გალეწილ თივას ურევდნენ. მუშახელი ძირითადად შორეული პროვინციებიდან ჩამოყვანილი ტუსაღები იყვნენ. მერე უდაბნოდან დაბრუნებულ მაღაროს მუშებს ველოდით, ქანცგაწყვეტილები მწკრივად რომ ჩაგვივლიდნენ წინ.

ყმაწვილი უფლისწული ყველაფერს აკვირდებოდა, აყურადებდა, გამოიკითხავდა. მას აოცებდა ეს საშინელი სიდუხჭირე ტაძრებისა და სასახლეების ფუფუნების ასეთ სიახლოვეში. გულს უკლავდნენ ლუკმაპურს დანატრებული ადამიანები.

იმ დროს მსოფლიოს ყველა გზა თებეზე გადიოდა. დელტიდან დაწყებული ვიდრე დიდ ჩანჩქერებამდე ამ ქალაქის გავლით ნილოსით გადაჰქონდათ ათასგვარი ძვირფასი ტვირთი: სანელებლები და კეთილსურნელებანი აღმოსავლეთიდან, საკმეველი პუნტის ქვეყნიდან, სირიული ძვირფასი ქსოვილები, ჭედური იარაღი და ჭურჭელი ფინიკიიდან, მიკენის ბრინჯაო, მოხატული ლარნაკები კუნძულებიდან...

აქ ერთმანეთში ირეოდნენ ნუბიელი ზანგები, გრძელკაბიანი აზიელები, ფინიკიელი ვაჭრები; კრეტის ფერდობებიდან, სპარსეთის ბაღებიდან თუ სირიის გორაკებიდან ჩამოსულნი; მომათაბარენი, ბარბაროსები, უდაბნოს მკვიდრნი, ზღვაოსნები თუ მთის შვილები.

ამენოფისი ყურადღებით უსმენდა ამ უცხოტო-

მელთ. აქ იყვნენ აზიის მეოცნებენი, სხვადასხვა კუთხიდან მოსული მისნები, სულ სხვა ღმერთების მოთაყვანე ღვთისმსახურნი, მკურნალნი განსხვავებული წამლებით თუ პოეტებით, რომლებიც უჩვეულო ჰანგებზე მღეროდნენ.

მაგრამ ყველა მათგანში, სასახლეში შეხვდებოდა მათ თუ მის გარეთ, ამენოფისი ადამიანს ხედავდა.

ბოლო დღეები ნაყოფიერი იყო; ბევრი მოვიგონე, ჩავწერე. ახლა ჩვენს მკვდარ ქალაქს მზის ბოლო სხივი ემშვიდობება. გვიანია. მნათობი მდინარისპირა ყველაზე მაღალ კლდეს ამოეფარა.

მეჩვენება, რომ ამენოფისიდან ნეფერტიტიმდე განვლილი დროის ხიდი გაიდო. ეს ხიდი ახალგაზრდა ფარაონის და მისი ან უკვე ხანდაზმული მეუღლის დამაკავშირებელია, ისევე როგორც უწინდელი და ახლანდელი ბუბასტოსისა.

როდესაც დედოფალი და მე ვსაუბრობთ, ჩვენს დიალოგს ჩვენივე ადრინდელი სულები წარმართავს, და ამ დროს კითხვა მიჩნდება: სად ვართ ახლა ჩვენ სინამდვილეში? იმ შორეული წარსულის სხეულში თუ ახლანდელში? დღევანდელ რეალობას მივყვებით ფეხდაფეხ აღსასრულამდე, თუ იმ ოცნებებს ვებღაუჭებით, რომლებსაც კვლავ და კვლავ ვხატავთ?

უამითუამს მიფიქრია, ნუთუ ყველაფერი ეს ჩვენ გადაგვხდა? დავეჭვდებოდი, რომ არა ეს ქვები, დამტვრეულ-დამსხვრეული, მაგრამ მაინც მოწმე და მომსწრე იმედის ქალაქისა და მათი, ვინც ის ააშენა.

ამენოფისი არაფერს უმალავდა დედას. ჩვენი სეირნობების შესახებ იცოდა დედოფალმა თიიამ. მან

თავად აღუძრა ოცნებები ჭაბუკ უფლისწულს, თუმცა ახლა შემცბარი ჩანდა, რადგან ხედავდა, რა სერიოზულ სახეს ღებულობდა ყველაფერი ეს და როგორი გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა.

– მე არ ვაპირებდი ატონის ასე ღიად თაყვანისცემას.

– მზის ადგილი ჩრდილში არ არის!

თიიას აშფოთებდა ასეთი პასუხები. მომავალ ფარაონს სერიოზული ცვლილებები განეზრახა და ეს არა მხოლოდ ღმერთებს, ადამიანებსაც შეეხებოდა.

– დიდებულებს აიმხედრებ. ისინი დიდ ქურუმებს შესჩივლებენ შენს მკრეხელობას, სამღვდელოების რისხვას დაიტეხ თავს, მათ კი ვერავინ აჯობებს, ყველა ღონეს იხმარენ, ჯადოზეც არ დაიხევენ უკან...

– ჯადოქრობა გამონაგონია, კიდევ ერთი ჯაჭვია, ხელ-ფეხი რომ შეგვიბორკონ. მე ხელგაშლილი ღმერთი მჭირდება, კეთილი ღმერთი, რომელსაც ყველა აღიარებს.

– ადამიანთა ყველა მოდგმა თავის ღვთაებებს სცემს თაყვანს.

– ჩემი ღმერთი მთელი სამყაროს მომცველია, თუ არა და რაშია მისი სიკეთე, რომელიც ყველა ქმნილებას ერთნაირად უნდა მოჰფინოს?

დედოფალი თიია მოიღუშა, თავი ჩაქინდრა. შავ თავსაბურავში მის სახეს მეტი სიმკაცრე მისცემია. მკლავები გაშალა, თითქოს რაღაც ძალას უნდა გადაეღობოს:

– ძალიან ღრმად შეიჭერი, მეტისმეტი მოგდის.

ამენოფისი პირისპირ იდგა. გარეგნობით ბევრად უფრო სუსტი ჩანდა, მაგრამ სულის სიმტკიცით დედას არ ჩამოუვარდებოდა.

– ბოლომდე ვიბრძოლებ, მე ჩემსას გავიტან.

– მარტო იქნები, გვერდით არავინ გეყოლება, – დედა უსაზღვრო სიბრალულით მისჩერებოდა შვილს.

– მარტო არასდროს ვიქნები.

– რას გულისხმობ?

– ნეფერტიტი მუდამ ჩემ გვერდით იქნება, ბოლომდე.

ამენოფის მესამეს ჯანმრთელობამ ერთბაშად უმტყუნა. ორმოცდაათს მიტანებული, უკურნებელი სენით შეპყრობილი ფარაონი სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა და, ხედავდა რა თავისი ვაჟის არასაიმედო მდგომარეობას, ჩქარობდა, ტახტის მემკვიდრეზე ეზრუნა.

ამ პერიოდში აღმოსავლეთის სამფლობელოები მღელვარებამ მოიცვა. მრჩეველთა აზრით, სასწრაფოდ უნდა განეახლებინათ ზავი მითანის სამეფოსთან, რომელიც ამბოხებულ ოლქებსა და ხეთ დამპყრობლებს შორის ერთგვარი დამცავი ზონა იყო. ფარაონმაც არ დააყოვნა და ელჩი გაგზავნა მითანის მეფე ცურატასთან, უფროსი ქალის – ტადუჰეპას – ხელს სთხოვდა უფლისწულ ამენოფისისთვის. მამაჩემი ამენო – მასზე უკეთ ვინ იცნობდა მეზობელი ქვეყნების ადათ-წესებს – ელჩის ამალაში იყო. დამიმალა, მხოლოდ დაბრუნებისას მითხრა ამ მისიის შესახებ, რადგან კარგად იცოდა, სულ სხვა ქორწინების მოწადინე რომ ვიყავი.

ცურატას პასუხმა დიდხანს არ დააყოვნა: ეგვიპტესთან დამოყვრებით გახარებული მალე მოჰგვრიდა თავის ასულს მის უდიდებულესობას.

•

ამენოფის მესამე შიშობდა, გაუჭირდებოდა, დაეთანხმებინა მეუღლე, რომ ეს ქორწინება აუცილებელი იყო. თიიას რჩეული ხომ ნეფერტიტია, მისი დისწული და გვაროვანთა შთამომავალი. ამიტომ ფარაონს ჯერ უნდა დაერწმუნებინა დედოფალი, რომ ეს მხოლოდ ხრიკი იყო, ფანდი ერთგვარი, როგორსაც ეს გონიერი და დამთმენი ქალი თავადაც ხშირად მიმართავდა, როცა დასჭირდებოდა, გვირგვინოსან მეუღლესა და დიდ ქურუმებთან. მაგრამ დედოფალმა თავად დაასწრო მეუღლეს, თანხმობა ბრძანა. თავის თავზე აიღო, ნეფერტიტისთვის ეთქვა ამ გადაწყვეტილების შესახებ და ეზრუნა, რაღაცა დროით სასახლეს განერიდებინა ყოფილი სარძლო.

„ყველამ იცოდა ჩემ გარდა, ბუბასტოს! სეკეამაც კი, გამხელა რომ ვერ გამიბედა, და ამენოფისმაც, რომელიც, ვერაფრით ამეხსნა, თავს რატომ მარიდებდა. დავეძებდი, ისევ ველოდი ჩვენი ხეივნის ბოლოს, იმედი მეწურებოდა. ვერა და ვერ მოვახერხე მასთან დალაპარაკება, რადგან ბაღში სეირნობისას მუდამ დიდი ამალა ახლდა თან.

ერთ დილას დედოფალი თიია მობრძანდა ჩემთან. ახლაც თვალწინ მიდგას მისი თეთრი, ნაკეცებიანი კაბა, მხრებზე გადაფენილი ოქროს ლურჯთვლებიანი ფართო ყელსაბამი. ყოველგვარი შესავლის გარეშე მაცნობა ქორწინების ამბავი. თანაც დაამატა, ამას წინ არავინ უნდა აღუდგეს, რამეთუ ეს კავშირი ჩვენი სამეფოს და თვით ამენოფისის ინტერესებიდან გამომდინარეობსო.

ვერაფერი ვუპასუხე. გავშრი, ძარღვებში სისხლი გამეყინა. არ ვიცი, იქვე როგორ არ ჩავიკეცე.

შემდეგ მითხრა, რომ განკარგულება გასცა, ის შენობა განეახლებინათ, სადაც ადრე დედაჩემი ცხოვრობდა. ფიქრობდა, იქ კარგად ვიგრძნობდი თავს. ბოლოს დამპირდა, რომ მომინახულებდა ხოლმე.

სეტამონის სახელის ხსენებაზე თიიას ხმა აუკანკალდა. მომიახლოვდა და თვალცრემლიანმა გულში ჩამიკრა.

ვინ ჩასწვდება ადამიანის სულის სიღრმეს, ბუბასტოს! დარწმუნებული ვარ, იმ წუთებშიც კი დედოფალს წრფელი გულით ვუყვარდი.

ტადუჰეპას ჩამოსვლის დღეს მეც მივიჩქაროდი სასახლის ბაღში მის სანახავად.

უფლისწულის მოძღვარი აიე და გარნიზონის მეთაური ჰორემჰები ამალას წინ მიუძღოდნენ.

სეფექალების ფრიალა კაბები, მოახლეთა დაქარგული მოსასხამები... მათ შორს ტადუჰეპა შევნიშნე. თავდახრილი მოდიოდა, სიფრიფანა, ჰაეროვანი, მორთულ-მოკაზმული. მკურნალი ქალღმერთის იშთარის პატარა ქანდაკება ეკავა, რომელსაც ცურატა ფარაონ ამენოფის მესამეს გამოსაჯანმრთელებლად უძღვნიდა.

თორმეტი წლის ტადუჰეპა ისეთი უმწეო და უბედური მეჩვენა, რომ მისდამი სიძულვილის გრძნობა გამიქრა. ბოლო დღეებში ტუჩებს სისხლამდე ვიკვნეტდი იმის გაფიქრებაზე, რომ ამენოფისი სხვა ქალს მოეხვეოდა, მაგრამ ამ პატარა გოგონას დანახვაზე სიბრაზემ გამიარა. ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა, ცდილობდა, ბედს შერიგებოდა.

„ტადუჰეპა, იმ დროს, როდესაც ცნობისმოყვარეთა შორის სამეფო ტალავერისკენ მიაბიჯებდი, მიდიოდი მასთან შესახვედრად, ვისაც სრულიად არ იცნობდი, არ შემეძლო, შენდამი ზიზღი მეგრძნო".

ამენოფისი ჯერ არ ჩანს ტალავერთან. იმ წუთებში წარმოვიდგინე, რომ გამოარღვევს ირგვლივ შემოჯარული თავისიანების კედელს, გაეცლება იქაურობას, მისთვის ჩვეული მშვიდი, მტკიცე ნაბიჯით გამოემართება ჩემკენ და ჩვენ ერთმანეთს ხელს ჩავკიდებთ. მთელი ეს საზეიმო ცერემონიალი მოჩვენებასავით გაქრება. ტადუჰეპას კი მალევე შეაშრება ლოყაზე რამდენიმე კურცხალი.

ამენოფისისგან არაფერი მიმიღია. გავუგებდი, როგორმე შევეგუებოდი, რომ აღარ ვუყვარვარ, აღარ სურს ჩემი ცოლობა, მაგრამ ეს დუმილი...

ტადუჰეპა, ისევ თავდახრილი, კიბის საფეხურებს შეუყვა.

ამენოფისი წამოდგა, წელში გაიმართა, თავი ასწია და ჯერ ხალხს შეავლო მზერა.

მე ხომ არ მეძებდა?

არა, მითანელი ქალწულისკენ მიტრიალდა, მას შეეგება კიბეზე... ამან კი, ჯერ ისევ თავდახრილმა, უფლისწულს ხელში ჩაუდო პატარა ქანდაკება და ბოლოს მზერა აღაპყრო...“

მე ამენოს ვახლდი. სამეფო ამალის უკან ვიდექით და მეფის ასულს თვალს ვადევნებდით. დიახ, როგორც კი მან ჭაბუკი ამენოფისი დაინახა, უეცრად უკან გადაქანდა. ჩანს, ის არავის შეუმზადებია უცნაური გარეგნობის უფლისწულის შესახვედრად. წაგრძელებული თავის ქალა, ბლანტი თვალები, წაწვრილებული ნიკაპი, ვიწრო მკერდი და ფართო თეძოები. მართლაც ვინ არ შეცბუნდებოდა თავდაპირველად ამის დანახვაზე. ქალი უმწეოდ იქნევდა თავს და თავისიანებს ეტმასნებოდა. მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა წყნარად, მაგრამ მტკიცედ დაადო მხარზე ხელი და წინ უბიძგა.

„სულ სხვა ცხოვრება მელოდა შუა მინდორში ალმართულ უზარმაზარ შენობაში გადასახლებულს. ამენოფისის ქორწილი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მე ჯერ კიდევ თვალს ვუხუჭავდი სინამდვილეს. ამენოფისთან განშორება დიდი სატანჯველი იყო ჩემთვის. ჩემი მოუშუშებელი იარიდან სისხლი ჟონავდა მისი სხეულის სუნის, ბაგეთა სიტკბოს მოგონებაზე. ვიხსენებდი, როგორ მარწმუნებდა თავის სიყვარულში და ტკივილი მიახლდებოდა. საკუთარ მახეში გაბმულ მხეცს ვგავდი, თავისივე ნებით რომ მოემწყვდა მის ხლართებში. მე ხომ მგზნებარე ტრფობისთვის ვიყავი გაჩენილი!

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები თვეებს. მე კი არაფერი მქონდა სანუგეშო, ერთი სიტყვაც კი, რომ ჩავჭიდებოდი. თუმცა ვერაფრით წარმომედგინა, რომ ამენოფისმა თავის თავს უღალატა, უკან დაიხია.

ვიღვიძებ თავში ორომტრიალით, ვიბრძვი, ჭაობში მოფართხალეს ვგავარ. მაგრამ მერე, დღის განმავლობაში, სასახლის ზარ-ზეიმებს მოშორებული, სეკეასთან ერთად სიამოვნებით დავსეირნობ სოფელში, ველად, ვეცნობი აქაურ ხალხს.

სწორედ ისინი მომიშუშებენ ნელ-ნელა ჭრილობას, მიხსნიან სასოწარკვეთისაგან.

ეგვიპტის ეს მადლიანი მიწა, ხელისგულივით სწორი, ერთ გორაკსაც რომ ვერსად შეხვდებით, მდინარის ორივე ნაპირი, ვიდრე უდაბნოს შეერწყმოდეს, ერთბაშად ჩემ თვალწინ გადაიშალა. ბევრი ვისწავლე მისგან; წყლის მაცოცხლებელი ძალა, ცხოველთა თანაარსებობა, მცენარეთა გულუხვობა, ხალისიანი მკა... და უწინარეს ყოველივე ამისა შევიცანი მისი ადამიანები.

წელიწადის ყველა დროის მომსწრე გავხდი: წყალდიდობა, მდინარის უკან მიქცევა, ხვნა-თესვა და, ბოლოს, მოსავლის აღება. ერთი გლეხი მიხსნიდა, სამგვარი დღეები არსებობსო: კარგი, არეული და ცუდი.

რთველში ვიყავი. ვუყურებდი, როგორ ჭყლეტდნენ ფეხებით მტევნებს როფში, თან მღეროდნენ იქვე, პირდაპირ მიწაზე მოკალათებული ორი დამკვრელის თანხლებით.

გავიგე, როგორია უძილობა, შიმშილი, ვნახე ტალახით ნაშენი მიწურები, შიგნიდან და გარედან ერთნაირად ჩაჟამებული.

გავითავისე მხვნელ-მთესველთა მძიმე ხვედრი, გარიჟრაჟიდან დალამებამდე მინდვრებში რომ შრომობენ, ვხედავდი ხის ძირში მიძინებულ ქანცგაწყვეტილ მუშებს, ზედამხედველნი ტაშის ცემით რომ აღვიძებდნენ:

– მოსწყდი მიწას, თორემ სამუდამოდ შიგ მიგიჩენ ბინას!

თვალს ვადევნებდი, როგორ მოემარჯვებინათ ნამგლები მოკლე, კოხტად გამოთლილი ტარით და თავთავებს მკიდნენ. მათ უკან მიჰყვებოდნენ ქალები

და გოდრებში აწყობდნენ ძნებს. მწუხრის ჟამს მესმოდა, როგორ ითხოვდა ერთ მუჭა ხორბალს ბებერი ქალი:

– რამდენი დღეა, ვერაფერი მოვიხელთე. ნუ გამაწბილებთ, ნუ გამაბრუნებთ დღესაც ხელცარიელს.

ამჯერად ზედამხედველი დათმობაზე მიდიოდა, რადგან სეკეა ავტორიტეტულად კიცხავდა მას წვრილმანზე გამოდევნებისთვის.

ვეფერებოდი უწყინარ რუხ სახედრებს, გატენილი კალათები რომ ჰქონდათ აკიდებული, მიწას ტლინკებს სცემდნენ და მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. დიდთავა ხარებს მეხრე ებუტბუტებოდა:

– მიეძალე, ძმაო, თივას, ესლა დაგვრჩენია. მარცვალი ხომ ბატონებს ერგოთ!

ვუსმენდი მთესველს, როგორ ეალერსებოდა მიწას, წყალდიდობის შემდეგ შლამით დაფარულს, მოსწორებულს, მასზე ერთი ღერი ბალახის და კენჭის ჭაჭანებაც რომ იყო.

– ქვეყნად ყველაზე ძვირფასო, მშვენიერო, განახლებული დამიბრუნდი, ნაყოფიერი.

კვალში ვუდექი მხვნელს, გუთანს რომ ჩასჭიდებოდა, სახრეს უქნევდა და შეძახილებით ამხნევებდა უღელ ხარს. დამინახავს, ბრგე ვაჟკაცს როგორ გადაჰყავდა მხრებზე შემოდებული ხბო არხის ვიწროზე. მომისმენია მეცხვარის სევდიანი ღიღინი.

ამ ხალხის კეთილგანწყობა, მათი სტუმართმოყვარეობა გავითავისე. ბევრჯერ ვყოფილვარ მათ უბადრუკ მიწურებში, სადაც თავიანთი საქონლის გვერდით

წვეებიან დასაძინებლად. რამდენჯერ გაგვიყვია იქ გამხმარი პურის ნატეხი! არ დამავიწყდება იქაური ლელვის, ნესვის გემო, ინდის ხურმის წვენი.

ისიც დავინახე, როგორ ჩაგრავდნენ გლეხებს ბატონების კაცები, თავს აბეზრებდნენ მიწის მზომელები, ხარკის ამკრეფნი, არ გეწყინოს, ბუბასტოს, და ალმწერელნიც. გაუთავებლად ზომავდნენ, ინიშნავდნენ, წონიდნენ, საუკეთესო ჭირნახული მიჰქონდათ. „მღრღნელების, კალიების, მოლალურების შემოსევაზე უარესი არიან“, – ჩიოდნენ გლეხები.

ფეხშიშველა შემომირბენია კვლები ნათესებს შორის, გავყოლივარ ნილოსის ნაპირებს ჭანჭრობებამდე. იქ, სელის მოლურჯო მინდვრებში, რამდენჯერ გადაუფრენია ჩემს თავზე მწყერების გუნდს!“

ვიცნობ ისეთ კალმოსნებს –ჩემს მოძმეებს, – თავიანთ პატივმოყვარეობას ძლიერთა ამა ქვეყნისათა სიახლოვით რომ იოკებენ. ისინი, სულმოკლენი, მზაკვრობასა და ხრიკებში პოულობენ სიამოვნებას. მამაჩემი ამენო თუმცა კი არ იზიარებდა ჩემს შეხედულებებს, მაგრამ ზომიერების გრძნობა არასოდეს ღალატობდა. ერთ დღეს მან წიგნი მაჩვენა, იერარქიების თაობაზე დაწერილი. ერთი თავი მთლიანად მწერალთა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ხელობას ეხებოდა. მამას მიაჩნდა, რომ მათი გაბერილი რიგები ქვეყნის მართვას დაბრკოლებებს უქმნიდა:

– შვილო ჩემო, ყურად იღე სიტყვა გონიერთა. სხვადასხვაგვარ სასუფეველს დაიმკვიდრებენ კაცნი, მოკრძალებულად მოუბარნი, მაგრამ დაფასებული ის იქნება, ვისი ნათქვამიც მოქნეული ხმალივითაა.

ცხადია, მაღალ წრეებში ვერ მპატიობდნენ, რომ ჭაბუკი ამენოფისის თანმხლებთა შორის ვიყავი, მკიცხავდნენ მისი ფუჭი ოცნებების ერთგულებისთვის და ბოლოს და ბოლოს ჩამომაშორეს ახალგაზრდა უფლისწულს. მერე იმიტ ნებაც არ მომცეს, გადასახლებული ნეფერტიტის ამალას გავყოლოდი. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ფრიად უსიამოვნო სამსახური მომცეს: არხების, გზების, საწყობებისა და სანაპიროების

სამშენებლო სამუშაოების მონებით უზრუნველყოფა მევალებოდა.

იმ ხანებში ამენოფის მესამემ, რომელსაც უკვე დაეტყო ავადმყოფობის პირველი ნიშნები, გული მოიბრუნა ქვეყნის მართვისკენ, საკუთარი თავის სიამოვნებასაც მიეძალა. გავიგე, რომ მისი ჰარამხანა დედოფალ თიიას მიერ მოწონებული და შერჩეული ხარჭებით შეივსო, რომელთაც ბევრი ნაშიერი მოუვლინეს სამეფო ოჯახს. მათ შორის იყვნენ მომავალი ამენოფის მეოთხის ტახტის მემკვიდრეები – სემენხარე და ნებხერე – შემდგომში ტუტანხამონად წოდებული.

მამაჩემი ცდილობდა, ჩემთვის სხვა სამსახური ეშოვა. მსაყვედურობდა მოუქნელობას და მარწმუნებდა, რომ, თუ ჩემსას არ მოვიშლიდი, ვერასოდეს ვერაფერს ველირსებოდი ამ გაიძვერებისა და მლიქვნელების სამყაროში. არც მას ეპიტნავებოდა ეს ხრიკები, მაგრამ მიზნის მისაღწევად მათ გვერდს ვერ აუვლიდი. მერე მან მიამბო, როგორ დამცინა და ამით გაუნელა ჩემდამი ბრაზი თავის თანამოძმეთ:

– ბუნებამ ჩემი შვილი ბუბასტოსი ჯუჯად რომ შექმნა, შეცდომა იმით გამოასწორა, რომ მისი უდრეკი ხერხემალი არაფრით არ იხრება ისე, რომ დამტვრეული ძვლები აქეთ-იქით არ მიმოიფანტოს!

ამ ხუმრობით შემომაპარა მამამ ამბავი, რომ სასამართლოს მდივნის ადგილი გაეხერხებინა ჩემთვის. ეს არც ისე დიდი საშინელება იყო. მეტწილად წვრილი ქურდბაცაცების დაკითხვის ოქმები უნდა შემედგინა, განაჩენის გადაწერაც მევალებოდა. ზოგჯერ სასამართლოს თავმჯდომარე პენტუ იყო,

თავისი მრწამსით: „ნუ იქნები მეტისმეტად მკაცრი". მაგრამ უფრო ხშირად რენსი სჯიდა. აი, მის დანახვაზე კი მსჯავრდებული თავში შემოიკრავდა ხოლმე ხელს:

– ვაი, ჩემი ცოდვა! ვაი, ჩემი ბრალი!

ჩვენი სასჯელის ზომები არ იყო ისეთი სასტიკი, როგორიც ასირიელებისა, რომლებიც სარზე აგებდნენ ქურდებს. ჩვენ ხელ-ფეხის გაჯოხვას ვჯერდებოდით. თუ საქმე სამარხების მძარცველებთან გვქონდა, ყურების და ცხვირის მოჭრას ვუსჯიდით.

გამიგონია, როგორ უყვიროდნენ ეჭვმიტანილს სასამართლოში:

– საიდან გაქვს ეს ლარნაკი, ადამიანო?

– სახლში ვიპოვე.

– მაშ, მაჩვენე, სად იდგა!

ან კიდევ:

– სად იშოვე ეს ფული, არარაობავ?

– რამდენიმე ტომარა ქერის მარცვალში გავცვალე.

– ქერის მარცვალში?! შე ნეხვის ტომარავ, შენი წინაპრები და მათი ნაშიერები მეშვიდე თაობამდე ერთად ვერასოდეს მოიწევდნენ ამდენ ქერს.

– აფთრის წელი იყო, ბატონო მსაჯულო, ქვეყანა დამშეული იყო.

ეს ამბავი ცუდად დამთავრდა. ბევრი ასრულებდა თავის ტანჯულ ცხოვრებას ქვის სამტეხლოებში ან მაღაროებში.

მაგონდება მესაყვირე ტოი. ბრალს სდებდნენ, რომ მოპარული ოქროს ყელსაბამი გაყიდა. პოლიციელები მოითხოვდნენ, თანამონაწილენი დაესახელებინა.

ბევრი ურტყეს, მაგრამ ვერ გატეხეს:

– არაფერი მინახავს, არაფერი ჩამიდენია!

სატუსაღოში ჩააგდეს. საყვირიც წაართვეს. ცოტა ხნის შემდეგ ნამდვილ დამნაშავეს მიაგნეს და ტოის თავისი საყვირიც დაუბრუნეს და თავისუფლებაც.

რამდენი ჩხუბის მოწმე გავმხდარვარ! გაფაციცებული ვუსმენდი და ვინიშნავდი, როგორ „ამკობდნენ" ერთმანეთს მოქიშპეები. მუშტი-კრივზე არ გადადიოდნენ, მაგრამ სალანძღავ სიტყვებს უხვად აფრქვევდნენ. მერე, საღამოს, ჩემი ლამაზი ხელით ვიწერდი პაპირუსზე ამ ლანძღვა-გინების ნიაღვარს, უდიდესი სიამოვნებით გამომყავდა ისინი თეთრ ფურცელზე, შეხედავდი, მოცეკვავე გველი გეგონებოდა:

– ბატისტვინა!

– ნეტა სული რაში გიდგას?!

– ვირისყურება!

– შენს დანახვაზე მზეც პირს იქცევს.

– შე საქონელო, შენა!

– ენა ხომ არ გადაყლაპე?!

– შენი სიტყვა ფრჩხილის ჭუჭყადაც კი არ ღირს!

– ცარიელო ქოთანო!

– თივის ტომარავ!

– გამოტვინებულო, რეგვენო!

– ჭკუა-გონებას შენს მხარეს არ ჩამოუვლია!

– ფალოსის ადგილას ცომი გკიდია!

– თითის ფრჩხილადაც არ ღირხარ!

– მესაჭემ რომ მიატოვა, იმ ხომალდს ჰგავხარ!

– ხისთავა!

– თავი ჩალით გაქვს გამოტენილი!

უამრავი ოქმი შევადგინე, ურიცხვი საქმე ჩავწერე.

კედლების გასწვრივ ქაღალდების დასტები აწყვია. მეშინია, მალე შიგ ჩავიმარხებით.

ნეტავ ოდესმე სადმე ვინმე თუ გვაჯობებს არქივების, აღრიცხვისა და სხვა ჩანაწერების საქმეში?!

გულწრფელად მეცოდებიან ისინი, ვინც მომავალში ჩვენს ამოკითხვას შეეცდება.

„ერთ დილას, ბუბასტოს, შიკრიკმა კირქვის ფირ-ფიტა მომიტანა. ის ამენოფისისგან იყო:

„გულო ჩემო, შენ დამპირდი, რომ ვაჟკაცურად გადაიტანთ ამ განშორებას. მოთმინება მოიკრიბე და სასო არ წარიკვეთო".

ხელახლა დავიბადე. მხოლოდ მოგვიანოდ დავუ-ფიქრდი, რომელ პირობას გულისხმობდა ამენოფისი და რა იყო ამ მოულოდნელი გზავნილების მიზეზი. ახ-ლაღა გამომიტყდა სეკეა, რომ უფლისწული ბევრჯერ შემომხმიანებია, მაგრამ მის გარემოცვას ნაბრძანები ჰქონდა, ჩვენ შორის ყოველგვარი კავშირის მცდე-ლობა აღეკვეთა.

განცვიფრებული შევყურებდი სეკეას. როგორ შეეძლო ასეთი საქმის თანამონაწილე ყოფილიყო? აცახცახდა, თითისსიმსხო ცრემლებმა დაუღარა ლო-ყები. საბრალოს მოვეხვიე და დავაწყნარე. მაშინ გა-დია გამენდო, რომ მხოლოდ ამ პირობით დართეს ნება თან მხლებოდა. „ქვეყნად ვერაფრის გულისთვის ვერ შევძლებდი შენს მიტოვებას".

შიკრიკმა ამიხსნა, რომ ჩემგან ვერავითარ პასუხს ვერ წაუღებდა უფლისწულს, რადგან თებეში ველარ დაბრუნდებოდა.

როგორც ვიცოდი, მალე ტადუჰეპაზე უნდა დაქორწინებულიყო და რას მთხოვდა, რის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი?

და მაინც ეს სიტყვები გულში ჩამებეჭდა, სულ თავში მიტრიალებდა და თავადაც არ ვიცოდი, რისი, მაგრამ რაღაც იმედის ნაპერწკალს მიღვივებდა. არც ის ვიცი, რა ძალით, სიყვარულის რა ძაფებით და რომელი გულისთქმით, მაგრამ, დარწმუნებულმა, რომ ჩემი ფიქრები ამენოფისამდე მიაღწევდნენ, ეს სიტყვები ამოვიჩემე და განუწყვეტლივ ვუმეორებდი ჩურჩულით:

„ჩემო გულო, ვაჟკაცურად გადავიტანე ამ განშორებას, არც იმედს დავკარგავ და არც სასოს წარვიკვეთ“.

II

„დედოფალი თიია მოულოდნელად გამოგვეცხადა მცირე ამალით. როგორც კი ეზოში ფეხი შემოდგა, მკლავებგაშლილი ჩემკენ გამოემართა.

– მოვედი, რომ თებეში წაგიყვანო. ახლავე მივემგზავრებით.

ყოველთვის მხიბლავდა მისი მტკიცე ხასიათი. ჩვეულებრივ, პატივისა და ცერემონიალების მოყვარულს, მას მოულოდნელად შეეძლო ყველაფერ ამაზე უარი ეთქვა.

– ტადუჰეპა გაქრა!

მის გვერდით ვიჯექი ეტლში. ირგვლივ რამდენიმე მოახლე და გლეხები შემოკრებილიყვნენ. დედოფალი ჩქარობდა. ცხენები გააჭენეს.

– გაქრა?!

თიია იდუმალებით იყო მოცული.

– უეჭველია, ღმერთებმა...

მე, მით უმეტეს, რა უნდა მცოდნოდა. არ დააყოვნა, მაშინვე გამანდო ჩანაფიქრი:

– ამენოფისმა ცოლი უნდა ითხოვოს. მე ყოველთვის მინდოდა, რომ ეს შენ ყოფილიყავი, – ხელი მომხვია.

მიუხედავად ანგარიშიანობისა, დედოფალი გულწრფელი და გულკეთილი იყო, მისი განწყობა გადაგედებოდა და გრძნობდი, რომ შეიძლებოდა მინდობოდი.

თებეს სასახლეში შევედით. ჩავუარეთ დიდებულ კოლონებს. ზემოდან მოხატული ჭერი დაგვყურებს. ყველა მდაბლად გვიკრავს თავს. მე მთრგუნავს ეს ბრწყინვალება, თავს უცხოდ ვგრძნობ, სრულიად გარეშედ. აღარ ვეკუთვნი აქაურობას. მე ხომ ის მიწა, ის ადამიანები გავითავისე და ველარასოდეს ამოვიგდებ გულიდან".

ახალგაზრდა ამენოფისმა მიხმო. კვლავ გამოვ-ჩნდი სასახლის კარზე. ჩემი გაწვევის შემდეგ უფლის-წულს ჰათი ემსახურებოდა, ჩემგან განსხვავებით, გამხდარი და მაღალი. პირმოღუშული შემხვდა.

ამენოფის მესამეს დიდი დღე აღარ ეწერა. სნე-ულებამ ახალი ძალით შემოუტია და შვებას ვეღარ პოულობდა. ქვეყნის მართვის სადავეები უმცროსი ამენოფისის ხელში გადადიოდა. იგი თანამმართვე-ლად გამოაცხადეს და ნეფერტიტიზე მისი დაქორ-წინებაც გადაწყდა.

ტადუჰეპას რა ბედი ეწია?

ყველა თავისებურად ხსნიდა მის სასწაულებრივ გაქრობას.

ერთნი ამბობდნენ, ნორჩ მეფის ასულს ელდა ეცა ამენოფისის დანახვაზეო. ეს უკანასკნელი კი თითქოს დაჰყვა მშობლების ნებას, მაგრამ თავიდანვე ვასალი უფლისწული ზადი ჰყავდა შეგულებული ტადუჰეპას საქმროდ. ზადი სასწრაფოდ გამოიხმეს იმპერიის განაპირა ქალაქ ტუნიპიდან. ახალგაზრდებს დანახ-ვისთანავე თვალში მოუვიდათ ერთმანეთი და მაშინ-ვე ერთად გაემგზავრნენო.

მეორენი ირწმუნებოდნენ, ამენოფისის შემხედ-

ვარე ნორჩი მითანელი ელდანაცემი წყალში გადავარდა და თავი დაიხრჩოო. ერთ-ერთმა გუშაგმა შენიშნა იგი საღამოჟამს, დაუძახა, მაგრამ ქალი ლერწმებში შევიდა და მალე ტბის ზედაპირზე მოტივტივე ყვავილებში გაუჩინარდა. მერე ვიღაცები დაეძებდნენ იმ უბედურს ტბაში, გადაქექეს დუმფარები, ფსკერიც კი გადაჩიჩქნეს, მაგრამ ვერავითარი ცხედარი ვერ იპოვესო.

მეფე ცურატას საქციელი კიდევ უფრო მეტ ეჭვს ბადებდა. იგი კვლავინდებურად მჭიდრო ურთიერთობას აგრძელებდა ეგვიპტესთან, ამენოფის მესამის ერთგულ ქვეშევრდომად რჩებოდა და ბოლო წერილებში მის თანამმართველს „საყვარელ შვილად“ მოიხსენიებდა.

„მეორე დღეს დიდვეზირი რამოსი სეფედარბაზისკენ გამიძღვა. იქ უახლოესი მრჩეველებით გარემოცული მათი უდიდებულესობანი მელოდნენ. შესვლისთანავე თვალში მეცა, როგორ შეცვლილიყო ამენოფის მესამე. მის გვერდით მაღალზურგიან, ლომისთათებიან სავარძელში დედოფალი თიია, როგორც არასოდეს, ისე ქედმაღალი და დიდებული ჩანდა. სავარძელში ჩაფლული ფარაონის ფართო, ნაქარგებიანი სამოსელი შეუმჩნეველს ხდიდა მის მომცრო ტახტს. დიდებული ტიარისა და ბრწყინვალე, თვალისმომჭრელი ყელსაბამის სიმძიმის ქვეშ მისმა ჩია, მოშვებულმა მხარბეჭმა გული მომიკლა. როგორც კი შემნიშნა, წამოიწია, მაგრამ მაშინვე უკან დაეშვა, ჩაიკარგა თავისსავე სხეულში, რომელიც თითქოს რაღაცით იყო გაბერილი, ძარღვები და ძვლები კი გამოცლილი ჰქონდა.

დარბაზში სიკვდილის სუნი ტრიალებდა.

დედოფალმა მანიშნა, მივახლოვებოდი. იქვე, დაბალ სკამზე დავჯექი. აქედან უფრო შესამჩნევი იყო სიბერის და ავადმყოფობის მსახვრალი ხელი: წაწვეტებული ცხვირი, დანაოჭებული შუბლი, წვრილი, ჩავარდნილი ნუშის თვალები, მომჩვარული კანი, ჩა-

ცვენილი ყბები, რომელთა მილმა მეჩხერი კბილები ჩაჩირქებოდა.

სუნთქვა შემეკრა. ბავშვობიდან შეგუებული ვიყავი იმ აზრს, თუ რაოდენ უსუსურია ადამიანი. უეცარი ელდა რომ ამეცილებინა თავიდან, წინასწარ წარმოვიდგენდი საყვარელ სახეს, შეშუპებულს ან სრულიად დაჭმუჭნილს, მაგრამ რეალობა ყოველ ჯერზე გამაოგნებელი იყო.

ზოგჯერ, პირიქით, მიცდია, ბებერი სახიდან ჩამომეშორებინა დაღი, დროს რომ დაესვა; სხეულისთვის სიმკვრივე დამებრუნებინა, თვალისთვის – ჩინი, მაგრამ ქორფა, შუშპარა და მჩქეფარე ახალგაზრდობა, სურნელოვან სხეულში რომ ფეთქავს, ყოველთვის უფრო მშვენიერია, ვიდრე მისი წარმოდგენა შეიძლება.

შეცბუნებული მივჩერებოდი ამენოფის მესამეს. ცხადია, მისი დღეები დათვლილი იყო. თუმცა ჯერ კიდევ რალაცა იბრძოდა მასში; წამიერად ძალას იკრებდა, თავს წამოსწევდა, თვალში ელვას გააკვესებდა, მაგრამ მალე ისევ ჩაქრებოდა და ჩაინავლებოდა.

მიხედვა არ დამჭირვებია, ისე ვიცანი უფლისწულის ფეხის ხმა. დარბაზის სილრმიდან ჩვენკენ მოდიოდა. უნებლიეთ წამოვიწიე, მინდოდა შევგებებოდი, მაგრამ დედოფალმა მანიშნა, ადგილზე დავრჩენილიყავი.

მერე ვიგრძენი ამენოფისის ხელის შეხება მხარზე. ჟრუანტელმა დამიარა, ისეთმა ძლიერმა, რომ დღესაც კი, თვალებს დავხუჭავ თუ არა, იგივე განცდა მეუფლება.

სულ მალე ჩემ გვერდით, ბალიშებზე ივჯდა".

კარნაკში, ამონის სადინასტიო ტაძრის აღმოსავლეთით, თანამმართველმა მზე-ღმერთის სამსხვერპლო-საკურთხეველი ააგებინა. ახლა მისი რწმენა ახალგაზრდებში პოვებდა მხარდაჭერას, მის ახალ მოძღვრებას ენთუზიაზმით იზიარებდნენ. წარჩინებულთა შორის მოურავი იოუტი, ადგილობრივი ჯარების მეთაური მოსე, დიდი ქურუმი მერინე აღიარებდნენ, რომ მისი მიმდევრები იყვნენ. სხვებიც ნელ-ნელა იხრებოდნენ მისკენ. ცხადია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოვლენათა განვითარებას აკვირდებოდნენ და მხოლოდ იმაზე ეჭირათ თვალი, რაიმე სარგებელი მიეღოთ.

მაღალჩინოსანი რამოსი, რომელიც ვეზირი იყო და ამავდროულად თებეს განაგებდა ამენოფის მესამის ზეობის დროს, მალე ახალგაზრდა უფლისწულის ყველაზე ერთგული მოკავშირე გახდა. მისი განსასვენებელი თავდაპირველად ამონის სახელით გამოკვეთეს კლდეში. მოგვიანებით მის შიდა კედელს ახალგაზრდა ამენოფისის ბარელიეფი დაემატა. ეს უკანასკნელი ასე მიმართავს ვეზირს: „თვით მზემ ინება, შეგანიოს სიტყვა. მე ვწვდები მას, ერთადერთს, ჩემს გულში რომ დაუდევს ბინა".

ახალმა იდეებმა ხალხში შეაღწია, თითქოს დიდი

ხანია ყველა მას ელოდა და ერთბაშად აეხილათ თვალი.

ჭაბუკი უფლისწული თავისუფლად დადიოდა ხალხში. მისი გულითადი ღიმილი ყველას ხიბლავდა.

მზის გამოსახულება თანდათანობით ქალაქის კედლებზეც გამოჩნდა. თუმცა ხალხს არ მიუტოვებია თავისი ძველი ღმერთები, ეს ახალი ნიშანი მათთვის უფრო ნათელი და გასაგები იყო.

ამენოფისი არ ეპუებოდა თავის მოწინააღმდეგე სამღვდელოებას და დიდებულებს. ესენი კი აშკარად ვერ უპირისპირდებოდნენ ფარაონს. მას ხომ ღვთისგან ჰქონდა მინიჭებული ძალაუფლება. ამასთან, უფლისწული ფრიად თავდაჯერებული იყო. იგი სულ უფრო და უფრო მეტ მხარდამჭერს პოულობდა და მზად იყო, ბოლომდე ებრძოლა.

მე გულწრფელად გავენდე მამაჩემს. ამენომ ჩემი დაოკება სცადა. მარწმუნებდა, რომ ზოგჯერ დიდმა იდეებმა შეიძლება დაღუპოს მისი მიმდევრები, რომ მამაცი გული შესაძლოა მოჩვენებითად აღიგზნოს და რომ, მისი აზრით, ჭაბუკი უფლისწული მეოცნებეა და სათანადოდ ვერ აფასებს ადამიანებისა და მოვლენების ბუნებას, რომ...

შეკამათება შევბედე. ვუთხარი, რომ, თუ არ გადავდგით ნაბიჯი, თუნდაც გაურკვეველი, ნათელისკენ, ვერასოდეს დავაღწევთ თავს წყვდიადს, რომ ხვალინდელი მოვლენები ხშირად დღევანდელი ოცნებების ნაყოფია, რომ ადამიანები ვერ გადარჩებოდნენ, ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა რომ არ გაებედათ, რომ...

ამ კამათმა არაფერი მოგვცა, რადგან არც ერთს არ გვინდოდა დათმობაზე წასვლა.

ჩემდა თავად, ღმერთების მთელ პანთეონს დავთმობდი ერთადერთი ატონის ნათელი სახის სანაცვლოდ. თავს ამ მზის შვილად ვთვლი ისე, როგორც მეფეები თუ გლახაკნი, უცხონი თუ შინაურნი.

უმალ ვიტყოდი უარს პავიან-ღმერთებზე, იბის-ღმერთებზე, კატისთავა ქალღმერთებზე, ყველასთვის სათაყვანებელ მტკნარი წყლების თევზებზე, ნიანგებზე, კობრებზე, ზურგს შევაქცევდი ორმოცდაორსავე საზარელ დემონს, ოთხივე კეთილ თუ ბოროტ სულს, გრიფსა და სკარაბეუს ღმერთებს. არ მომენატრებოდა არც სისხლისმსმელი ძუ ლომ-ქალღმერთი და არც ტურა-ღმერთი, უდაბნოში რომ დაძრწის.

ყველა ეს დიდღმერთი გონებას მირევს!

ყველა ეს ბასტეტი, თოთი, ხონსუ, ჰათორიც კი!

ყველა ეს ნეხბეტი, სებეკი, ხნუმი, სეკამეთი, აპისი, პტაჰი, ჰორი!

ამათ მივაყოლებდი გარიჟრაჟის ღვთაება ხეპრის, შუადღის რას და მწუხრის ატუმს, რომლის თესლისგან მოუვლინეს ამ ქვეყანას შუმ და ტეფნუტმა გები და ნუტი...

ერთი ძარღვიც არ შემიტოკდებოდა, ისე მივატოვებდი ამათ, ყველას ერთად, ერთი ეული ატონისათვის!

შესაძლოა, გარდა ჩემი მფარველი პაწია ჯუჯა ბესისა, რომელიც ავი თვალისაგან მიცავს. ხშირად მყავს მუჭში ჩაბღუჯული. არაფერი ისე არ მახალი-

სებს, როგორც მისი ცქერა, მისი ხელ-ფეხი, მისი ფრთებით შემკული თავი, ჩამრგვალებული სხეული, გადმოგდებული ენა.

არა, ვფიცავ, ბესს ნამდვილად ვერასოდეს შეველევი!

ამენოფის მესამე ბრწყინვალის გარდაცვალებამ ღრმად დაამწუხრა სამეფო კარი. ამდენად, ნეფერტიტისა და ახალგაზრდა უფლისწულის ქორწინებამ და შემდგომმა აღსაყდრებამ დიდი ზარ-ზეიმის გარეშე ჩაიარა.

ფარაონის სამარადისო განსასვენებელი მზად იყო. ბალზამირებაც წესისამებრ გაუკეთეს. უდიდესი რუდუნებით შეახვიეს მისი სხეულის ყოველი ნაწილი ფისით გაჟღენთილ სელის უნაზეს ქსოვილში.

პირველ ხანებში დედოფალი თიია წარმართავდა ქვეყნის საქმეებს. უფრო ხშირად სწორედ მას მიმართავდნენ და ისიც, მრჩეველთა დახმარებით, ხელს აწერდა ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებშიც ამონის სახელს ატონი ცვლიდა ხოლმე.

დიდი მეფე საფლავში გადაბრუნდებოდა!

რა მიჰქონდა თან? მისი სამარხი სავსე იყო განძეულობით, სანოვაგით. უზრუნველყოფდა ყოველივე ეს მის კეთილდღეობას იმ ქვეყნად? საიქიოს კარის ზღურბლზე ყველა მისი საქმის ავ-კარგი დაითვლება.

– არა ცილ ვწამე და არც სხვა რამ ცოდვა ჩამიდენია ადამიანების მიმართ. ო, ღმერთებო, სულგრძელნო და მანათობელნო, ყოვლისმნგრეველნო და სისხლისმსმელნო, ნუ დამატეხთ თქვენს რისხვას! – ათქმევინებენ მეფეს.

„მე და ჭაბუკი მეფე მარტონი შევედით კარნაკის ტაძარში, რომელიც მან ჩემს არყოფნაში ააგებინა.

ყველა სხვა ტაძარში, დიდ კოლონებიან დარბაზს რომ ჩაივლიდით, ვიდრე მთავარ საკურთხეველს მიეახლებოდით, ეგვტერიდან ეგვტერამდე თანდათან სიბნელე ისადგურებდა. აქ კი შუქი უხვად იღვრებოდა საკურთხეველზე.

– ხედავ, მზეს არაფერი ეღობება, თავისუფლად დანათის აქაურობას.

სხვაგან ყველგან სინათლის მკრთალი სხივი ძლივს აღწევდა მლოცველებამდე. აქ კი ყველაფერი გაკაშკაშებული იყო.

ზოგი აქეზებდა ამენოფისს, გაეტარებინა თავისი რეფორმები, სხვები ურჩევდნენ, თავი შეეკავებინა. იგი კი უფრო საკუთარი თავს ებრძოდა, მაგრამ ამ სასტიკ ჭიდილში თანდათან სძლევდა წინააღმდეგობებს ახალი ცხოვრებისკენ მიმავალ გზაზე.

ახლა, როცა ის მტკიცედ მიიწევდა წინ, ჩემი მხარდაჭერის დიდი იმედი ჰქონდა. არასოდეს უფიქრია და არც უგრძნობინებია ჩემთვის, რომ მე – ქალი ვერ შევძლებდი ფეხი ამეწყო მისთვის, გადაგველახა

აწმყო და მომავლის ქრონოლოგიას ავყოლოდით. ჩვენ იმდენად განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან, რამდენადაც ამის წარმოდგენა შეიძლება, და არც ვცდილობდით, ხასიათი შეგვეცვალა. ის მენდობოდა, სჯეროდა ჩემი საზრისიანობის, მიხვედრილობის და ეს ნდობა უდიდეს ძალას მაძლევდა. მან ისიც მითხრა, რომ სახელი ამენოფისი ეხნატონით სურდა შეეცვალა, რაც „ატონის ძეს" ნიშნავდა. მერე გამანდო, რომ თანამოაზრეებთან ერთად ახალი დედაქალაქის აშენებას აპირებდა. ამის თაობაზე ის ხუროთმოძღვრებს და თავის მეგობარს – მოქანდაკე ბექს ეთათბირა და მიაჩნდა, რომ მიწა, რომელზეც ჯერ არავის დაედგა ფეხი, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ავისა თუ კარგისგან გაგვათავისუფლებდა და განახლებას გაგვიადვილებდა. ამ მიწაზე სიცოცხლე მზის ნიშნით დაიბადებოდა და ლალი იქნებოდა.

ამ არჩევანმა განამტკიცა ჩვენი კავშირი".

თავისუფლების სუნთქვა იგრძნობა თებეში. დილაადრიან მზადებაა გასამგზავრებლად. მდინარეზე სამეფო ხომალდი გამართეს, ტვირთი დააბინავეს, აფრები შეამოწმეს. ნიჩბოსნები, მეზღვაურები და მესაჭე განკარგულების მოლოდინში არიან.

ხელმწიფემ ბრძანა, რომ ნილოსის დინებას გაჰყვებოდა ვიდრე დელტამდე, ღია ზღვისკენ, რათა თებესა და მემფისს შორის შესაფერი ადგილი შეერჩია იმედის ქალაქის დასაარსებლად. იგი ხალხს პირისპირ ხვდება, ესაუბრება. ბევრ მათგანს სურს, ახლავე გაჰყვეს, რათა ერთად ეძებონ. იგი მათგან მოთმინებას მოითხოვს. ჯერ დედოფალსა და რამდენიმე ერთგულ მეგობართან ერთად წავა, და, როგორც კი მიაგნებს ადგილს, მყისვე აფრენს მაცნეთ ძველი დედაქალაქისკენ. მას ხომ ამ ხალხის, თითოეული მათგანის მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება მომავალი ქალაქის ასაშენებლად.

დიდქურუმნი კი ამ დროს ფარულად იკრებდნენ უკმაყოფილოთ, ჩუმ-ჩუმად ავრცელებდნენ ხმებს, რომ მეფეს გონებრივი აშლილობის ნიშნები აქვს, რომ მალე მისი აკვიატება ყველას დაღუპავს. სამღვდელოება ნანობდა, რომ მიუშვეს, მოვლენები ასე

შორს წასულიყო. მაგრამ თავიდან ვინ წარმოიდგენდა, რომ დედოფალ თიიას თაყვანისცემა ატონისადმი, ზოგჯერ ერთობ მგზნებარე, ხან კი ისე, სხვათაშორისი, უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ყველა ქალისთვის ჩვეული ხასიათის ცვალებადობა? ვის შეეძლო განეჭვრიტა, რომ ჭაბუკი უფლისწულის უცნაური ქცევები სულ სხვა რამ იყო, ვიდრე მოზარდის უბრალო ჭირვეულობა? ახლა ეხნატონის ჩია სხეულში ისეთი სულიერი სიმტკიცე ჩამდგარიყო, რომ მისი მოწინააღმდეგენი ხვდებოდნენ, ღიად ველარ დაუპირისპირდებოდნენ მის ნებას. თუმცა მათთვის საძულველი სახელი „ეხნატონი" დასტური იყო იმისა, რომ ცვლილებები დაწყებული იყო, ისინი დაიცდიან, თავს მომხრედაც კი მოაჩვენებდნენ. ამ გზისგასაყარზე ისინი იმასაც კი თვლიდნენ საჭიროდ, ხალხთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდათ. მათი ღრმა რწმენით, ეს ხალხი მორჩილებისთვის იყო გაჩენილი და მათ ყურებს მხოლოდ სმენა და გაგონება ევალებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ეს ხალხი, სადავემიშვებული, სასახლის კარის საქმეებში ჩაერეოდა. ისინი ჩუმ-ჩუმად წუწუნებდნენ, ჩიოდნენ, რომ ეხნატონმა ყველაფერი აურ-დაურია, აღარაა გარჩევა დიდებულებსა და მდაბიოებს შორის, სიყვარულსა და რელიგიას, ეგვიპტელსა და უცხოტომელს შორის. ამას გარდა, დედაქალაქის სხვაგან გადატანა ჩრდილს აყენებდა თებეს ბრწყინვალებას. რომელი ქალაქი გაბედავს, ტოლი დაუდოს განუმეორებელ თებეს? მემფისის ორსაუკუნოვანი ზეობის შემდეგ სწორედ ის გახდა სამყაროს გული, დიდებული, რჩეული ქალაქი,

საჭეთმპყრობელი უზარმაზარი სამეფოსი, რომელიც ევფრატიდან ნუბიამდე გადაჭიმულა. თებე არის ხელოვნების, ღმერთების, ღირსების სახლი!

საითკენ ილტვის ჭაბუკი ხელმწიფე, ტყუილად რად იხარჯება? თებეს ზურგს აქცევს! უკვე ამ გამგზავრებით შეუბღალავს სახელს დედაქალაქს, რადგან ოდენ იმითაც კი, რომ ფარაონი იქ იმყოფება, ეძლევა ქალაქს ღვთაებრიობა.

რამდენიმე დღის შემდეგ ეხნატონის და ნეფერტიტის ამალა ხომალდებზე მზად იყო გასამგზავრებლად. მათ მათ შორის იყვნენ ლალა აიე, დიდი ქურუმი მერინე, მოქანდაკე ბექი, ხუროთმოძღვარნი, მიწისმზომელნი, ვარსკვლავთმრიცხველნი... გამოჩნდნენ რამოსი და მოურავი იოუტი, ახალგაზრდა მხედართმთავარი ჰორემჰები, მეორე მოურავი ტუტუ – ჩემი კეთილმოსურნე, სეკეა – დედოფლის გადია, ყოფილი ვეზირი – ჩასუქებული ნახტი, კეთილი და უნყინარი, რომელიც არასოდეს გაისტუმრებდა მომჩივანს ისე, რომ ბოლომდე არ მოესმინა მისთვის, მაშინაც კი, როცა არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

თავი დავუკარი პოლიციელ მაჰუს, რომელსაც, როგორც კი პოსტზე დადგებოდა, მაშინვე ჩაეძინებოდა ხოლმე. მისი განუყრელი ბატი სმონი, ფრიად ბრაზიანი და ფხუკიანი, თავისი პატრონის გამოსაფხიზლებლად ერთ ალიაქოთს ატეხდა ხოლმე, უსაშველოდ ყიყინებდა და ნისკარტს ძალუმად სცემდა, როგორც კი სიახლოვეს რაიმე გაიფაჩუნებდა.

ჩემი მეგობარი ტუტუს წყალობით თან გვახლდა დალაქი ზოფირიც. სამი მემუსიკე შემოგვიერთდა.

დაბოლოს, ოთხი მწერალი, ოთხივ ამენოს მოწაფე.

მამამ სანაპირომდე გამომაცილა. დაიხარა, მომეხვია და ჩუმად მითხრა ყურში: „ზოგჯერ მიფიქრია, ამ თქვენს გიჟურ გატაცებას თავისი გამართლება ხომ არა აქვს". მერე გრძნობამორეულმა დაამატა, რომ, ცხადია, ასაკთან ერთად მისი თვალის ჩინი და გულისყური ნელ-ნელა ინავლება.

დიახ, ჩამოგითვალეთ მსუქანი ნახტი, მაჰუ თავისი ბატით, დალაქი ზოფირი, ოთხი მწერალი... და მეხუთე მე – ბუბასტოსი, – მეც იქ ვიყავი, თქვენი უმდაბლესი მონა-მორჩილი!

„ხალხი ნავსაყუდელთან შეგროვილიყო გზის დასალოცად. მოშორებით, შემაღლებულ ბაქანზე თიია ბრძანდებოდა, მის უკან დიდებულები შემოკრებილიყვნენ. დაგვპირდა, ქალაქის მშენებლობის დაწყებისთვის ჩამოვალო. იქნებ განწყობა უეცრად შეეცვალოს და უკანასკნელ წამს ჩვენს ხომალდზე აღმოჩნდეს?! არა, უძრავად, ქანდაკებასავით იდგა, როგორც თებეს განუყოფელი ნაწილი და სამუდამოდ მასზე მიჯაჭვული. მხოლოდ ბაგეები უთრთოდა ოდნავ და თვალებში უზომო სევდა ჩასდგომოდა. ეხნატონსაც, მიუხედავად კმაყოფილებისა, იგივე კაეშანი უღრღნიდა გულს. დიდხანს გაჰყურებდა დედას, რომელიც, რაც უფრო შორდებოდა ხომალდი ნაპირს, მით უფრო დიდებული და ქედმაღალი გვეჩვენებოდა.

ძალიან ნელა მივცურავდით. თითქოს ქარიც მათ მხარეს იყო, ვისაც ჩვენი შეჩერება ეწადა. მესაჭემ ნიჩბოსნები მოიშველია. მათი სიმღერა ნიჩბის მოსმას ეხმიანება, წყლის დგაფუნს ეწყობა.

ხომალდის აპრეხილ ქიმზე გავედი. არაფერი შეედრება მდინარის დინებას, მის იდუმალებით მოცულ ამოხეთქვას მიწის წიაღიდან, რათა გაივსოს, გაფარ-

თოვდეს, ზღვას შეუერთდეს. ვერაფერი ელობება წინ ნაკადულებს, ასე დაჟინებით რომ ისწრაფვიან ჯერაც რალაც უცნობისაკენ.

ნილოსის სანაპიროზე სახლები, ადამიანები, ხეები, ბალახი, საქონელი ლივლივით აირეკლებიან წყალში და გაშტერებული ჩაჰყურებენ თავიანთ ორეულებს.

თებე სადღაც შორს თვალს მოეფარა. მოვწყდებით ოდესმე ჩვენს ფესვებს?

ეხნატონი მომიახლოვდა. მივუბრუნდი:

– ვიპოვით ალთქმულ მიწას?

– ასეთი ადგილი არსებობს, მე მას მივაგნებ, – ხელი გადამხვია, – ჩვენ მას ერთად მივაგნებთ".

გამთენიას რომ გაგვეღვიძა, მთელი ფლოტილია გვერტყა გარს. კაცებით, ქალებით, ბავშვებით სავსე ბრტყელძირიანი ნავები მოგვდევდნენ, ეწადათ, შემოგვერთებოდნენ. ცას სწვდებოდა სიხარულის შეძახილები.

ჰორემჰებმა, რომელიც ლალა აიესთან ერთად ხომალდის კიჩოზე იდგა, ფოლადივით მტკიცე ხმით უბრძანა მათ, უკან გაბრუნებულიყვნენ.

ამ დროს სქელი ნახტი, რომელიც მუდამ მხიარულია და ხუმრობის გუნებაზეა, ძელზე შემხტარა და მთელი ხმით გაჰკივის, კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო. ზოფირი და მემუსიკენი იზიარებენ მის ამაღლებულ განწყობას.

უწყინარ მაჰუს, რომელიც სასწრაფოდ გააღვიძა მისმა ბატმა სმონმა, ვერ გადაუწყვეტია, ავტორიტეტულ ჰორემჰებს მიემხროს თუ საკუთარ გულისთქმას აჰყვეს და ამ გულითადი ხალხის კიჟინას შეუერთდეს.

ასეთი დახვედრით გულაჩუყებული ეხნატონი თანახმაა, გამოგვყვეს ეს ხალხი, რომელმაც ყველაფერი მიატოვა მასთან ყოფნის სანაცვლოდ.

დღეები დღეებს მისდევს. გზას დასასრული არ

უჩანს. ნელ-ნელა მივიწევთ ჩრდილოეთისკენ, დინ-ჯად, აუჩქარებლად. ყურადღებით ვაკვირდებით გარემოს.

მჭიდროდ შემოსწყობია ეგვიპტე თავის დედამ-დინარე ნილოსს, ამ მწვანე წყლის ზოლს, ხან უდაბნო დაბლობში, ხანაც მოყვითალო ბორცვებში რომ მიიკ-ლაკნება.

დროდადრო ნაპირს მივადგებოდით და ღუზას ჩავუშვებდით ხოლმე. ეხნატონი და ნეფერტიტი მცი-რერიცხოვან რჩეულთა თანხლებით გადადიოდნენ ნაპირზე. მე, თოკების გრაგნილზე ჩაცუცქული, თვალს ვადევნებდი მათ, ყველაფერს ვინიშნავდი, როგორ მიმოივლიდნენ სანაპიროს, მერე ისევ ბრუნდებოდნენ ხომალდზე და გზას ვაგრძელებდით. ხალხით სავსე პატარა ნავებიც ჩვენთან ერთად ჩერდებოდნენ, მერე ისევ შლიდნენ აფრებს, მოთმინებას არ კარგავდნენ, ნდობით და იმედით იყვნენ სავსე.

ნილოსის მარჯვენა ნაპირზე, თებედან მემფისის-კენ მიმავალ შუა გზაზე, ოდნავ შემაღლებული ვრცე-ლი ველი შევნიშნე. მოშორებით კირქვის კლდეებს ებჯინებოდა. ეხნატონმა ხელი ასწია და მოუთმენ-ლად გაიშვირა ამ ფართოდ შემორკალული ნახევარ-წრისკენ. მან მიაგნო აღთქმულ ადგილს! ამჯერად მარტო გადავიდა ხომალდიდან. დიდხანს მიდი-მო-დიოდა ნაპირზე. მერე ველის სიღრმეში შევიდა, კლდეებისკენ წავიდა ისე შორს, რომ ვეღარ ვხე-დავდით.

სამეფო ხომალდზე მომავალი ქალაქის მშენებლები ბჭობდნენ, რამდენად გამოდგებოდა ეს ადგილი. ველი

საკმაოდ იყო შემაღლებული, რომ წყალდიდობას მისთვის საფრთხე არ შეექმნა. შემოჯარული კლდეები ქვიშიან ქარს გადაეღობებოდა და თან უდაბნოს შეფარებული ყაჩაღებისგან დაიცავდა. რადგან თებედან საკმაოდ ჩრდილოეთით მდებარეობდა, აქ ნაკლებად ცხელი ზაფხული იქნებოდა. გაღმა ნაპირი, შლამიანი დაბლობი, ნაყოფიერი ნიადაგი იყო მეურნეობისათვის, ხალხის დასაპურებლად.

ყველა მოუთმენლად ელოდა, როდის დადგამდნენ ფეხს ამ მიწაზე ჭაბუკი ხელმწიფის კვალდაკვალ. ნეფერტიტი ძლივს აკავებდა მათ.

„ერთი სული მქონდა, ჩავსულიყავი ხომალდიდან, გადამერბინა ეს ველი და ეხნატონთან მივსულიყავი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ახლა თავი უნდა დამენებებინა მისთვის; მას მარტოს უნდა შეეგრძნო მომავალი ქალაქის მიწა.

კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა, ისევ გაიარ-გამოიარა ნაპირზე, მერე ლოდზე ჩამოჯდა. თვალს ვერ ვაშორებ; ეს არსება, თავისი გამხდარი სხეულით, საოცრად ავსებს ამ თეთრ სიცარიელეს. დიდხანს იჯდა ასე. თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული, თითქოს საკუთარი სულის სიღრმიდან მის ყურს ქალაქის ხმაური სწვდებოდა.

ხომალდზე სრული სიჩუმეა, ნავებზეც ყველა განაბულა.

ბოლოს ეხნატონი წამოდგა, ღრმად ჩაისუნთქა.

შორს ვარ, მაგრამ მან იცის, რომ მე მასთან ვარ. იმედის ქალაქი თავისი სახლებით, ტაძრებით, სახელოსნოებით, ბაღებით, სამარხებით უკვე მის წარმოდგენაშია. მერე მეც ვხედავ, როგორ შენდება ის, როგორ ვაშენებთ ჩვენ მას. ბედნიერნი ვართ, რადგან აქ ყველა ბავშვი იცინის. ვხედავ ბერიკაცს, ტირიფების ხეივანში რომ ჩამომჯდარა. აი, შუა ქალაქში მოგიზ-

გიზე კოცონზე ხელებს ვითბობთ ყველა ერთად. შევდივარ ბალში, ახალგაზრდა ქალი რომ რწყავს...

შებინდებისას ეხნატონი დაბრუნდა. თავდაპირველად ბექს და მის ამქარს მიაშურა, მოეთათბირა. მოქანდაკემ მოახსენა, რომ ყველა იწონებს მის არჩევანს.

– ხვალ გადავსხდებით! – ბრძანა მან, ხელი მომკიდა და ნაპირზე გადამიყვანა. ველზე მივაბიჯებთ. ამ პირველ ღამეს ჩვენ აქ მარტონი ვიქნებით შიშველ მიწაზე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცისქვეშ.

გვეძინა, ვიღვიძებდით, მერე ისევ ვიძინებდით.

ერთმანეთის პირისპირ ვისხედით. ეხნატონს თვალები დაეხუჭა და თავისი გრძელი თითებით მეფერებოდა სახეზე, სათითაოდ ეხებოდა ჩემს საფეთქლებს, ლოყებს, ცხვირს, ტუჩებს, თითქოს ჩინის გარეშე სურდა შეეცნო ჩემი ნაკვთები.

მეც ველამუნები მის სახეს. მერე თავი ჩავრგე მის ხელებში. ცოტა ხანში მისი ტუჩები ჩემს ბაგეებს დაეკონა. მთელი სხეულით შევიგრძნობდით მოზღვავებულ ბედნიერებას. ჩვენი გულების ცემა, ყოველი მოძრაობა ერთმანეთს იყო შეწყობილი.

ახლა, როცა ყველაფერი შორეულ წარსულს ჩაბარდა, ამდენი რამ გადაგვხდა, მაინც არაფერი წაშლილა მეხსიერებიდან. ყველაზე ძნელბედობის ჟამსაც კი, როდესაც ბედის ბორბალი უკუღმა დაგვიტრიალდა, ყველა ზეციური რისხვა თავს დაგვატყდა და სიკვდილი თავის კალთას ცხვირწინ გვიფრიალებდა, არსებითად არაფერი შეიძლებოდა შეცვლილიყო, რადგან მუდამ

ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ ჩვენს სიახლოვეს. ჩვენს ძარღვებში ერთი სისხლი ჩქეფს, ჩვენ ხომ ერთ სულ და ერთ ხორც ვართ!

დღემდე, ბუბასტოს, იმედის ქალაქის მიწაზე გათეენებული პირველი ღამით ვცოცხლობ და ეს მოგონება კი არ არის, იმედის და კეთილი ნების მოზღვავებაა, გამუდმებით რომ ავსებს ჩემს სულს.

მიწა, რომელშიც ახალი ქალაქის საძირკველი ჩაიყრებოდა, ღამეს ნებდებოდა, ჩვენ კი ერთმანეთს მივნდობოდით.

თავზე დაგვათენდა.

– მარადჟამ შენ იქნები ძალი ჩემი სიცოცხლისა! – სიხარულით შესძახა ეხნატონმა.

გავრბივართ. იქ ნაპირი შავია და შლამიანი. ფეხი ეფლობა და წყლის შხეფები გვეწუწება. გულიანად ვიცინით და შევხარით ერთმანეთს".

მომავალი იმედის ქალაქის სივრცე დადგინდა და მეფემ ამ ნახევარწრეზე სასაზღვრო სვეტები აღამართვინა. მოგვიანებით მათ გვერდებზე, მთელ სიმაღლეზე, ამ ქალაქის დაარსების ამბავი ამოიკვეთება. გახლავართ მოწმე, როგორ ჩნდებოდა კირქვაში პირველი წარწერა, რომელსაც ჭაბუკი ფარაონი თავად კარნახობდა: „ეს ადგილი არც ერთ ღვთაებას, არც ერთ მეფეს არ ეკუთვნის. ის ყველასია. აქ მზე სიყვარულით დაჰნათის ქვეყანას“.

სამუშაოები ისეთი სისწრაფით სრულდებოდა, რომ ზოგჯერ მშენებლობის ხარისხი ზარალდებოდა. ოთხ წელიწადში აშენდა ქალაქი, თითქოს ქვებს რაღაც საფრთხე ელოდათ, თუ დროულად არ მოერგებოდნენ კუთვნილ ადგილს.

ეხნატონს და ნეფერტიტის აღარ უნდა დაეტოვებინათ ეს ქალაქი, სადაც სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მკვიდრდებოდა. მთელმა ეგვიპტემ აიტაცა ჭაბუკი ხელმწიფის წამოწყება. მახლობელი ოლქებიდან ათასობით მუშა საკუთარი ხელსაწყოებით მოეშურებოდა ჩვენკენ. მეზობელი პროვინციის მმართველმა ბიხურუმ და რამდენიმე მცხოვრებმა დახმარება შემოგვთავაზეს. მაღალჩინოსანი სამხედრო რიბადი, მეტსახელად მაგნანიმი, ჯარის ერთ შენაერთთან ერთად ჩამოვიდა.

საღამო ჟამი იქნებოდა. ნაპირზე ბებერი ქალი გადმოვიდა. ერთ ხელში თიხის ლამპარი ეკავა, მეორეთი კი ნაჭრებში გახვეული მოზრდილი ქვა მიეკრა გულზე.

ყველამ, ვინც თებედან სამეფო ხომალდით ჩამოვიდა, წერაქვიც მოიმარჯვა, აგურების დაწყობაც ისწავლა და მასალების გადატვირთვაც. მაგონდება, ერთხელ მამაჩემმა ამენომ, რომლის თითები კალმის გარდა არაფერს გაჰკარებია, მთხოვა, ყურად მეღო უხუცესი და უბრძენესი ვეზირის ოტეპის გამონათქვამი: „ხელს, რომელსაც დროშის ტარი უჭირავს, წერაქვის და თოხის დაკავებაც უნდა შეეძლოს". და მეც შევუდექი მუშაობას.

დაღამებისას, ქანცგაწყვეტილი, სეკეას ვაზელინებდი სხეულს ზეთით და მალამოთი. რაც ხომალდზე ერთად მოვხვდით, ქალი ყურადღებას არ მაკლებდა.

ყველა გულმოდგინედ შრომობდა და ქალაქი ჩვენ თვალწინ იზრდებოდა. ჭაბუკი ფარაონი ყველგან იყო, დაღლას ვერ გრძნობდა, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა საკუთარ თავს, რაც კიდევ უფრო მეტ ძალას მატებდა მას. ამ ოთხი წლის მანძილზე მის ავადმყოფობას ერთხელაც არ შეუხსენებია თავი. მისი მტკიცე და ურყევი სული ყველას გულებს აღაგზნებდა, ხელეწიფებოდა, ხორცი შეესხა ჩანაფიქრისთვის. ყველასგან დიდი თანადგომა ჰქონდა. გაოცებას იწვევდა, ისეთი დაკვირვებითა და საქმის ცოდნით გეგმავდა, აზუსტებდა და ირჩევდა, არც ერთი წვრილმანი არ გამორჩებოდა: ქვაფენილები ცალკე ფეხით მოსიარულეთათვის, ცალკე ეტლე-

ბისათვის, გამაგრილებელი მოწყობილობები ზაფხულისთვის, როცა გავარვარებულული ზეცა და უდაბნო სულს უხუთავს მოქალაქეებს. განზრახული ჰქონდა, მოშორებული უბნები ერთმანეთთან დაეკავშირებინა სწორი, გამართული, ჩრდილიანი გზებით, სადაც გასეირნებაც საამო იქნებოდა. ჩამოატანინა ვაშლის, ბროწეულის, ნუშის, აგრეთვე სხვა უცხო მცენარეთა ნერგები, მოაშენებინა ცხოველთა იშვიათი სახეობები. ნეფერტიტისთან ერთად ოცნებობდა ისეთ ქალაქზე, სადაც კედლებსაც კი გამოაცოცხლებდნენ წალკოტში მონავარდე ჩიტების, თევზებისა და ცხოველების ფრესკები.

სახლები და სასახლეები გამომწვარი აგურით შენდებოდა, მხოლოდ კარიბჭეებს, ღიობებს და სვეტებს ამაგრებდნენ ქვით. ყველა სახლი ერთსართულიანი იყო, ბაღით გარშემორტყმული. ვისაც სურდა, სამლოცველო ჰქონოდა, არ უნდა გადაეხურა ის, მზის სხივებს რომ თავისუფლად შემოეღწია.

კლდეების მღვიმეებში სამარხები გაითხრებოდა.

„ქალაქი ოთხ წელიწადში აშენდა. სხვადასხვა უცხოტომელნიც დასახლდნენ აქ და „სამყაროს გული“ უწოდეს.

ამ დროისთვის ჩვენ სამი ქალიშვილი გვყავდა: მერეთი, მეკეტი და ანხესი.

ტაძარი დედაქალაქის შუაგულში აღიმართა. მისი მთავარი საკურთხეველი გადახურული არ იყო. როცა ჭეშმარიტი ღვთაებისადმი აღავლენ ლოცვას, არაფერი უნდა ეღობებოდეს მის ნათელს, შენკენ მომავალს. ამონის დიდქურუმთა არაამქვეყნიური ხმები შიშის ზარს სცემდა მლოცველებს. მათ ნაცვლად აქ მერინეს ლოცვა ისმოდა, ყველასთვის მახლობელი და გულში ჩამწვდომი. აქ ყველა თავის ლოცვასაც ამბობდა.

ეხნატონის სიტყვები პირდაპირ გულს სწვდება:

– სამღვდელოებამ ადამიანები იდუმალებით მოცული ღმერთების შიშის საფარველში გახვია. ამ ქვეყნად კი ერთადერთი სასწაული სიცოცხლეა, მზის სასწაული, რომელიც სისხლად ჩაიღვრება ჩვენს ძარღვებში და უწყვეტად მოუვლენს დედამიწას ახალ-ახალ სიცოცხლეს, აღმოაცენებს ხეს... აი ეს არის ჭეშმარიტი ღვთაება!

ის ყველაფერში მის ნიშანს ხედავს, ფოთლების შრიალი იქნება ეს, ახლად ფეხადგმული ხბოს კუნტრუში, წიწილის ჩანისკარტება ნაჭუჭის გამოსამტვრევად თუ ქარი, იალქნებს რომ დაბერავს.

– სიცოცხლე მარადიულია; ის იმაშიცაა, რაც წარმავალია, და იმაშიც, რაც რჩება. და თუ ღმერთი არსებობს, ის სიყვარულის მასულდგმულებელი ძალა უნდა იყოს, ყველაფერში, ყველგან და ყოველთვის უნდა იყოს, ყოველ ცისმარე დღეს გვითენებდეს.

მიუხედავად უზომო დატვირთვისა, ეხნატონი როდესაც მესაუბრება, ისე მშვიდია, როგორც დილის რიჟრაჟზე გარინდულ ველზე გამონათება... გამენდო, რომ აგრძელებს თავის „ატონის სადიდებელს“ და დამპირდა, ამონარიდებს წაგიკითხავო.

აქ მაგონდება სხვა ჰიმნი, ამონის სადიდებლად თუტმოს მესამემ რომ დაწერა. სეკეას ის მებაღე შედუსგან გაუგონია:

„ფეხქვეშ გათელე მტერი ურიცხვი,
თავზარი დაეც.
მოგესალმები მსხვერპლზე შემდგარს,
სისხლის ამღებო!“

ეხნატონს კი როდესაც ვუსმენ, ჩვენი კეთილმოსურნე ხალხის ხმა ჩემესმის:

„მთელი სამყარო შენ შექმენი,
სული შთაბერე ჩვენგან შორით უცხო ქვეყნებსაც,
სულიერი და უსულო – ყველა ერთად

სიკეთეს და სიყვარულს აზიარე,
შენით ხარობს ამ მიწაზე არსი ყოველი".

.

ეს ხმა შორეთს სწვდება და მუდამ მესმის მისი გამოძახილი, მარად ცხოველი, გაცხადებული სხვა სადიდებლებში".

მშენებლობა დასრულდა და ასე გაჩნდა ქვეყანაზე „იმედის ქალაქი". იქ, სადაც უდაბნო იყო, სიცოცხლე ჩქეფს. ყველგან ბაღებია, სახლები. ხალხმრავლობაა. ეს ჩვენი ქალაქია, ჩვენი ხორცშესხმული ოცნება, ჩვენი შრომით და ოფლით ნაგები!

სიხარულისგან ცას ვეწევი. დავიჩოქე და მიწას ვაკოცე. ნეტავ შემეძლოს, მთელი ქვეყანა გულში ჩავიხუტო ისე, როგორც გულში მიკრავს ეს ქალაქი, ჩემი ქალაქი, ნაირფერი კედლებით, ლამაზი ხეივნებით და ბაირაღებით დამშვენებული.

ძლივს ვწყდები სეკეას ფუმფულა გულ-მკერდს, რომ ვეწვიო მენიჩბე ქალს ნუპას, „ყოველგვარი ცოდვისა და უკეთურობის გუდურას", როგორც მამაჩემი ამენო იტყოდა.

სეკეა მუდამ ბადენაქსოვ სამოსში მხვდება. მთელი საათი ვნებივრობთ. ყოველთვის მაქვს მისთვის რაიმე პატარა საჩუქარი. როდესაც მეტისმეტად მომაბეზრებს თავს, სამზარეულოში გავრბივარ და მისი მომზადებული კერძებით ვიყორავ მუცელს, პირს ვიტკბარუნებ მწყრით ან თევზით.

– მშობელ დედასავით ზრუნავ ჩემზე, – არ ვიშურებ ქათინაურებს.

ყოველი ქალის მკერდში მზრუნველის გული ძგერს.

მერე ხახვის და ნივრის სუნით ვყარვარ. ამიტომ ყველა მეჯაჯღანება:

– შამფურზე კაი წამოსაცმელი ხარ, შე ღორ-მუცელა ლოთბაზარა!

სეკეა მაინც კმაყოფილი შემომციცინებს.

ზღვით თუ ხმელით დაძრულიყო მთელი ელჩობა „სამყაროს გულისკენ", ფარაონისთვის ერთგულება რომ დაედასტურებინათ.

ჟამითჟამს დაინახავდით სანაპიროზე გადმომ-სხდარ ტუსაღებს. ზურგსუკან ხელებზე ბორკილები ედოთ. ფეხებში ჩაუვარდებოდნენ ხოლმე მეფეს. ეს კი ყოველგვარი დამცირების გარეშე თავისუფლებას ჩუქნიდა მათ.

ბევრმა ყაჩაღმა პოვა თავშესაფარი ჩვენს ქალაქ-ში, სადაც არასოდეს აწამებდნენ, არც სიკვდილით სჯიდნენ.

სამაგიეროდ პატივმოყვარე დიდებულებს არ მოსწონდათ, საეჭვო წარმომავლობის მაღალჩინო-სანნი ტოლს რომ არ უდებდნენ. „იყო დრო, ლუკმა-პურს ვმათხოვრობდი, ახლა კი მრჩევლის თანამდე-ბობა მიკავია", გამენდო ერთხელ აბიდიპი. მათთვის დაუშვებელი იყო ახალგაზრდა მეფე-დედოფლის საქციელი, ვერ გაეგოთ, ასე მარტივად როგორ ამბობ-დნენ უარს დაბადებით ნაბოძებ ყველა პრივილე-გიაზე, არც ის ესმოდათ, როგორ კმაყოფილდებოდნენ მცირედით, რათა ხალხთან უფრო ახლოს ყოფი-ლიყვნენ, და უკმაყოფილონი თებეში ბრუნდებოდნენ.

მათი აზრით, ძალაუფლება და მისგან გამომდინარე ყველა სიკეთე მათი საკუთრება იყო და სრული უფლება ჰქონდათ, თავისთვის მოეხმარათ. ამ ადამიანებმა ზურგი აქციეს იმედის ქალაქს და დაბოღმილებმა ისევ თებეს მიაშურეს.

ხშირად მდაბიოთა გვერდიგვერდ მიქომაგია მოჭიდავეების, მოკრივეებისა და მოისართათვის, შევერთებივარ მასხარებს და ჯამბაზებს, რომლებთანაც თავს შინაურულად ვგრძნობ.

ერთ დღეს დოლის ხმას აყოლილი, ხალხით გარშემორტყმული და ნაქეზებული გიჟივით ვხტოდი. უეცრად სენბი კისერზე შემომახტა, თავისი გრძელი მკლავები მომხვია და ბანჯგვლიანი ლოყით სახეზე მეფერებოდა. ჩემი მაიმუნი ასე მარწმუნებდა, რომ მოსწონდა ჩემთან ყოფნა და არასოდეს მიმატოვებდა. მეც დავყევი მის ნებას. მართლაც განუყრელნი ვიყავით, სანამ იმ უბედურ დღეს სენბი ჩვენი ქალაქის ნანგრევებში არ ჩაიკარგა...

ისე ფეხაწყობით მედგა კვალში, რომ ჩვენგან, ორივესგან, ერთი ჩრდილი ეცემოდა მიწაზე. როდესაც ღვინომორეული ან სევდამორეული რაღაც უხეირო რამის გაკეთებას ვლამობდი, სენბი ტაშისცემით ცდილობდა, გონს მოვეყვანე.

სამივე პატარა მეფის ასულს ძალიან მოსწონდა სენბი. როდესაც სასახლის აივანზე გამოსულ სამეფო ოჯახს ხალხი შეძახილებით ესალმებოდა, სენბი და მე მათ უკან ვიდექით. მერეთი და მეკეტი ჩვენთან მოდიოდნენ და წინა რიგებში გადმოვყავდით.

„ეხნატონი ყველას დასანახად ეთამაშება თავის ქალიშვილებს; მერეთი მხრებზე შემოისვა, მეკეტი ჩვენ გვერდით მოკუნტრუშე ქურციკს გამოაბა, პაწია ანხესი ხელში უკავია. მათი ალერსით ვერ ძღება. უეჭველია, გული სწყდება, ვაჟი რომ არ ჰყავს, მაგრამ აზრადაც არ მოსდის, ამაზე დაიჩივლოს, მისაყვედუროს ან სხვა ცოლებზე იფიქროს. არ ერიდება, ხალხში წელზე ხელი მომხვიოს და მომეალერსოს. ზოგჯერ მარტოს მოესურვება, თავისი ეტლით შემოიაროს დედაქალაქი, ზოგჯერ ჩვენც თან მივყავართ. შილიფად ჩაცმული ჩვენი შვილები ეტლის გვერდებზე გადაყუდებულან და ხელს უქნევენ გამვლელებს. მეფემ მათ გამოხედა, მერე ჩემკენ იხრება და ჩვენი ტუჩები ოდნავ ეხება ერთმანეთს.

გვსაყვედურობდნენ, წარმოდგენას მართავთო, ფარაონის ღვთაებრიობას ჩრდილს აყენებთო. ჩვენც ეს გვინდოდა: დაგვემსხვრია ზღუდეები და წაგვეშალა მანძილი, ხალხს რომ გვაშორებდა.

ეხნატონი მოითხოვდა ბექისგან და სხვა მხატვრებისგან, ისეთებად გამოვესახეთ, როგორებიც ცხოვრებაში ვიყავით: ჭამა-სმისას, სეირნობისას, ერთმანეთთან ალერსისას, მოწყალების გაღებისას... და რო-

გორიც თვითონ იყო: წაგრძელებული სახით, ფართო თეძოებით, წვრილი ფეხებით. ის არც ცდილობდა, დაემალა თავისი სხეულის არასრულქმნილებადასელის მოკლე ქვედა სამოსითა და შიშველი მკერდით დადიოდა.

არავითარ გულისთქმას ჩვენ არ ვზღუდავდით, ხორციელი ლტოლვისაგან თავს არ ვიკავებდით: აი, ხელები, ერთმანეთს რომ ეძებენ და მერე ჩაეჭიდებიან, სიმყუდროვე, მხრებზე მკლავის მოხვევა რომ გაგრძნობინებს. საალერსო სიტყვებს არ ვიშურებდით ერთმანეთისთვის. გულს ვარდად ეფინებოდა ისინი და ძალას გვმატებდა.

– შენ ხარ ის, ვისაც ვეტრფი, და არავინაა, ვინც შენ გარდა ცოლად ვინდომო".

თავისი წინაპრებისგან განსხვავებით, ეხნატონს ჰარამხანა არ ჰქონდა. ცოლი, თუნდაც ის ფარაონის გვერდით ყოფილიყო, მეუღლესთან შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა და მცირე ზომით გამოისახებოდა ხოლმე. რაც შეეხება ნეფერტიტის, ყველა ბარელიეფზე ის გვირგვინოსანი მეუღლის ტოლი და სწორია.

ჩვენი ჟამთააღმწერელნი დიდად არ სწყალობდნენ ქალბატონებს. მხოლოდ ასაკოვანი მანდილოსნები, ქალურ მშვენებას მოკლებულნი, ხდებიან ღირსნი კეთილმოხსენიებისა მათგან. ახალგაზრდებს კი „თავქარიანებს, ჭირვეულებს, ენაგრძელებს, პირღნიოშთ და ვერაგთ“ უწოდებენ.

რაც შეეხება მამაკაცებს, – ერთგულთ, თავგანწირულთ, გულწრფელთ, გონიერთ და დიდბუნებოვანთ! – მეც, სხვების მსგავსად, ვადიდებდი მათ, სანამ ეს საქმე ზომიერების ფარგლებს გასცილდებოდა. მართლაც, ერთ დილას ტუტუს შევეკამათე, რის შემდეგ გულში მამრისადმი წყრომა გამიჩნდა. ამ ვაჟბატონს, ცოტა არ იყოს და, გვარიან პირმოთნედ ვთვლიდი. ჰოდა, ერთხელაც მენიჩბე ქალის ნუპას მკლავებში წავასწარი, და გავიგონე, როგორ დასცინოდა ეხნატონს, მასხრად იგდებდა ჭაბუკი ფარაონის საქციელს.

კარგად რომ დავფიქრდეთ, ჩვენ, მამაკაცებს, მემკვიდრეობით გვერგო უფლებები, რომლებსაც ერთბაშად ვერ დავთმობთ. მიუხედავად იმისა, რომ მე ისინი არასოდეს ბოროტად არ გამომიყენებია და ზოგიერთ შემთხვევაში სულაც არ გამომიყენებია, ვფიქრობ, რწმენა ჩვენი უპირატესობისა სულის სიმტკიცეს მატებს თითოეულ ჩვენგანს. მამაკაცს უფლება აქვს, ხარჭები მოიყვანოს სახლში. მაღალ თანამდებობას რომ დაიკავებს, კაცს შეუძლია, გაეყაროს თავის მდაბიო ცოლს და სხვა, თავისი ახალი მდგომარეობის შესაფერისი ქალი შეირთოს. კაცს ნება აქვს, სცემოს კიდეც ცოლს, თუმცა ზედმეტი არ უნდა მოუვიდეს. თუ ქალმა ღალატი გაბედა, ის სიკვდილით ისჯება, მამაკაცი კი იმავე საქციელისთვის საერთოდ არ აგებს პასუხს. ქალი ოცდაათი წლისა უკვე მოხუცია, კაცს კი არც ერთ ასაკში ყავლი არ გასდის.

ქვეშქვეშაობა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ, აბა, სად გაგონილა ჟამთააღმწერელი ქალი, თუნდაც ის მიწას აზანზარებდეს. მემატიანე ქალი... ამის გაფიქრებაც კი ღიმილს მგვრის.

ამ დროს კი ეხნატონმა, ჩანს, გადაწყვიტა, სხვანაირად წარმოაჩინოს ქალი, სხვაგვარად წარმოგვიდგინოს ცოლქმრული ცხოვრება. გამოგიტყდებით, ზოგჯერ ამისგან თავზარი მეცემა.

ფარაონის საქციელით შეშფოთებულია მოურავი ტუტუ და ბევრი სხვაც. განა ხელმწიფემ თავისი თანამეცხედრის სადიდებელი არ ამოაკვეთინა იმედის ქალაქის პირველსავე სვეტზე? „დაე აღსრულდეს ჩემი სულის საწადელი და დღეგრძელიმც იყოს ნეფერტიტი, ჩემი სატრფო სწორუპოვარი, უკუნითი

უკუნისამდე. იგი ყოველთვის იქნება „მშვენიერი ქალბატონი, რომელიც მობრძანდება“.

თებედან მომავალი დედოფალ თიიას ხომალდი თეთრად მოქათქათე ნაპირს მოადგა და იმედის ქალაქის ნავსაყუდელში ჩაუშვა ღუზა.

უკვე რვა წელია, რაც აქ დავმკვიდრდით. ქალაქის მშენებლობა ოთხი წლის წინ დასრულდა. ეხნატონი გამუდმებით ეპატიჟება დედას, ატყობინებს, რომ ახალ დედაქალაქში სასახლეც ააგებინა და ტაძარიც, მაგრამ დედოფალი თიია გაუთავებლად აყოვნებდა ჩამობრძანებას. ჩამოდის კი ამჯერად დასარჩენად?

ჭაბუკი ფარაონი ოჯახთან ერთად ელოდება ნავსაყუდელთან. წელზე სელის ნაკეცებიანი შემოსაკრავი აქვს შემორტყმული. ნეფერტიტის ფართო კაბა მოსავს. მერეთი, მეკეტი და ანხესი იქვე დაფუსფუსებენ.

ყვავილების კონები დავწანი, ერთი სენბისთვის, ერთიც ჩემთვის, მაგრამ ჩემმა მაიმუნმა ახლოსაც არ გაიკარა და ორივე ჩამოვიფხატე. სენბს არ მოვეწონე და მანამ არ მოისვენა, სანამ არ მოვიხსენი. ხელი დასტაცა და ღერა-ღერა დაურიგა ყვავილები პატარა მეფის ასულებს, რითაც დიდად გაახარა ისინი.

სანაპიროს გასწვრივ უამრავ ხალხს მოუყრია თავი. მოუთმენლად ელიან დედოფალ თიიას. ის ჯერ არ ჩანს ხომალდზე სპეციალურად მოწყობილ ბაქანზე.

დიდვეზირ ნახტს სიქა გასძვრა, მაგრამ უკვე თითქმის ყველაფერი მზად აქვს. დიდი ქურუმი მერინე დინჯად ესაუბრება პროვინციების საქმეთა გამგებელს ბიხურუს. სეკეა მოურავ იოუტის გვერდით დგას

და თვალზე მომდგარ ცრემლს იმშრალებს. მეორე მოურავი ტუტუ, რომელმაც მთელი ღამე მენიჩბე ქალ ნუპასთან განცხრომაში გაატარა, შინ დატოვეს და დაავალეს, სუფრის თადარიგი დაეჭირა.

აქვეა მხედართმთავარი რიბადი, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, თავიდანვე ჩამოვიდა თავისი ჯარის ნაწილთან ერთად, მეომრებს მშვიდობიანი ხელობები შეასწავლა და დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის მშენებლობის საქმეში.

ახალგაზრდა მეთაური ჰორემჰები სასაზღვრო გარნიზონების შესამოწმებლად დადიოდა ხოლმე და ჯერ არსად ჩანდა. ხშირად გამჩენია კითხვები მისა და მისი გარნიზონების შესახებ.

თეთრნვერა მოხუცი ვეზირი რამოსი მოქანდაკე ბექის მკლავს დაყრდნობია. მათ ირგვლივ მოწაფეები და ხელოსნები შემოკრებილან.

ლალა აიე საღღაც წინ დგას.

მაჰუს ამ ჯერზე არ დასჭირვებია სმონის ყიჟინა გამოსაფხიზლებლად. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ისე მიშტერებოდა ნავმისადგომს. მისი ბატი სახლის პატარა ეზოში იყო დაბმული და ყიყინით იკლებდა მთელ უბანს.

დედოფალი თიია კი კვლავ არ ჩანდა.

ბოლოს ისიც გამოჩნდა, სეფექალებით გარემოცული. დიდხანს შეყოვნდა, სანამ ხალხის წინაშე წარდგებოდა. პარიკიან კოხტა თავზე რქებითა და ჯიღებით მორთული ოქროს გვირგვინი ადგას. ფართო მკერდსაფარის ქვემოდან მისი ნაკეცებიანი კაბა ქარით გაბერილი იალქანივით ეშვება. წინ მაცნე მოუძ-

ღვის, ორივ მხრივ კარისკაცნი უდგანან. იქვე არიან მარაოებისა და საჩრდილობელთა მტვირთავნი, მებაირაღენი. დედოფალ თიიას ორი ყმაწვილი მოჰყვება შვიდი-რვა წლისა, სემენხარე და ნებხერე. ისინი ხელმწიფის თანამეცხედრის მიერ შერჩეული ხარჭების გაჩენილნი არიან ამენოფის მესამის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სამეფო კარზე იზრდებიან თიიას მეთვალყურეობით და ახლა პირველად ხვდებიან თავიანთ ნახევარძმას, ეხნატონს.

დედოფალ თიიას ზარ-ზეიმით ჩამობრძანებამ გააოგნა მის დასახვედრად მოსული ხალხი. სიჩუმე ჩამოვარდა საზეიმო, თავები დახარეს მუხლმოყრილთ, ზოგი მიწაზეც კი განერთხა.

მაგრამ ეხნატონი და ნეფერტიტი უცებ მოსწყდნენ ადგილს და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე თავიანთ ქალიშვილებთან ერთად მკლავგაშლილები წინ გაიჭრნენ საყოველთაო მხიარულებასა და ერთბაშად ატეხილ ყიჟინაში.

იმედის ქალაქი – უდაბნოში ამოზრდილი თეთრმწვანე სასწაული – აღაფრთოვანებდა მნახველს.

– ეს ციდან მოვლენილ ნათებასავითაა! – აღტაცებით შესძახა დედოფალმა თიიამ, სანამ ნავმისადგომზე გადმოვიდოდა. მერე თავის ვაჟთან ერთად დაწინაურდა. ეხნატონმა ის ქუჩებში გაატარა ნაირფერ გაზონებს შორის, ბაღებში გაასეირნა, სადაც მოქალაქენი სალაღობოდ დადიოდნენ. სახლებიდან ბარბითისა და ებანის ხმები იღვრებოდა. უჩვენა ლამაზად მოხატული კედლები. მრავლად იყო ჭები, აუზებში ლოტოსები ლივლივებდნენ, არხებში თევ-

ზები დაცურავდნენ. გზად ერთ ფანჩატურში შეისვენეს, სადაც ქვევრიდან ცივ ღვინოს და ახალდაკრეფილ ხილს შემოგთავაზებდნენ. შემდეგ დედოფალმა მხატვართა და მოქანდაკეთა სახელოსნოების დათვალიერება ინება. ჯეჰუთი ნეფერტიტის ბიუსტს ამთავრებდა, კირქვაში გამოქანდაკებულს.

– შენი სახეც მინდა ქვაში გააცოცხლოს ჯეჰუთიმ, – ისურვა თიიამ.

ბოლოს სანადიმოდ გაეშურნენ.

სენბი ხელს არ მიშვებდა, გრძნობდა ყველაზე სანატრელი მომენტის მოახლოებას და ჩემთან ერთად სიხარულისგან ხტოდა. სეკეა წამოგვეწია. მხრებზე ანხესი შემოესვა. მასაც და მეც, ისევე, როგორც ყველას, ჩვენი ადგილი გვქონდა მიჩენილი მაგიდასთან.

„გულუხვი იყავ საზეიმო სუფრის გაშლისას! – ბრძანებდა ბრძენი ოტეპი. – ბეღლიდან რასაც გაიღებ, არ ეგების, უკან შებრუნდეს".

სასმელ-საჭმელი უხვად იყო. ხორცეული მრავალნაირი, მათ შორის საქონლის ბარკლები, დახვავებული პური თუ ტკბილეულობა. ყვავილებით მორთულ სუფრაზე წითლად ღუოდნენ ბროწეულები. ხილის და ბოსტნეულის გორები იდგა.

თებეს დიდებულ ნადიმებს ჩვეული დედოფალი მაინცდამაინც არ იყო კმაყოფილი ამ უცერემონიო მოლხენით. აქ ხომ შინაურული, მხიარული განწყობა სუფევდა, დიდებულები და უბრალო ხალხი ერთად ჭამდნენ პურს.

სახლთუხუცესმა ჰუიამ, წარბშეჭმუხნილმა, ჯერ

ხომ კარგად შეამოწმა სამზარეულოები, ახლა მსახურებს დასტრიალებდა, ყველა ღონეს ხმარობდა, აღეკვეთა ან თუნდაც რაღაცნაირად დაეფარა ცერემონიალით გათვალისწინებული წესების დარღვევები.

დედოფალი თიია ცდილობდა, ხასიათი შეეწყო, ხუმრობაში აჰყოლოდა სტუმარ-მასპინძლებს. დაინახა, როგორ მიიტანა პირთან ნეფერტიტიმ პატარა შემწვარი იხვი და მისი მიბაძვით, თავადაც გემოზე ჩაკბიჩა მწყერი. ეხნატონი გემრიელად ხრავდა ძვლიან ხორცს, მის მუხლებზე კი ტიტლიკანა, გაწრიპული მეკეტი ხტუნავდა. მერე ღვინოც სვეს კარგა მოზრდილი თასებით.

სემენხარე და ნებხერე მშვენივრად შეეწყვნენ პატარა მეფის ასულებს.

ჰუია უკმაყოფილოდ აქნევდა თავს.

მოშორებით მუსიკოსები დაბალ ხმაზე უკრავდნენ.

ამ სანახაობით მოხიბლული ჯეჰუთი დარბაზის ერთ კუთხეში ჩამუხლულიყო და ჩანახატებს აკეთებდა თიხის ფირფიტებზე.

„მეორე დღეს ეხნატონმა დედოფალი თიია თავის ტაძარში წაიყვანა, სადაც სამუშაოებს თვითონ უწევდა მეთვალყურეობას, სამეფო განსასვენებლის ყველა დეტალს თავად ამოწმებდა. ამ მშენებლობას საიდუმლოდ ინახავდა, დარწმუნებული იყო, რომ დედას მოულოდნელად გაახარებდა.

შენობის გარე კოლონებს შორის დედოფალ თიიას და ამენოფის მესამის ქანდაკებები ალმართულიყო.

დედა და შვილი ტაძრის წინ შეჩერდნენ. სამეფო კარის რჩეულნი თან ახლდნენ, მათ შორის ლალა აიე, რომელიც ცდილობდა, დრო ეხელთა და დედოფალს დალაპარაკებოდა.

მეც მათთან ერთად შევედი ტაძარში.

ძლივს აკავებდა გალავანთან მოზღავავებულ ხალხს სახლთუხუცესი ჰუია. შფოთავდა, გაღიზიანებული იყო. შიშობდა, დედოფალს ისე ძლიერ არ მოსწონებოდა იმედის ქალაქი, რომ საცხოვრებლად აქ გადმოსვლა გადაეწყვიტა.

ჯერ კიდევ წინა დღიდან სემენხარე და ნებხერე ქალაქში სახეტიალოდ ემზადებოდნენ. სასწრაფოდ გამოეცვალათ ტანისამოსი. ისინი ყველა ჯურის ბავშვებთან ერთად შემოირბენენ უცნობ ქუჩებს, გვირა-

ბებში მიიმალებიან, ძაღლებს გამოაჯავრებენ, ქურციკებს მიუალერსებენ, იცურავებენ ნორჩ მეფის ასულებთან ერთად.

თებელების უმრავლესობა აღფრთოვანებულია დიდებული ტაძრით, თან გაოცებას ვერ მალავენ უჩვეულო ცერემონიალით და მოუთმენლად ელიან გალავანთან თავიანთი დედოფლის გამობრძანებას.

ეხნატონმა ხელი ჩაგვკიდა მე და დედა-დედოფალს და სამივე ერთად შევედით გალავანში, გავიარეთ ეგვტერთა ხეივანი და საკურთხეველს მივეახლეთ, რომელზეც საკმეველი ენთო. ირგვლივ სხვა არაფერია. შიშველ კედლებს ოდენ ამომავალი მზის კონტურები გადაურბენენ. მეფე არავითარ რიტუალს არ ასრულებს, ლოცვასაც არ აღავლენს. მხოლოდ ოდნავ თავს ხრის მდუმარედ. მერე გაშლილ ზეცაში აღაპყრობს მზერას და იღიმება. წარმომიდგენია, რა ძალუმად უძგერს გული იმის გაფიქრებაზე, რომ დედოფალ თიიას თვალწინ მის მიერ ხორცშესხმული ოცნებაა, ოცნება, რომლითაც თავად აღაგზნო: ქვებით ნაშენი და აღმართული სხვა არაფერი, მხოლოდ იმედი.

რაც ტაძარში ფეხი შემოდგა, დედოფალი რაღაც ცერემონიალის, რაიმე რიტუალის დაწყების მოლოდინშია. ღვთიური მშვენება კი სუფევს, მაგრამ ეს გაშლილი ზეცა ასე ალალად, ყოველგვარი იდუმლების გარეშე რომ დაჰყურებს საკურთხეველს, მას მეტისმეტად მიწიერად უნდა ეჩვენებოდეს. ვხედავ, როგორ მოიკუნტა, მოიდრიკა წლების სიმძიმით, უნებურად თავს იქნევს.

სიხარულით ალსავსე ეხნატონი კი არ ჩქარობს. ის ჯერ ვერაფერს ამჩნევს. ცოტა ხნის შემდეგ, დედისკენ რომ მიიხედა, მისი მოლუშული სახე ეცა თვალში.

– მსურს, თებეში დავიკრძალო!

დედის ამ შეძახილზე ეხნატონმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

– უნდა შემომფიცო!

ეხნატონი უკვე მომავლისკენ მიქროდა დედასთან ერთად, უკვე... დიდი ძალისხმევა დასჭირდა, თავი ხელში რომ აეყვანა.

დედოფალი კი ჯიუტად იმეორებდა:

– საქვეყნოდ უნდა შემომფიცო, რომ თებეში დავიკრძალები ამენოფის მესამის გვერდით!

მას კი იმედი ჰქონდა, მამის ცხედარს ამ ქალაქში გადმოასვენებდა. განა დედა აღტაცებული არ იყო მათი ორი ქანდაკებით ტაძრის ფასადზე?

მეფე გაფითრდა. შემეშინდა, კრუნჩხვები არ დასწყებოდა და გრძნობა არ დაეკარგა. დანა პირს არ უხსნიდა. დედოფალი კი მის პასუხს ელოდა.

– შემომფიცე! – ჩემკენ მოტრიალდა, ჩემს მხარდაჭერას ელოდა.

ვიცოდი, რომ ეხნატონს არ შეეძლო და არც სურდა, დედის ნებას წინ აღდგომოდა, მაგრამ ახლა დრო სჭირდებოდა, გონს მოსულიყო, გარკვეულიყო.

მივჩერებივარ ეხნატონს და ველოდები, რას იტყვის.

– თებეში დიდი ქურუმების ხელში იქნები.

– დიდ ქურუმებს არც მე ვენდობი, მაგრამ არ შეიძლება, ანგარიში არ გავუწიოთ მათ. ყური მიგდე, შვილო... ნუთუ არ შეგიძლია, გამიგო?

ეხნატონმა თავი დაუქნია.

– შენს ქალაქში უკვე ბევრი მისტირის წინაპართა აღმსარებლობას და კვლავ ძველ ღმერთებს სცემენ თაყვანს. იმასაც მივაპყრობ შენს ყურადღებას, თუ რას სჩადიან ახლად მოქცეულნი ბევრ ოლქში: ტაძრების კედლებზე ამონის სახელს ამტვრევენ, აკლდამებშიც შეაღწიეს, რათა მეწამული ნიშნებით გამოსახონ ატონის სახელი.

– მე ეს არ მინდა.

– არაამქვეყნიური ხარ, ახლობლებსაც კი არ ესმით შენი.

ეხნატონი წინააღმდეგია ნახევარზომების, მაგრამ ძველი ღვთაებების თაყვანისმცემლებისადმი სრულ შემწყნარებლობას იჩენს. არ სურს, რომ მისი ძალაუფლება თრგუნავდეს ვისსამე თავისუფლებას, საკუთარ გარემოცვაშიც არ ცნობს ფანატიკოსებს, ულმობელთ, მწვალებლებს.

– ერთ რამესაც გეტყვი: ვის ძალუძს გაგიგოს ეს მიმტევებლობა ყველასადმი? არც ქცევით, არც სამოსელით ბრბოსგან არაფრით გამოირჩევით. ხალხს თვალები მაღლა უნდა ჰქონდეს აპყრობილი. მათთან გათანაბრებით შენ მდაბლდები, შენი ხატება იმსხვრევა.

– რომელ ხატებაზე ლაპარაკობ?

– ხელმწიფე თავის ღვთაებრიობას, ზებუნებრიობას უნდა ინარჩუნებდეს.

– ღვთის ხატება ხომ ყველგან არის.

– ძალიან ჩქარობ. ასე ყველაფერს დაკარგავ. მოთმინება გმართებს.

– მოთმინებით ველოდო სიბერეს და თვალი დავხუჭო, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს? – უნებლიეთ ხმას აუწია ეხნატონმა.

მივუახლოვდი. ხელი ჩავჭიდე. დედოფალი შეცბა, მკაცრად შემომხედა. ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ოლქები უკმაყოფილებამ მოიცვა, ადგილობრივი მმართველები ველარ გრძნობენ ძლიერი ხელისუფლების მხარდაჭერას და მალე საზღვრებს მომდგარ მტრებს შეეკვრიან.

– სამეფო რღვევის პირასაა...

უწინ ფარაონი ჯარის ნაწილს გაგზავნიდა. საკმარისი იყო, სამხედრო ექსპედიციას ზომები მიელო, რომ ყველაფერი თავის რიგზე დამდგარიყო.

– მძულს ძალადობა. მხოლოდ მშვიდობა მსურს ყველასათვის.

– თვალი გამოახილე! უწყი, რომ შენი ვასალი აზირუ ამორეველი ძალიან დაუმეგობრდა ხეთებს? შველას ითხოვდა, შენგან კი ვერაფერი მიიღო, გარდა კეთილი რჩევებისა, არაფერში რომ არ გამოადგება. დაგცინის; ის ხომ სულ სხვა რამის მოლოდინშია.

ეხნატონი დუმდა.

– ისმინე ჩემი რჩევა: უფრთხილდი აზირუს და კიდევ ბევრ სხვას...

დედოფალს სუნთქვა გახშირებოდა. უცებ პირი ფართოდ გაეღო და შემზარავად დაიღმუვლა:

– როგორ მაშინებ! უფსკრულისკენ მიექანები!

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

დედოფალი თიია გრძნობდა, რომ ამას იქით ყოველი მისი ნათქვამი ხმა მღალადებლისა იქნებოდა უდაბ-

ნოსა შინა. ეხნატონიც ხვდებოდა, რომ მისი სიტყვები სალ კლდეს შეემსხვრეოდნენ.

ბოლოს გამოერკვა და დედას მიუახლოვდა, მხრებზე ხელი მოხვია, დაიხარა და საფეთქელზე აკოცა.

– მშვიდად იყავი. თებეში დაიკრძალები. ისე, როგორც გსურს.

დედოფალს აღარაფერი უთხოვია. იცოდა, რომ სხვა ვერაფერში დარწმუნებდა თავის ვაჟს".

ტაძრის წინ შეგროვილი ხალხი დაიშალა.

როდესაც დედოფალი თიია გამოჩნდა, აქეთ-იქიდან ჭაბუკი ფარაონი და მისი მეუღლე მოჰყვებოდნენ. მე ამ დროს რამდენიმე კაცთან ერთად გალავანთან ვიდექი და ველოდი. ლალა აიეც აქ იცდიდა. აქამდე ვერაფრით მოიხელთა დედოფალი და, როგორც კი დაინახა, მისკენ გაემართა. თიიამ მაშინვე ყმაწვილი უფლისწულები მოიკითხა, მერე ბრძანა, რომ ვეღარ დაყოვნდება. ხვალვე უნდა გაემგზავროს, რადგან თებეში გადაუდებელი საქმეები ელოდება. ამის გამგონე ჰუიამ შვებით ამოისუნთქა და იჩქარა, ამ ამბით ეჭვები გაეფანტა შეშფოთებული კარისკაცებისთვის, რომლებიც ჩამოსვლის დღიდან დაიზაფრნენ, შიშობდნენ, ვაჟის ნებას არ დაჰყოლოდა დედოფალი და იმედის ქალაქში დარჩენა არ გადაეწყვიტა.

სემენხარეს და ნებხერეს კაცი ვერ იპოვიდა. დილიდანვე თავიანთ ძაღლებთან ერთად ქალაქის ქუჩებში დანავარდობდნენ. მათ ნორჩი მეფის ასულები და სხვა ბავშვებიც შეუერთდნენ. მათი დევნით არაქათგამოცლილი დიდი ვეზირი ნახტი სულს ძლივს ითქვამდა და შემეკედრა, მეხსნა გასაჭირისგან, რაც სიამოვნებით შევუსრულე სენბთან ერთად.

სისხლი უდუღდათ გალალებულ ყმაწვილებს; ბედაურებზე ამხედრებულნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშვილდოსნობაში, ჭიდაობდნენ. მე და ჩემს მაიმუნს ფრიად გვართობდა ეს სანახაობა. სენბი ჩემს მხრებზე ხტოდა. ჩვენ, ორივენი ერთად, ერთ დაბალ კაცს თუ გავუტოლდებოდით სიმაღლეში. მაიმუნი ბანჯგვლიანი ხელებით გამეტებით სცემდა ტაშს უფლისწულთა ქათქათა ხელებზე.

მერე ჩემი საწერი მოწყობილობა მთხოვეს. მათ ბრწყინვალებას სპილოს ძვლის ფირფიტა ეკადრებოდათ, მაგრამ არც ჩემი ხისა იუკადრისეს, და არც ჩემი პაწაწინა ფუნჯის ფორმის კალმები, მათ თვალწინ რომ გამოვთალე ლერწმისგან. რიგრიგობით აწებდნენ კალამს ჩემ მიერ მურისა და ჟანგმიწისაგან მომზადებულ საღებავში და რაღაცეებს ხატავდნენ.

უეცრად მოწყდნენ, სხვა თამაშები წამოიწყეს. ნებხერეს რაღაც უცნაური ქვა ჰქონდა, ნაპერწკლებს აკვესებდა. „ამ ქვას საფლავში ჩამაყოლებენ“, განაცხადა მან და მართალიც იყო: ტუტანხამონის სამარხში ეს უხეში რუხი ქვა მის საიქაო ლუსკუმში საარაკოდ ძვირფას ნივთებთან ერთად იდო.

ეხნატონს უნდოდა, მისი უმცროსი ძმები იმედის ქალაქში დარჩენილიყვნენ, მაგრამ დედოფლის შორიახლოს მდგომმა აიემ შესთავაზა, უფლისწულებს თებეში აღვზრდითო.

სასახლეში რომ ვბრუნდებოდით, გზად გადავაწყდით ყმაწვილებს. არც ერთს წასვლა არ უნდოდა.

– დავიტოვებდი, – ისურვა ეხნატონმა, მაგრამ დედოფალი თიია მიუბრუნდა მას:

– მე ხომ მარტო დავრჩები!

დედის მცირედი შეჭირვებაც კი აუტანელი იყო ფარაონისთვის:

– როგორც გენებოს... მაგრამ იქნებ ერთ-ერთი მაინც დატოვოთ.

– სემენხარე, შენ დარჩები, – დათმობაზე წავიდა დედოფალი.

ყრმა უფლისწულები განუყრელნი იყვნენ. ტირილი მორთეს.

– არ შემიძლია, ვაჟის გარეშე დავრჩე. ვინ იზრუნებს სიბერეში ჩემზე? – თიია დაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა ნებხერეს. ბავშვი დამორჩილდა.

– აიე ჩვენთან ერთად ბრუნდება. ის მოგხედავს.

– ერთ დღეს მეც ჩამოვალ თებეში, – გაისმა მერეთის ხმა.

აიემ თავზე გადაუსვა ხელი:

– რა თქმა უნდა. მალე სემენხარესთან ერთად ჩამოხვალ.

მეორე დღეს, შებინდებისას, დედოფალი თიია ხომალდზე აბრძანდა.

მთელი დღის განმავლობაში დედოფლის ხომალდის მახლობლად უცნაური ფუსფუსი შეიმჩნეოდა. თებედან ჩამოსულთაგან ბევრმა გადაწყვიტა აქ დარჩენა, ბევრიც ძველ დედაქალაქში დაბრუნდა.

დაცარიელებულ სანაპიროზე აღარაფერი მოგაგონებდათ იმ ზარ-ზეიმს, დედოფლის ჩამობრძანებას რომ ახლდა. ნავმისადგომთან ვდგავარ. სენბი მიწაზე გაშოტილა, თავი ხელებში ჩაურგავს და უნანავებს. თიიამ გემბანიდან ნაჩქარევად დაგვიქნია ხელი და

შეიმალა. ეხნატონი და ნეფერტიტი გვერდიგვერდ დგანან, ბავშვების გარეშე, ორივე სუსტი, რაღაც უმწეო. გული მეტკინა მათ შემხედვარეს.

დედოფალ თიიას ავი წინასწარმეტყველება მძიმედ ჩამოწოლილა ჰაერში. მოჟამული ამინდია. ხომალდი სწყდება ჩვენს ნაპირს. იალქნები სულ უფრო და უფრო ბუნდოვნად მოჩანს, ბოლოს სულაც უჩინარდება, უკან რჩება გაპობილი წყლის მღვრიე კვალი. ხომალდი ახლა ერთი წერტილიღაა, რომელიც მდინარის დინებას აღმა მიუყვება, თებესკენ მიცურავს.

მდინარის პირას მარტო დარჩენილი ნეფერტიტი და ეხნატონი, გაქვავებულნი, ენაჩავარდნილნი, ერთმანეთს ვერც კი გაჰკარებიან, მაგრამ მაინც ერთნი არიან, ერთ სულ და ერთ ხორც.

ჩემს ფეხებთან სენბის კიჟინა არ წყდება.

ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა და მიედინება. ამ ქალაქში ქვებიც კი გულს ახარებენ. „მდინარეზე გადასვლისას, ბორანზე კარგად რომ მოიკალათებ, სხვაზეც იფიქრე, გაიხედე, ნაპირზე ხომ არავინ დარჩა", ჩაგვაგონებდა ბრძენი რამოსი. აქ არავინ დაუტოვებიათ გაღმა ნაპირზე.

სემენხარე მერეთს გვერდიდან არ სცილდებოდა. მას თებეც დაავიწყდა და საყვარელი ძმა ნებხერეც.

დედოფალ თიიას ავის მომასწავებელი სიტყვები აღარავის ახსოვს. ხალხი მხოლოდ მის საარაკო, გამაოგნებელ სტუმრობას იგონებდა.

თითქოსდა შეუმჩნევლად, მაგრამ უკმაყოფილება მაინც იზრდებოდა. მის ნიშნებს ახლაღა ვაცნობი-

ერებ. ასე, ერთხელ სამუშაოთა განმკარგავთან, საქოთნე თიხის გროვის უკან გადავაწყდი მაიმუნების პატარა ფიგურებს სამეფო ოჯახის კარიკატურული გამოსახულებით, რომელთა მსგავსი მერეც შემხვდა სხვადასხვა ადგილას.

თითქოს რაღაცის სიმბოლო იყო, შესაძლოა, ფარული ამბოხის ნიშანი.

„ეხნატონი მოთხოვდა, ისეთები დავეხატეთ, როგორებიც ვიყავით, შეულამაზებლად. არ თვლიდა საჭიროდ, დაეფარათ მისი სხეულის დეფექტები: ძალიან წვრილი ფეხები, ფართო თეძოები, დაწეული მუცელი, წაგრძელებული ნიკაპი. ზოგიერთი ამ ფიზიკურ ნაკლოვანებებს, შესაძლოა, სულიერი სრულქმნილების ნიშნად მიიჩნევდა.

მე კი მომწონდა მისი დაბერილი ტკბილი ტუჩები, თვალების ჭრილი იმხელა, მთელ სამყაროს რომ დაიტევდა. ამ თვალებში ვიძირებოდი, ჩემი სხეული მე აღარ მეკუთვნოდა, უზარმაზარი მდინარის ტალღებს მივქონდი. საკამარისია, თვალები დავხუჭო, ბუბასტოს, რომ ისევ იმ ტალღებში აღმოვჩნდე. მის უკიდეგანო მზერაში თავს იყრის ყველაფერი: ბალახი, ქვა, სიცოცხლე, სიკვდილი, წარსული, მომავალი.

დედოფალ თიიას სტუმრობიდან დიდი ხანი არ გასულა, პატარა ბაკეტი გამიჩნდა. ანხესის გარდა, რომელიც რიგით მესამე იყო, ჩვენი ყველა ქალიშვილი მამას ჰგავდა.

ჩვენს ქალაქში ბედნიერება სუფევდა! ბედნიერება... ახლა ეს სიტყვა ძნელად სწყდება ბაგეებს, მაგრამ აბა სხვა რა დავარქვა იმას, რითაც ჩვენი გუ-

ლები ძგერდა? როგორ აღვწერო, როგორ გადმოგცეთ ის სიხარული?

დღესაც კი ამ გაპარტახებულ ქალაქში, ამ ნაცარტუტად ქცეულ ქალაქშიც კი ყველაფერი თვალწინ მიდგას. ხანდახან ამ ნანგრევებზე ვდგავარ და იმ მზეს ვეხმიანები, მაშინ რომ დაგვნათოდა. ვუხმობ ჩვენს ქალაქს, ასე შორეულ წარსულში შთენილს, გავძახი ასევე შორეული მომავლის ქალაქებს.

ხდება ისეც, რომ რისხვა შემიპყრობს, ზიზღი მომაწვება, როცა ადამიანის სახით რაღაც შავბნელი, დამანგრეველი, ულმობელი რამ წარმომიდგება. მაშინ „კაცობრიობა" ერთბაშად ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს იმ ერთის გარდა, ვისზეც გვიოცნებია. საღი გონების თვალით თუ შეხედე, რაღას ჩათვლი იმედის ღირსად? თავს ვეკითხები, რაღას უნდა ელოდო ადამიანებისგან... გარდა ნათელისკენ ლტოლვისა, რასაც კიდევ უფრო ღრმა უფსკრულში, უფრო მეტად საზარელ წყვდიადში ვარდნა მოჰყვება.

მერე მეყსეულად, ჩემდა უნებურად, კვლავ მიჩნდება იმედი. შიშისგან ხომ არ მომდის ასე? რაღაცნაირად თვალს არიდებ, თავს იტყუებ და ინუგეშებ. უფრო კი, ხომ არ არის ეს ნათელის და ბნელის მუდმივი ჭიდილისას ნათელისკენ ლტოლვა, რაც ასე სჩვევია ადამიანს?

რამდენი საშინელება გამოვიარე, მაგრამ სიხარულიც ხომ მწვევია! უამრავი ტანჯვა, გულისტკივილი შემხვდა, მაგრამ რამდენი ბედნიერებაც მარგუნა განგებამ. რამდენჯერ გვილალატეს, გვიმუხთლეს, სამსალა გვასვეს, მაგრამ ბევრჯერ ადამიანური საქციელის მოწმეც გავმხდარვართ.

ამიტომ, ჩემო მემატიანევ, მართალია, ცხოვრება მოგვისპეს და გაგვანადგურეს, მაინც არ დამიკარგავს რწმენა სადღაც სხვაგან, სხვა დროს, სხვა ცხოვრებაში გადარჩენისა.

მიუხედავად დედოფალ თიიას რჩევებისა, ახალგაზრდა მეფე-დედოფალი კვლავინდებურად ხელგადახვეული დაქროდა ეტლით ქალაქში. მათი სიყვარული ყველასთვის თვალში საცემი იყო და ყველას განუმტკიცებდა მათი კავშირით შობილი ქალაქის ბედის რწმენას. ჩემი ხალხი ხომ მუდამ გამოირჩეოდა მხიარულებით, სიცოცხლის წყურვილით, დარბაისლობით.

ქალებზეც კეთილისმყოფელად მოქმედებდა ეს გარემო. თუმცა ეგვიპტეში ისინი ყოველთვის მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე სხვა ცივილიზაციებში, არც ერთი მათგანი, დედოფლების ჩათვლით, არ იყო ისე მჭიდროდ დაკავშირებული ქმრის საქმიანობასთან, როგორც ნეფერტიტი. რამდენადაც ფარაონი ასე აფასებდა თავის გვირგვინოსან მეუღლეს, ყველა ქალი თავს ღირსეულად გრძნობდა.

მე ხომ ძველებური, მამაპაპური დამოკიდებულება მქონდა დიაცთადმი, მაგრამ ნელ-ნელა მეც ავუწყვე ფეხი ამ ცვლილებებს.

დედოფალი ჰატშეფსუტი მთელი თავისი მეფობის მანძილზე იძულებული იყო, გამუდმებით ეზრუნა მდგომარეობის შესანარჩუნებლად: მამაკაცის სამოსელი ეცვა, წვერს ატარებდა, ვაჟკაცურად ეპყრა ხელთ ხელისფლების სადავეები, ბრძოლებშიც კი მონაწილეობდა...

დედოფალი თიია? ეს ჭკუა-გონებით დაჯილდოებული ქალბატონი ფრიად მაცდური, ფიცხი და ცბიერი გახლდათ. თავისი გამორჩეული თვისებებით ის განა უკან დგომას დასჯერდებოდა იმ ხასათა მსგავსად, რომლებიც ხრიკების ხლართვა-გახსნით ცდილობდნენ გავლენის მოპოვებას და დიდი წვლილიც შეჰქონდათ მეუღლეებისა თუ ვაჟიშვილების წარმატებებში.

ჩვენთან მსგავსი არაფერი იყო. ეხნატონს უყვარდა ნეფერტიტი სწორედ ისეთი, როგორიც იყო. სრულყოფილი ცხოვრებისათვის მას ნამდვილი თანამეცხედრე სჭირდებოდა, თანაბარი და თან განსხვავებული. ისინი როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკეც ერთმანეთის მაგივრად ღებულობდნენ ქვეშევრდომებს, ხელიხელჩაკიდებულნი სეირნობდნენ, ცერემონიებში ისე მონაწილეობდნენ, როგორც თანასწორნი.

ფარაონის ასეთი ქცევა, ისე, როგორც ბევრი სხვა რამ უცხო, სიახლე იყო.

ბევრჯერ ვხლებივარ ეხნატონს და და ნეფერტიტის მხატვართა სახელოსნოებში. დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ნამუშევრებს, ბჭობდნენ, ეკამათებოდნენ მხატვრებს, ხელოსნებს. იმედის ქალაქში ხელოვნებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. გათავისუფლებული ოდითგან დაკანონებული პირობითობისაგან, ის ცოცხალი იყო, დინამიკური, სუნთქავდა, მოძრაობდა. მობიბინე ბალახი, ვაზის ულვაში თუ ვინმე უსახური – ყველაფერი მშვენიერების საგნად იქცეოდა. რელიეფის და ბარელიეფის ხელოვნებამ ჩვენს დროში სწორუპოვარ სრულყოფას მიაღწია.

სხეული ყველგან სიმყუდროვეს და შვებას პოვებდა. ამ მიწაზე იყო სულის სავანე.

ჩემ თვალწინ დაასრულა ჯეჰუთიმ დედოფლის თავის ქანდაკება შეფერილ კირქვაში, მაღალი თავსაბურით. რომელ ნანგრევებშია ახლა ის ჩამარხული? იხილავს ოდესმე მზის სინათლეს, რომ დაატკბოს მზერა კაცისა?

ასევე მომსწრე ვარ, როგორ იბადებოდა დედოფლის ნაკვთები უდიდესი მოქანდაკის ბექის საჭრეთელქვეშ. იგი, გვირგვინოსან წყვილზე ათიოდე წლით უფროსი, მათი უერთგულესი ადამიანი იყო. მის ლამაზ სახეს მშვიდი გამომეტყველება და შეჭაღარავებული საფეთქლები კიდევ უფრო მომხიბვლელს ხდიდა. დედოფალი მაშინ, იმ სეანსების დროს, ოცდაათს იყო მიტანებული. ბაკეტი ახალი გაჩენილი ჰყავდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი იმჟამინდელი მშვენიერი სახე, რომელსაც მომდევნო ოცმა წელმა თავისი ნაოჭებით, ჩალურჯებული, შეშუპებული თვალებით, კისრით, რომელიც ბროლს აღარ მიუგავს, თავისი დაღი დაასვა. ნეფერტიტი ახლაც ხშირად მოიღერებს ხოლმე ყელს, როგორც ყმაწვილქალობაში სჩვეოდა, და ამას ქედმაღლობით კი არ აკეთებს, არამედ უბრალოდ ნიავს რომ მიაგებოს სახე.

იმ დროისათვის, ბექი რომ აქანდაკებდა, დედოფალს უკვე ოდნავ შესიებული ჰქონდა მარცხენა თვალის კაკალი. ეს სენი, რომელიც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ეპარება ადამიანს, ფრიად გავრცელებულია ჩვენში. ვგრძნობდი, როგორ განიცდიდა ბექი

ამ ვერაგი სნეულების კვალს ნეფერტიტის უზადოდ მშვენიერ სახეზე.

საოცარი იყო მათი პირისპირ ყოფნა; ხელოვანი იწყებდა ლოდის გამოჭრას, გამოქანდაკებას. მერე დააწყობდა იარაღებს და თვალდახუჭული დიდხანს ნელა ავლებდა თითებს ქვაში გამოკვეთილ შუბლს, ლოყებს, ტუჩებს. ასე ცდილობდა, სული შთაებერა ამ უსიცოცხლო მასალისათვის, გაეთბო მისი ზედაპირის ქვეშ მჩქეფარე სისხლი, მკვრივი, ნაზი კანი, უფაქიზესი ბუსუსებიც კი. ამ დროს დედოფლის სახე თითქოს შიშვლდებოდა. ის დაძაბულ მზერას აყოლებდა ყოველ მოძრაობას, აჟრჟოლებდა, რეცა ხედავდა, როგორ ეხებოდა შემოქმედი მის ორეულს.

რამეს ხომ არ ვიგონებ? ეს გულიდან ამოხეთქილი სიტყვები ოდენ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხომ არ არის? ხომ არ მივაწერ სხვებს ჩემს საკუთარ ფიქრებს და გრძნობებს? ყოველთვის ვცდილობდი, სიმართლის ერთგული დავრჩენილიყავი, ვფიცავ ამენოს! მამაჩემი თავისი ზუსტი და მოზომილი სიტყვით იყოს ამის მოწმე! მაგრამ ზოგჯერ, ჩემდა უნებურად, გარკვეულ მინიშნებებში გუმანით რაღაცას ვხვდები და კალამი გამექცევა ხოლმე. შენთვის მომინდვია, მკითხველო, ამ ხლართების გახსნა...

ჩემო მკითხველო, ჩემო მოძმევ (ასე მინდა გიწოდო), თუ რაღაც ბედად იმ შორეულ მომავალში ეს პერგამენტი გადაურჩა განადგურებას და დავიწყებას, იმთავითვე გახსოვდეს ჩემი გაფრთხილება, რომ ეს მოგონებები შენამდე რამდენადმე დამახინჯებული სახით მოაღწევს. უნდა გაითვალისწინო, რომ

ეს ხელნაწერი გადამწერთა ხელში გაივლის და, ცხადია, ყოველი მათგანი მცირეოდენ ცვლილებას შეიტანს მასში, საუკუნეების მანძილზე ყოველი მათგანი თავისი დროის შეფერილობას მისცემს მას.

მენდე, მეგობარო, და ირწმუნე ჩემი სიტყვა, წრფელი გულით ნათქვამი. ეს ნამდვილი ამბავია, არ არის მოგონილი და, რამდენადაც მე შენ მართალს გეუბნები იმედის ქალაქის შესახებ, ამ სიმართლემ უნდა შეძრას შენი სული, სადაც უნდა იყო, რომელ ხანაშიც უნდა ცხოვრობდე და რა სახითაც უნდა მოაღწიოს ამ ამბავმა შენამდე.

შენი რწმენა ძალას მაძლევს, ბოლომდე მივიყვანო ეს მატიანე. ყური დამიგდე, თხრობას განვაგრძობ...

ბექის სახელოსნოში ვარ. ამ ბოლო დროს დედოფალი მოითხოვს, რომ თან ვახლდე მოქანდაკესთან სეანსების დროს.

სენბს გარეთ ვტოვებ, კარზე მიბმულს, რადგან ჩემი მოუსვენარი მაიმუნი ყოველ კუთხე-კუნჭულში შეძვრება, ყველაფერს გადააქოთებს. მის სადევნად არ მეცლება. ვცდილობ, რაიმე მეც გავაკეთო: ვასუფთავებ გამომწვარი თიხის პატარა ფიგურებს, ვნამავ თიხის გუნდებს, ვწმენდ იარაღებს ან კიდევ საათობით ჩემთვის ვარ გატრუნული, ჩაცუცქული გრანიტის იატაკზე.

– ერთი შენც უნდა უკვდავგყო, ბუბასტოს!

– სენბთან ერთად?

– ჰო, სენბთან ერთად.

არ დაახანა და ბექმა ერთ-ერთ თავის მოწაფეს

დაავალა, ბარელიეფში გამოვესახე მწერლის პოზაში, მუხლებზე ფირფიტით და სამელნეებით, ყურზე გადებული სამი კალმით. გრძელ ფეხებზე მოხტუნავე მუსიკოსების წინ ვიყავი ჩაცუცქული. ფრიზის მეორე ბოლოდან სენბი შემოგვქცერის მფარველ ღვთაებასავით.

ახლა ჩემი გამოსახულება სადღაც ქალაქის ნანგრევებშია ჩამარხული, დაკარგულია ჩემი ხატება ჩემს სენბთან და მუსიკოსებთან ერთად.

მიწაშია მიმოფანტული ნამსხვრევებად ქცეული ის ქვებიც ყურძნის მკრეფავთა, მეთევზეთა, მომკელთა გამოსახულებებით. დანთქმულია ფილები თევზებით, გვრიტებით, თხებით. ჩამოქცეულია მზის დისკოიანი სვეტები გაცისკროვნებული სახეებით...

„ქალაქის მშენებლობა ძირითადად დასრულებული იყო, მაგრამ კიდევ უფრო ვაფართოებდით, ვალამაზებდით მას. მოქალაქენი ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ჩვენი შედარებით რბილი კანონები სრულყოფილად მიგვაჩნდა.

ეხნატონის სურვილი იყო, რომ სწავლა ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მთელი მოსახლეობისა და ცალკეული პიროვნებების წინსვლას, მიღწევებს.

უთენია დგებოდა. მთელი დილა პაპირუსზე თავის „მზის სადიდებელს“ წერდა. მერე, საღამოჟამს, ხმამაღლა მიკითხავდა ზოგიერთ სტრიქონს:

„შენი სხივები ყვლაფერს სწვდება:
საძოვარზე მობალახე საქონელს,
ფრინველს თუ სულდგმულთ სხვათა,
ყოველ ნავს, მდინარეს რომ ჩაუყვება,
რათა ზღვაში გავიდეს მასთან ერთად.
მანათობელო, შენ გაფანტავ
სრულად ჩვენს წყვდიადს.

როს ამობრწყინდები,
კაცნი, წელში გამართულნი,
სიცოცხლეს ეწაფებიან“.

ყველა სიამოვნებით დასეირნობდა ქალაქის ბაღებში. მოედნებზე შეკრებილნი ბაასობდნენ. ქუჩები მუდამ ხალხმრავალი იყო და სიცოცხლე ჩქეფდა.

ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა ჯურის ადამიანი, მკვიდრი თუ უცხო ხარობდა ამ ქალაქში, ხალისით შრომობდა.

ჯერ ჩემს გოგონებთან ერთად, მერე კი მარტოც დავდიოდი ბექის სახელოსნოში. ვცნობდი და ვერც ვცნობდი ჩემს თავს იმ სახეში, მის თითებში რომ იბადებოდა. ზოგჯერ ბექი მუშაობას წყვეტდა და თვალდახუჭული ნაზად ავლებდა თითებს ქვაში გამოკვეთილ ჩემს კისერს, ნიკაპს, ტუჩებს, საფეთქლებს და სრულად შეიგრძნობდა მათ.

ახლა, როცა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ჩემი აღსასრულიც შორს აღარ არის, გულახდილად უნდა გაგიმხილო, ჩემო მემატიანევ, როგორ მაცბუნებდა მოქანდაკის ეს ზანტი და მძიმე მოძრაობები. მინდოდა, მეგრძნო ბექის ხელები ჩემს ხორციელ სახეზე, მე მათ ვუხმობდი. აი, ჩვენ ერთმანეთს თვალს ვუსწორებთ, მერე ვარიდებთ, კვლავ ერთმანეთის მზერა გვიზიდავს. სისხლი მიდუღს. მინდა, ხელისგულები დავუკოცნო, დავეკონო მათ.

ბექი თავს ერევა. მეც. ეს ცეცხლი რამდენიმე დღეს გვეკიდა, წამიერად ნელდებოდა და მერე ისევ აგიზგიზდებოდა. გახსოვს, ბუბასტოს? ეს მაშინ იყო, რომ გთხოვე, თან მხლებოდი. შენი ოხუნჯობა დაძაბულობას გვიხსნიდა, მოჯადოებული წრიდან გამოვყავდით.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო სხვაგან, სხვა დროს?

ეხნატონი მიყვარდა, და მაინც ბექის დანახვა და მერე უკვე მისი მოგონება მაღელვებდა. ამბობენ, მამაკაცებს ერთდროულად რამდენიმე სიყვარულის განცდის უნარი აქვთო. ჩვენ კი?.. ოდესმე, დიდი ხნის შემდეგ, იქნებ ქალებმაც შეძლონ ეს... იმხანად კი, გული მიგრძნობდა, მხოლოდ ტკივილი, გაურკვევლობა, ეჭვები დამტანჯავდა. იმ განსხვავებულ ეპოქაში, როდესაც, ჩემი წარმოდგენით, ყველაფერი დასაშვები უნდა ყოფილიყო, ვიცხოვრებდი განცალკევებით? რაშეიძლებოდა მომხდარიყო? ავყვებოდი გულისთქმას, გადავეშვებოდი მორევში, მაგრამ მერე?.. ვისურვებდი, არჩევანის უფლება მქონოდა. მიმაჩნია და, ვფიქრობ, ყოველთვის ასე ვთვლიდი: ნამდვილად მაშინ ხარ თავისუფალი, როდესაც შეგიძლია არჩევანი გააკეთო. საიდან ვიცით, რას მოვიმოქმედებდით სხვა გარემოებებში, სხვა სამყაროში, სხვა ცხოვრებაში, რომელზეც წარმოდგენაც კი არა გვაქვს?

ეხნატონი რომ მიყვარს, ამაში ეჭვიც კი არ მეპარება. მის ერთგულებას მეც ერთგულებით ვპასუხობ. და მაინც იმ რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი ჩემი არსება ბექმა მოიცვა, მისმა ხატებამ ჩემს სხეულში დაიდო ბინა, ჩემს ძარღვებში სისხლად ჩაიღვარა. იდუმალი ხმა ჩემი სულის სიღრმიდან მისკენ მიედინება უწყვეტ ნაკადად, მისკენ, ხან წყლის პირას რომ მივყავარ, ხან უდაბნოში, შებინდებისას თუ გარიჟრაჟზე. ჩემსას ვუამბობ, მისასაც ვისმენ. მინდა, რომ სულ ჩემთან იყოს.

ერთხელ მესიზმრა, თითქოს სოფლად ერთად მივდიოდით გზაზე. უეცრად ეხნატონმა დამტოვა და სიმინდის ყანაში შევიდა. ჩვენ შორის არხის ერთი შტო

იყო. ის ჩქარი ნაბიჯით მშორდებოდა. ღეროები ფარავდნენ მას და ამტვრევდა, რომ გამოჩენილიყო, ჩემკენ იხედებოდა, წვალობდა, ტანჯული სახე ჰქონდა. ვეძახდი, მაგრამ ის წინ მიიწევდა, უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდებოდა, ჩემი ხმა აღარ ესმოდა. თავად ადგილიდან ვერ ვიძროდი, ფეხები დაბორკილი მქონდა, ტალახში ვეფლობოდი.

ამ საშინელი ზმანებიდან რომ გამოვედი – ნაშუადღევი იყო, – წამოვხტი საწოლიდან და სასახლიდან გავვარდი მის საძებნელად. რომ ვიპოვე, მშვიდად ივჯდა და გარშემოკრებილთ ძაფის მრთველთა უბნის მოწყობაზე ესაუბრებეოდა. როგორც კი დამინახა, წამოდგა და გვერდით დამისვა.

ამ შეხვედრამ, მისმა ფაქიზმა მოპყრობამ უმალ გამიფანტა სიზმრის კაეშანი.

იმ ღამით, როდესაც მეფერებოდა, თავზე ხელს მისვამდა, ვიგრძენი, რომ შეშფოთებული იყო ჩემი მდგომარეობით ამ ბოლო დროს.

როგორც ოდესღაც ტადუჰეპას თაობაზე – მეყსეულად გამკრა გულში იმ მწარე მოგონებამ, – ახლაც არაფერი გვილაპარაკია.

ეხნატონის მტკიცე და, ამავე დროს, მსუბუქ მკლავებში თავს ლაღად და ნებივრად ვგრძნობდი. მეც, ჩემის მხრივ, გულით მეწადა, დამეცვა იგი, მხოლოდ თავსმოუხვევლად, ყოველგვარი განსაცდელისაგან.

რამდენიმე დღეც და სრულიად მშვიდად ვიჯექი ბექის წინ, რომელიც აგრძელებდა ჩემი სახის ქვაში გარდასახვას“.

III

თორმეტი წელია, საამური ყოფა მიდგას ამ ჩვენს სვებედნიერ ქალაქში. თუმცა ზოგჯერ შუაღამისას გამეღვიძება ხოლმე გულშეწუხებულს, ვბორგავ, ოფლში ვიწურები. შესაძლოა, შემთხვევით რამე მოხდეს, საკმარისია, საიდანღაც მოულოდნელი უბედურება გამოტყვრეს, რომ ამ ქალაქის აწყობილი ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდეს ისე, როგორც მთელი გალავანი მოირღევა ხოლმე, ბურჯიდან ერთადერთი, მხოლოდ ერთი ქვა რომ მოწყდეს. მინდა განვდევნო მსგავსი ფიქრები, მაგრამ ისე ამეკვიატა, თავიდან ვეღარ მომიცილებია, მიუხედავად სრული სიმშვიდისა ქალაქში, სადაც მცხოვრებნი შეხმატკბილებულნი იღვწიან ბედნიერი მომავლისათვის.

ჩემი საქმეებიც კარგად მიდიოდა; ისევ დავუახლოვდი მენიჩბე ქალს ნუპას. რეგვენმა პირდაპირ მომახალა, აღარ ვხვდები მოურავ ტუტუს, რამეთუ მივხვდი, შენი სხეულივით მახინჯი სული აქვსო!

სულგრძელად ვაპატიე.

დიახ, ვიმეორებ, ბედნიერი და კმაყოფილი ვიყავი, ბედნიერი, როგორც ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა, მაგრამ თავს მაინც ისე ვგრძნობდი, თითქოს მაღლობზე ვიდექი, საიდანაც ყველაფერი მოჩანს, და თუ ჩემი მარცხენა თვალი სიკეთეს ჭვრეტდა და

ხარობდა, მარჯვენა რაღაც საეჭვოს ლანდავდა და ფრთხილობდა. დიდი ხანია, ეს თვალი ჩემს საღ აზრს საშუალებას არ აძლევდა, ერწმუნა, რომ არის ქალაქები, სადაც ხალხს მუდამ მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება აქვს, რომ სიკეთე და სიყვარული დღეგრძელია.

ნუთუ ბუნებამ ისეთად შექმნა ადამიანები, რომ ისინი მუდმივად თვითგანადგურებისკენ უნდა ილტვოდნენ? ნუთუ ყველაფერი იქ იქმნება, სადაც ვულკანის ამოფრქვევის საშიშროებაა?

ჩვენ აქ შვებით ამოვისუნთქეთ. როგორც იქნა, ყველას სამართლიანად დაუნაწილდა საცხოვრებელი, ყველა დაპურებულია. ვიმედოვნებდით, მომავალში მეტი კეთილდღეობა მოგვეპოვებინა, კანონს კიდევ უფრო სამართლიანად ეკანონა, მართალი სიტყვა ხმამაღლა თქმულიყო, ჩვენში დამკვიდრებული ადამიანური ურთიერთობები ნელ-ნელა მთელ ეგვიპტეში გავრცელებულიყო და მეზობელ ქვეყნებშიც გადასულიყო.

და მაინც, არ ვიცი, რატომ და როგორ, მაგრამ უბედურების წინათგრძნობა არ მასვენებდა. კიდეც ვფხიზლობდი და ამავე დროს ვცდილობდი, თავი დამეღწია ავის მომასწავებელი ნიშნებისაგან.

ბოლოს ეს ნიშანი მაინც გამოჩნდა.

„ჩვენი მეორე ქალიშვილი მეკეტი შეუპოვრად ებრძოდა ავადმყოფობას და, რომ გვეგონა, დაამარცხაო, უეცრად ჩაქრა. იგი მამამისივით სუსტი აგებულების, მაგრამ ამტანი იყო. ყველაზე მეტად სწორედ ის ჰგავდა მამას.

ცხრა წელი იცოცხლა.

მოგრძო, ვიწრო დარბაზში, სადაც გოგონამ ესესაა განუტევა სული, ეხნატონის მკლავებზე ასვენია ჯერ კიდევ თბილი შიშველი სხეული. თვალწინ მიდგას, როგორ ელამუნება თავისი სუნთქვით უმოძრაო სახეს, ხელებს, მკერდს, თითქოს უნდა, სითბო შთაბეროს და წინ აღუდგეს იმ სიცივეს, რომელიც თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ ისადგურებდა ამ სხეულში.

ბავშვი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მოტირალნი ჯერ არ ჩანან, ელოდებიან, სანამ ეხნატონი გონს მოვა, გააცნობიერებს, რომ შვილი ხელიდან გამოეცალა და დაასვენებს მის ცივ, გაშეშებულ ცხედარს უკვე მომზადებულ თეთრ განსასვენებელზე.

გოდების ხმაც გაისმა. მოთქვამენ თავდახრილნი, მხრებჩამოყრილნი.

მერეთი, ანხესი და ბაკეტი ერთმანეთს ეკვრიან

და ქვითინებენ. უმრწემესი ნეფერი ძიძას ოთახიდან გაჰყავს. დარბაზის ერთ კუთხეში გადია სეკეა მთელი სხეულით წინ და უკან ირწევა, თითქოს თავის სევდას უნანავებსო.

ცოცხალ-მკვდარი ვარ, გაოგნებული. თვალწინ რაღაც ლანდები მიდი-მოდიან. ყველანი, უბედურებისაგან გახევებულნი, ქვის სვეტებზე ამოკვეთილებს ვგავართ.

ეხნატონის სიახლოვით მისი სიმშვიდე ტალღასავით გადმოდის ჩემზე. ორივე ამ პაწია, გაშეშებულ სხეულზე დავხრილვართ, დავშტერებივართ და თვალებს ვერ ვუჯერებთ. ყველა ჩვენ შემოგვყურებს. მერე შემზარავი კივილი აპობს ჰაერს. გლოვის ზარი ავსებს აქაურობას.

სულს აფთრების ღმუილი წიწკნის, სვავები ფლეთენ ჩვენს გულ-ღვიძლს, მაგრამ ხმას ვერ ვიღებთ თავზარდაცემულნი.

როდის-როდის დამიბრუნდა მკლავში ძალა. ეხნატონს წელზე ხელი მოვხვიე და შევიგრძენი მისი სულისთქმა, როგორ ფეთქავდა ამ გატანჯულ სხეულში სიცოცხლის დამამკვიდრებელი ძალა!

ბოლოს, ცრემლებმა რომ გადმოხეთქა, შვება ვიგრძენით".

მეკეტის სიკვდილმა მეფე წელში გაწყვიტა. ამ დროიდან მოყოლებული მისი ჯანმრთელობა თანდათან გაუარესდა და არ შეიძლება, ეს ვინმეს თვალს გამოჰპარვოდა.

იქნებ სწორედ ეს იყო ის ავის მომასწავებელი ნიშანი? არ ვარ ბუნებით გულუბრყვილო. ყოველთვის დაუფარავად დავცინოდი მისნებს, თილისმებს, ბედისწერას, „კეთილ“ და „უკეთურ“ დღეებს, ყოველგვარ ცრურწმენას, რომელიც უფრო უმეცრების ნაყოფია და მხოლოდ შიშს ბადებს ადამიანებში.

მაგრამ ზოგჯერ საკმარისია, რაღაც მოხდეს, რომ ყველაფერი უკუღმა დატრიალდეს. როგორც ჩანს, გზას უნდა გადაუხვიო, თორემ ურემი ქვას დაეჯახება, გადაბრუნდება და ბედის ბორბალიც უკუღმა იწყებს ტრიალს. ერთი მრუდე სიტყვა, ერთი მცდარი მოქმედება და ყველაფერი ირღვევა, თავდაყირა დგება.

ბევრჯერ მოვსწრებივარ ამგვარ მოვლენებს. ისტორიაც ხომ სავსეა მსგავსი ამბებით. ამის მეტს რას ჩამჩიჩინებდა მამაჩემი და ჩემი მოძღვარი ამენო! სტიქიური უბედურებები და განსაცდელი თავს ატყდება ცალკეულ ადამიანებს ან მთელ ხალხებს და მერე დიდხანს თავს არ ანებებს მათ.

რას უნდა მივაწეროთ ბედის ეს უკუღმართობა?

უნდო და ურწმუნო გახლავართ და ძნელად თუ ვინმე დამაჯერებს ბედისწერის გარდუვალობაში, ან თავს მომახვევს განგების ძალას, მაგრამ პირიც ხომ დამიღია ბრმა შემთხვევითობის წინაშე, რომელსაც ნიაღვრად მოჰყვება ხოლმე ათასგვარი უბედურება.

მეკეტის გარდაცვალების შემდეგ მეფემ მიხმო, რათა ტაძარში გავყოლოდი, სადაც ადრეც ხშირად ვხლებივარ.

ბოლო ხანებში სენბს სეკეას ვუტოვებდი. ამ ქალის დღეები დათვლილი იყო და ვფიქრობდი, ჩემი მაიმუნის მანჭვა-გრეხას გულს გადააყოლებდა.

ტაძარში ის ვიხილე, რაც არასოდეს მენახა: ეხნატონი პირქვე დამხობილიყო. კაცი, რომელიც ყოველთვის თავაწეული იდგა საკურთხეველთან! ნეფერტიტიც ჩვენთან ერთად იყო. გაოგნდა. წამით შეყოყმანდა, მაგრამ ქმარს არ მიჰბაძა.

ფარაონი სულ უფრო და უფრო მეტ დროს ატარებდა ტაძარში მარტო. ხომ არ ნანობდა, რომ ქალაქის საქმეებით გართულს ხშირად ავიწყდებოდა თავისი ღმერთი? ამიერიდან მისი სიტყვები, მისი ლოცვა უფრო ამაღლებული გახდა და ამით, მისდა უნებურად, თანდათან ჩამოიშორა ის ადამიანები, რომელთა სიახლოვე ადრე ასე გულით ეწადა.

ეგვიპტეში ამ წლების მანძილზე სიმშვიდე იყო, მაგრამ ბოლო დროს რაღაც შემაშფოთებელმა გარემოებებმა იჩინა თავი. ეს ქვეყანა ერთი უზარმაზარი თავივით იყო, საიდანაც გამოწვდილი მრავალი ხელით ცენტრალური ხელისუფლება დაპყრობილ თუ მიერთებულ ოლქებს მართავდა.

ნილოსის ნაპირებზე მცხოვრებთ ახსოვთ, თავიანთი მეომარი მეფეების წყალობით რამდენჯერ გადაურჩნენ განსაცდელს, მეზობელი მებრძოლი ტომების მონობის უღელს რომ უქადდა. ამ ბრძენმა და სკეპტიკოსმა მეფეებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ იმ ძლევამოსილ ფარაონთა შთამომავალნი იყვნენ, რომელთა მამაცობის შედეგადაა ეს ქვეყანა ამოდენა ტერიტორიაზე გადაჭიმული. ასე რომ, ლაშქრობები და დაპყრობები ღირსების საქმე იყო და ამ ხელისუფალთა ძირითად საქმეს წარმოადგენდა. მათ უყვარდათ ძალაუფლება და იცოდნენ, როგორ სჭეროდათ მტკიცე ხელით მმართველობის სადავეები.

როგორ დაიჭერდა ამ სადავეებს ხელგაშლილი ეხნატონი? რა მოუვიდოდა ამ ძალაუფლებას, რომლის სადავეებიც სულ მიუშვა? ეგვიპტელები, ბუნებით უმალ კეთილმოსურნენი და შემწყნარებელნი, ვიდრე მოძალადენი და აგრესიულნი, კარგად შეეთვისნენ ახალ მეფეს. მაგრამ სად იყო ის ზღვარი, სადამდეც ისინი მას გაჰყვებოდნენ? ხომ არ ელოდა მას ჩამოვარდნა იმ სიმაღლეებიდან, რომლებზეც ზოგჯერ არამიწიერიც კი ჩანდა? იმედის ქალაქში, სადაც ყველას თავისუფლად შეეძლო აზრის გამოთქმა, მის გარდა ვერავინ გაიჩენდა ვერც იმდენ თაყვანისმცემელს, ვერც მოწინააღმდეგეს. „ისმინე სიტყვა კეთილი“, ამბობდა მამაჩემი, თუმცა დასძენდა: „შორს დაიჭირე თავი მისგან ან კიდევ გულში ღრმად ჩაიმარხე. განაკუთრებით კი, ბუბასტოს, შვილო ჩემო, ენას კბილი დააჭირე. დუმილით დაამარცხებ მტრებს“.

ფარაონს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ეგვიპტეს და მის პროვინციებს – შესაძლოა, მოგვიანებით მთელ დედამიწასაც – ერთ დღეს ერთი ღვთაების სიყვარული გააერთიანებდა. ამ დროს კი მისი მოწინააღმდეგეების რიცხვი იზრდებოდა. აზირუ ამორეველი ერთმანეთის მიყოლებით იკავებდა საზღვრისპირა ქალაქებს. „უფრთხილდი აზირუს!..“ დედოფალ თიიას წინასწარმეტყველება ცხადდებოდა. მეზობელი ქვეყნებიდან მეფეს ზედიზედ მოსდიოდა თხოვნამუდარის წერილები, გამომწვარი თიხის ფირფიტებზე დაწერილი, რომელიც ჩვენი ხელწერისგან განსხვავდებოდა; მათი ასოები კუთხოვანი და მოუხეშავი იყო, საგნების გამოსახულების გარეშე, მაგრამ მწერალთა უმრავლესობას შეგვეძლო მათი ამოკითხვა.

ჩვენი საზღვრისპირა ქალაქები შიშისგან ძრწოდნენ ამორეველის მუქარაზე. ის თავს უყრიდა უკმაყოფილოთ, ჯარებს იკრებდა.

„შენი ქალაქი ტუნიპი შავ დღეშია! იჩქარე, მოგვეშველე. არ გვინდა ნიის და კადეშის ბედი გავიზიაროთ. თუ დროზე არ გამოგზავნი ლაშქარს და საბრძოლო ეტლებს, აზირუ გადაგვთელავს, როგორც ეს მეზობელ ქალაქებში გააკეთა “.

მოკავშირე სახელმწიფოთა მეფეები განუწყვეტლივ შემოგვჩიოდნენ, ეგვიპტე აივსო ქურდ-ყაჩაღებით, რომლებიც არბევენ და ძარცვავენ ჩვენს ელჩობებსო. მალე ისინი უარს იტყვიან, ამ საშიში ოლქების გავლით ეახლონ ფარაონს. აწუწუნდნენ ჩვენსა და ჩვენდამი მტრულად განწყობილ ქვეყნებს შორის მოქცეული სახელმწიფოებიც, ეს ერთგვარი ბუფერები, რომლებიც, ჩვეულებრივ, დიდად არ

ინდობოდნენ. ერთი მათგანი იმდენად გათავხედდა, რომ დაატუსაღა იმედის ქალაქიდან წარგზავნილი ელჩი, რომელსაც მეფისგან ზომიერების და შემწყნარებლობის რჩევა უნდა გადაეცა მისთვის. ამ გამომწვევმა საქციელმა საგონებელში ჩააგდო ეხნატონი. თავის ერთგულ ბიხურუს მოეთათბირა. ამ უკანასკნელმა გამოცდილ კარისკაც რიბადისთან ერთად ურჩია, ჯარი საზღვრებისკენ დაეძრა. ორივე შიშობდა, რომ სამეფო დაიშლებოდა, თუ სასწრაფოდ არ აღადგენდნენ წესრიგს.

დავინახე, როგორ გატეხა მეფე ამ სიტყვებმა. ბიხურუ და რიბადი ხომ ყოველთვის მხარს უჭერდნენ მას. ახლა კი ჯარის გამოყენებაზე ალაპარაკდნენ. დაჰყვებოდა ეხნატონი მათ რჩევას? ძალადობას ძალის გამოყენებითვე უპასუხებდა? მაშ როგორღა ამართლებდა „სამყაროს დედაქალაქი" ამ სახელს? რისთვის უცვალა სახე სამეფოს, თუ ისევ ომებში ჩაებმებოდა? ესე იგი უნდა უღალატოს, გაწიროს თავისი იდეები.

– უწინამც უარს ვიტყვი სამეფოზე, ვიდრე ადამიანთა სიცოცხლეს გავიმეტებ!

– დაგვიანება უარესს გვიქადის, – შეეპასუხა ორივე ერთად.

– მაშ, ყველაფერი წყალში ჩაყრილა.

– სიყვარულით დიდხანს ვერ მართავ ქვეყანას, – თავისაზე იდგნენ, – საჭიროა ბრძოლა. დათმობით და დაყვავებით ვერაფერს გახდები ძალადობასთან.

– როდესაც გსურს, ყველაფერი შეცვალო, მზად უნდა იყო, ბოლომდე გაიტანო ეს ცვლილებები.

– მტერი კარსაა მომდგარი!

– რომელი მომხდური დაიხევს უკან და არ გამოიყენებს თავის უპირატესობას, თავის ძალას?

მოჯადოებულ წრეში ხომ არ მოექცა ეხნატონი? ისეთში, სადაც შურისძიება შურისძიებას იწვევს, სიძულვილი სიძულვილს შობს.

– მოყვასნო ჩემნო, განა არ ვიმედოვნებდი, რომ...

– სინამდვილე ულმობელია.

მეფე არ ნებდებოდა. ის კვლავაც არ დანებდება, გამოსავალს ეძებს.

– სიცოცხლე... რა უნდა იყოს მასზე უფრო მნიშვნელოვანი? რა უფლებით შეიძლება წაართვა ის ვინმეს?

ეხნატონი უკან არ დაიხევდა.

ორივემ დანებება ამჯობინა.

შებინდებისას ვხედავდი, როგორ აუყვებოდნენ და ჩაუყვებოდნენ ხოლმე ეხნატონი და ნეფერტიტი მდინარის ნაპირს. ჟამითჟამს მეფე თანამეცხედრის მკლავს ეყრდნობოდა. მე მათ კვალში ვედექი, დაყვებოდი, ვითარცა ჩრდილი, მხოლოდ ბევრად ნაკლებ ხალისიანი, ვიდრე ოდესღაც ღამღამობით, თებეს ძველ ქუჩებში უფლისწულს ადევნებული, ჩრდილი დამძიმებული, შეჭირვებული, მწუხარებისგან გატანჯული, ისეთი, როგორიც ეხნატონის გული.

დედოფალიც გვერდიდან აღარ შორდებოდა მას. დადიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი, საუბრობდნენ. ვიცი, ქალი ამხნევებდა ქმარს, აგულიანებდა. მერე ეხნატონი მარტო მიდიოდა ტაძარში. კიდევ უფრო გახდა, ფერი დაეკარგა. ვშიშობ, ძალამ არ უმტყუნოს. დედოფალიც შეშფოთებულია. მთხოვს, თვალყური ვადევნო.

თავადაც საშინლად ვიტანჯები. ქარბუქი გვერდებში მცემს, სახეს მიხოკავს. ეჭვებმა შემიპყრეს, გამაწამეს, გამტანჯეს. ჟამთასვლას ავედევნე. სად არის სიმართლე? სად ვეძებოთ ხსნა? დინებას მივყვეთ? რომელ დინებაშია ჭეშმარიტება? ყველაფერი ეს გონებას მირევს, შავბნელმა ფიქრებმა სულ გადამრია.

თუმცა არა, ავადობა და განსაცდელი ასე ადვილად ვერ მოერევა ჩემს ჯუჯა სხეულს. ბუნებით უტეხი ვარ. ჩემი მოკლე და მრუდე, დაკუნთული ფეხები მყარად დგას დედამიწაზე იმ დროს, როდესაც ეხნატონი...

დედოფალთან ერთად მეც ვშიშობ, კრუნჩხვები არ განუახლდეს. ყველგან ლანდივით დავყვები. ტაძრამდე მივაცილებ. მიუხედავად ჩემი ჩამრგვალებული მუცლისა და უკანალისა, ფრიად დახელოვნებული გახლავართ, შევიკუმშო, ჩემს ტყავში შევძვრე, უჩინმაჩინი გავხდე. ჩემს სენბსაც, საკმარისია, თვალით ვანიშნო, თავზე ხელი გადავუსვა, რომ გამიგოს, მიხვდეს, ამჯერზე მარტო უნდა გამიშვას, არ უნდა გამომყვეს. არ გაჭირვეულდება, მაგრამ დაბოღმილი, ცუდ გუნებაზე დგება, თვალები ემღვრევა.

საკურთხეველთან ეხნატონი ხელებს აღაპყრობს, მაგრამ რას გახდება მისი ხელგაშლილი მზე-ღმერთი მრისხანე ბაალის, სისხლისმსმელი თეშუბის, შიშის მომგვრელი იშთარის პირისპირ? თავის დასამშვიდებლად ამას კი დავმატებ: ყოველ შემთხვევაში, ამ ჩვენს დროში?..

ვხედავ, ფარაონს სინათლისკენ გაუწვდია ხელები. ფართო ხელისგულებს ლამის მოსწყდეს გაშლილი თითები. თვალებით რაღაცას დაეძებს. სად? აქ, სადმე სხვაგან თუ უფრო შორს? არ ვიცი. ერთი კი უეჭველია: ეხნატონი ცდილობს, წარმოიდგინოს, სად მოეღება ბოლო ამ ზიზღს, როდის დაცხრება ომის და ძალაუფლების მომწამვლელი ჟინი და ადამიანები ხელიხელჩაკიდებულნი უკეთესი მომავლის გზას დაადგებიან.

აქ, ამ ტაძარში, ის ვერ გრძნობს დროის დინებას. მარტოობა სულს უხუთავს, ისედაც ტანჯულს. მე კი, პირიქით, მჭირდება, ხალხი ტრიალებდეს ჩემ გარშემო.

განაბული კედელს ავეკარი, თავი ჩავქინდრე, თითქოს ჩამომეყვინთა კიდეც. მერე ერთბაშად გამოვფხიზლდი. ვხედავ, ეხნატონი ისევ იქ არის, იმავე მდგომარეობაში, გაშეშებული, კიდევ უფრო თავმიცემული. ვშიშობ, აქაურობა არ გახდეს მისი ერთადერთი თავშესაფარი.

„ერთი წელი იყო გასული მეკეტის გარდაცვალებიდან, როდესაც სეტეპი – ჩვენი ნაბოლარა შეგვეძინა. ეს ბავშვი არ გვინდოდა, მიგვაჩნდა, მთელი ძალ-ღონე იქითკენ უნდა მიგვემართა, როგორმე მოწინააღმდეგეებს გავმკლავებოდით. ვხედავდით, რომ უკვე ყოველი მხრიდან გვიტევდნენ.

მთელი არსებით ამ პაწია სულდგმულის წინააღმდეგ ვიყავი განწყობილი, რომელიც ჩემს სხეულში იზრდებოდა. იგი ჩემი არსების ნაწილს მართმევდა, იმ არსებისა, რომელიც მთლიანად ეხნატონისათვის მსურდა მიმეძღვნა. ბოლო დროს მას მოუსვენრობა დაეტყო, შფოთავდა. ვგრძნობდი, როგორ იკრიბებოდა მის თავს შავი ღრუბლები, აშკარა იყო, საფრთხე ემუქრებოდა.

დიახ, არ მინდოდა ეს ბავშვი. წარმომედგინა ის შორეული დრო, როცა შესაძლებელი გახდებოდა, თავად გადაგვეწყვიტა, როდის გაგვეჩინა შვილი. ასე მსურდა გამემართლებინა ჩემი დამოკიდებულება მისი ამქვეყნად მოვლენისადმი. თუმცა, როგორც კი სეტეპი დაიბადა, მაშინვე მიმივიდა მასზე გული და ისევე ძლიერ შევიყვარე, როგორც მისი უფროსი დები. ახლა კი, როცა ისინი მიმოიფანტნენ და ჩემ გვერდით აღარ არიან, ვგრძნობ, მათზე მეტად სეტეპი განიცდის ჩემს ხვედრს, ჩვენი ქალაქის ბედს.

ეხნატონის გულს აღარაფერი ახარებს: არც გოგონების და ყმაწვილი სემენხარეს სიცილ-კის კისი და ანცობა, არც პაწია სეტეპის ღულუნი, ნეფერის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვები, – ყველაფრისადმი გულგრილია. არასდროს წუწუნებს, მაგრამ ისე ღრმადაა ჩაფლული თავის ნაღველში, ვერაფრით გამომიყვანია ამ მდგომარეობიდან. მთხოვს, მარტო დავტოვო და მერე მძიმე, ნელი ნაბიჯით მიემართება თავისი ტაძრისაკენ.

შენც ხედავდი, ბუბასტოს, როგორი შეშფოთებული ვიყავი მის გამო და უჩუმრად ყველგან უკან დავყვებოდი.

თავიდან, რაც ეს მძიმე ხანა დაგვიდგა, ჩვენი ერთადერთი ნათელი წერტილი ჩემი გადია სეკეა იყო. მან თავისი გარდაცვალებითაც საოცარი სანახაობა მოგვიწყო. არასდროს გვინახავს მსგავსი წასვლა წუთისოფლიდან!

სეკეა იჯდა თავის საწოლზე და სიმღერით ეგებებოდა სიკვდილს. ამით, როგორც ღიმილით აგვიხსნა, ნიანგებსა და ურჩხულებს აფრთხობდა, რომლებიც საიქიოში სახლობენ. ამავდროულად ის სინანულს გამოთქვამდა და პატიებას თხოულობდა იმ ცოდვათა გამო, რომლებიც არასოდეს ჩაუდენია! რაც შეეხება იმათ, ვისაც მის წინაშე ბრალი მიუძღოდა, ქალი მათი ხსენებით არ ბილწავდა ზეციურ სასმენელთ, რომელთაც დიდად აფასებდა.

გვპირდებოდა, რომ ხშირად მოგვინახულებდა, რათა ჩვენთან ერთად მოელხინა, ჩაესუნთქა სიცოცხლის საამო სიო და ამით დამტკბარიყო.

ასე სიმღერით დაგვტოვა სეკეამ, დამდეგ დღესავით გაცისკროვნებულმა.

ჩვენი პროვინციებიდან მოსულ წერილებს ვკითხულობ, ვგებულობ ამბებს აზირუს შემოსევის შესახებ. ვიცოდი, რას გვირჩევდნენ რიბადი და ბიხურუ ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ეხნატონთან ერთად მეც ვთვლიდი, რომ იარაღის ხელში დაჭერა წარსულის დაბრუნებას ნიშნავდა. ამის ნაცვლად ჩვენ უნდა დავარწმუნოთ, დავაჯეროთ, ვაიძულოთ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ყური მოგვაპყრონ, ჩამოვიდნენ იმედის ქალაქში, ნახონ, რომ აქ ყველასთვის არის ადგილი!

დარწმუნებული ვართ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ახლებური ცხოვრების მომხრეა. ახლა რომ იარაღს მივმართოთ, ამით იმედებს გავუცრუებთ მათ.

უეცრად ეხნატონს შუბლთან მიაქვს ხელი, თითქოს შიშობს, აზრი არ გაუსხლტეს თავიდან:

– შენ უნდა შეუნარჩუნო სიცოცხლე ამ ქალაქს!

მკლავზე დამეყრდნო. იმის გაფიქრებაზეც კი, რომ მის გარეშე დავრჩები, მთელი სხეული მიცახცახებს. ჩემი მხნეობა ხომ მისი გზნებიდან მოდის, ის მაძლევს ძალ-ღონეს.

მკერდზე ვეკვრი:

– გრძელი დღე გიწერია, ნუ გედარდება...

თავი ჩაქინდრა:

– ისე თუ მოხდა, რომ წასვლა მომიწია...

– ვის შეუძლია, გაიძულოს, წახვიდე?

– რაც უნდა მომივიდეს, შენ უნდა დარჩე.

– დავრჩები, – ისე ვუპასუხე, რომ ვერც ჩემი,

ვერც მისი ნათქვამის აზრს ვერ ჩავწვდი, – რა თქმა უნდა, დავრჩები.

თითქოს დამშვიდდა.

მიწის და ზეცის ყოვლისშემძლე ძალებს ვუხმობ საშველად მთელი გზნებით, რაც კი დიაცს თავის წიალში უნთია. მთელ სამყაროს შევღაღადებ, ვემუდარები სასწაულმოქმედთ, ჰაერის, წყლის და სიცოცხლის აღმომცენებელთ, შევთხოვ იმ უხილავ მოყვასთა სულებს წარსულიდან თუ მომავლიდან, რომლებიც ჩვენი იმედების თანამოზიარენი არიან. ვეძახი, ვევედრები ყველა ძალას, ჩვენი სიცოცხლის მამოძრავებელ ძალებს ამ ცხოვრებაში!

– რაც უნდა მომივიდეს, ხომ აქ იქნები?

– ვიქნები!"

ერთ დილას მოურავმა ტუტუმ მოახსენა მეფე-
დედოფალს, ჰორემჰების ემისარი გეახლათო.

იმედის ქალაქიდან უეცარი გამგზავრების შემდეგ
ჰორემჰებისგან იშვიათად მოდიოდა ამბავი. სარდლად
აღზევებული, იგი მტკიცე ხელით მართავდა ქვეყნის
აღმოსავლეთს, მეთვალყურეობდა სიმაგრეებს, ჩვენს
უკიდეგანო საზღვრებს რომ იცავენ.

ემისარს ოცდაათამდე ტუსაღი მოჰყავდა, რო-
მელთაც შეთქმულებაში ედებოდათ ბრალი და მათი
ბედი ფარაონს უნდა გადაეწყვიტა.

ზამთრის დღე იყო. დიდ მოედანზე მსახურებს
უშველებელი კოცონი აეგიზგიზებინათ.

სამოსშემოძარცული, ერთმანეთზე გადაჯაჭვული
კაცები ძლივს მოლასლასებდნენ. ხელები ზურგს
უკან თოკით ჰქონდათ შეკრული.

ჩემდა გასაოცრად პოლიციელი მაჰუ შევიცანი. სა-
ცოდავებს ჯოხს უღერებდა და გამეტებით ურტყამ-
და. თავისი ბატის სმონის გაუჩინარების შემდეგ მაჰუ
გამწარებული იყო. მის გულუბრყვილო სახეს პატარა
ტირანის გამომეტყველება მიეღო და, ჩანდა, კარგა-
დაც მორგებოდა. ამ სახეცვლამ გამაოგნა. ვეტყვი ამას
მაჰუს, რადაც უნდა დამიჯდეს.

ეხნატონმა ადგილზევე დაახსნევინა ტუსაღე-

ბისთვის ბორკილები. ჰორემჰების ემისარი, მოურავი ტუტუ და კიდევ სხვები შეაცბუნა ფარაონის ამ საქციელმა. დიდქურუმ მერინესგან მოელოდნენ მხარდაჭერას, მაგრამ მან კრინტიც არ დაძრა.

ვეზირ რამოსის ერთ-ერთი მოვალეობა მართლმსაჯულებაც იყო. მას სთხოვა ფარაონმა, შეემოწმებინა ფაქტების ჭეშმარიტება, დაეკითხა ეს ხალხი, გამოეძია მათი ნამოქმედარის მიზეზი და შესაბამისად გამოეტანა მსჯავრი მათ ბრალეულობაზე.

ხალხში უკმაყოფილო შეძახილები გაისმა:

– ყაჩაღები არიან!

– დასაჯეთ!

– ყველგან ტყავს გააძრობდნენ მათ!

ეხნატონი მიუბრუნდა მათ:

– შესაძლოა, სხვაგან სჩადიან უკანონობას, მაგრამ იმედის ქალაქში სამართლიანობა სუფევს, კანონის უზენაესობა.

მონმე ვარ და ვადასტურებ, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, საქვეყნოდ წარმოთქმული. დავუმატებ, რომ მისი ხმა მტკიცე იყო. თან ისეთი შემართებით ეჭირა თავი, ყველა ჩვენგანზე მაღალი ჩანდა.

კიდევ მაგონდება, როგორი მზერა ესროლა იმ საბრალოთ. მასში თანადგომა და თანალმობა გამოსჭვიოდა. იქნებ ფიქრობდა, რომ ისიც, შესაძლოა, ყაჩაღი იყო, ყაჩაღი, რომელსაც მეფური წარმომავლობა ხელშეუხებელს ხდიდა.

ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე მაინც...

„თანდათანობით ახლობლებმაც აქციეს ზურგი იმედის ქალაქს.

ჩვენი უფროსი ქალიშვილი მერეთი ბრალს გვდებდა, რომ მოჩვენებითი სამყარო შევქმენით, უსუსურთა და თვალდავსებულთა სამყარო. გვსაყვედურობდა, რომ არ ვართ მოწოდების სიმაღლეზე და დედოფალ თიიას მაგალითს მიგვითითებდა. ბავშვის მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილიყო მისი სტუმრობა, მხნეობას მატებდა იმისთვის, თავაწეულს ევლო, როგორც თავად ამბობდა.

მერეთი ქედმაღლურად ლაპარაკობდა. მაგონდება, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი, მეფურ ბრძანებებს აძლევდა ყველას, მოხუც სეკეასაც კი, რაც ეხნატონის შეშფოთებას იწვევდა.

მერეთით მოხიბლული იყო მასზე ორი წლით უფროსი სემენხარე. ქალი გამუდმებით თებეზე ელაპარაკებოდა მას, სულ სთხოვდა, მოგონებებში გაეცოცხლებინა და აეწერა მისთვის ეს დიდებული ქალაქი. მერეთი მადლიერი იყო სემენხარესი, რომ აქ, მასთან დარჩა, თუმცა ეუბნებოდა, რომ მის ადგილას შეშურდებოდა ნებხერესი, რომელმაც, ოთხ წელზე მეტია, თიიასა და გამზრდელ აიესთან ერთად თებეს

მიაშურა. მერეთისთვის ეგვიპტის ნამდვილი სატახტო ქალაქი იქ იყო. მასთან შედარებით რას წარმოადგენდა იმედის ქალაქი, რომლის მშენებლობა ვერ იქნა და ვერ დასრულდა?! შეუდარებელი თებე, სახელგანთქმული, საუკუნეებიდან ამოსული!

მე დიდად არ მაღელვებდა მერეთის სიტყვები, ბავშვურ ჭირვეულობად მიმაჩნდა ისინი. თანაც ვხედავდი სემენხარეს გულთბილ დამოკიდებულებას ეხნატონისადმი. ჩამოსვლისთანავე განიმსჭვალა ეს უფლისწული უფროსი ძმის რწმენით და იმედებით, ახალგაზრდული სულისკვეთებით ეკიდებოდა ყველაფერს ახალს“.

ემისრები ზედიზედ აწყდებოდნენ იმედის ქალაქს. ისინი, მოთარეშე ყაჩაღთაგან დევნილნი, შეძრწუნებულნი, ძნელად ეგუებოდნენ ჩვენს ქათქათა ნავთსაყუდელებს, ნავები მშვიდად რომ მოადგებოდნენ და მოშორდებოდნენ, აღიზიანებდათ ჩვენი კოპწია შენობები, ჩვენი ხორბლით სავსე ბეღლები, აღშფოთებული უყურებდნენ ხეივნების ჩრდილში უდრტვინველად მოსეირნე ხალხს. საზარელ ბღავილს ამოევსო სასმენელნი მათნი და აღარ ჰქონდათ გაგონება ჩვენი ტაძრებიდან და ბაღებიდან გამომავალი საამო სიმღერის ხმისა.

დამქანცველი გზის შემდეგ ოდნავ სულს მოითქვამდნენ თუ არა, ეს უბედურების მაუწყებელნი უმალ მოითხოვდნენ, ფარაონს წარსდგომოდნენ და ეცნობებინათ მისთვის საქმის ვითარება. სულ უფრო და უფრო გათამამებული მტერი თითქმის ყველა ოლქს შესეოდა და წინ მოიწევდა. აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან თავდასხმებს ბოლო არ უჩანდა. ოდენ უკიდურესი სამხრეთი ქვეყნისა ინარჩუნებდა სიმშვიდეს.

დღეები გადიოდა. ეს მაცნენი კი ვერ აღწევდნენ ფარაონამდე. მათ გულმოდგინედ უღობავდნენ გზას. მოხელეები მეფე-დედოფლის მოუცლელობას

იმიზეზებდნენ, თითქოს ისინი მთლიანად იყვნენ ჩაფლული რეფორმების საქმეებში.

ემისრები იცდიდნენ, მერე ნებისმიერ მსურველს გადასცემდნენ წერილებს და გაწბილებულნი უკან ბრუნდებოდნენ.

ნელ-ნელა ვრცელდებოდა ხმები, რომ ამ სამეფოში ძალაუფლება არავის ხელში აღარ არის. ზოგიერთები იმასაც აცხადებდნენ, რომ ეგვიპტის მომავალ მბრძანებელს ჯერჯერობით არ სურს გამოჩენა, ხელსაყრელ მომენტს ელოდება, რომ ძალაუფლების სადავეებს მისწვდეს.

ძველი ხალხი ამ პერიოდს დედოფალ ჰატშეფსუტის მეფობის ბოლო წლებს ადარებდა, ირწმუნებოდნენ, რომ დედოფლის ურიცხვმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ და გაუთავებელმა ზავებმა თანდათან დაშლის პირას მიიყვანა სამეფო, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძალაუფლება ხელთ იგდო თუტმოს მესამემ, რომელსაც დედოფალი დიდად არ სწყალობდა, ეგვიპტემ არნახული დაპყრობები განახორციელა და საგრძნობლად გაიფართოვა სამფლობელოები. სწორედ ძლევამოსილმა დიდმა თუტმოსმა დაამყარა სამეფოში წესრიგი, გმირულ ბრძოლებში სძლია მის წინააღმდეგ შეკრულ მმართველებს და სამეფო ტახტს დაუმორჩილა.

მხედართმთავარმა ბიხურუმ ვერაფრით რომ ვერ დაარწმუნა მეფე ომის აუცილებლობაში, დაგვტოვა და თავის ოლქს მიაშურა, რომელსაც მტერი კარს მოსდგომოდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი მკვლელობის ამბავი მოგვივიდა. რიბადიც თავისი ლაშქრით გზას გაუდგა. ის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა

ერთ-ერთ საზღვრისპირა სიმაგრეს და ქალაქის დაცემასთან ერთად თავადაც დაიღუპა.

ეს ამბები უკვე ეხნატონის ყურამდეც აღწევდა. მტკივნეულად განიცდიდა თანამოძმეთა დაკარგვას და თავს დამნაშავედ გრძნობდა.

თვლა აღარ იყო; ყოველი მხრიდან ომის განგაშის ხმა და დამარცხებულთა გოდება გაისმოდა. ზოგიერთები აზირუს მხარეს გადადიოდნენ, რომელიც გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა. სხვები თიიას უცხადებდნენ მორჩილებას. ის კვლავინდებურად თებეს მბრძანებელი იყო, გვერდში აიე ედგა. ამ უკანასკნელის გავლენა დედოფალზე და ავტორიტეტი განუხრელად იზრდებოდა.

მენიჩბე ქალი ნუპა ამ განსაცდელის ჟამს საოცარ სულის სიმტკიცეს იჩენდა. შემომფიცა, რომ თავის მოკრძალებულ საქმიანობაშიც კი მუდამ მეფე-დედოფლის ერთგული დარჩებოდა. ახლა ის სრულიად უანგაროდ უვლიდა, ბანდა და აჭმევდა ჩემს მაიმუნს სენბს, რომლისთვისაც სრულებით ვეღარ ვიცლიდი.

საზღვრებზე სრული ქაოსი იყო. ვის დამორჩილებოდნენ: უსუსურ ფარაონს თუ ახალ დამპყრობელს? როგორ დაეცვათ თავი ლაშქრის დახმარების გარეშე? რაში გამოიხატებოდა ერთგულება, სად იყო ღალატი?

ბევრმა მეამბოხე ტომის ბელადმა ეგვიპტელი ქალი ითხოვა ცოლად. ამიტომ ესენი მტრულ ბანაკებში აღმოჩნდნენ და ზოგჯერ აქეზებდნენ თავიანთ ქმრებს, ესარგებლათ ხელისუფლების სისუსტით და დამოუკიდებელი მმართველები გამხდარიყვნენ.

ვიღაცამ მიამბო ნესიას სევდიანი ამბავი. ამ ქალმა თავისი ქმარი ფარაონისა და მისი სამეფოს წინააღმდეგ აამხედრა. მეფის ლაშქარს, რომელიც არ დაემორჩილა ეხნატონის სამშვიდობო მოწოდებებს და ქალაქს ალყა შემოარტყა, ნესიას ღვიძლი ძმა მეთაურობდა. ქალი გალავანზე ავიდა და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდა, ლაშქარს კი ევედრებოდა, უკან დაეხია. მისი ყვირილი ბრძოლის კიჟინას ფარავდა და მაშინ შეწყდა, როდესაც გულმკერდი საკუთარი ძმის ნასროლმა ისარმა შეუნგრია. ეს მშვენიერი სხეული გალავნის ძირას ეგდო და სისხლისგან იცლებოდა, ფარხმალდაყრილი ქალაქი კი მეფის ხალხის ხელში გადადიოდა.

თიია ფრიად კმაყოფილი იყო, ნებხერე თებეში რომ წაიყვანა. ძველ დედაქალაქში ჩემი წყაროები მქონდა. მათგან შევიტყვე, რომ სწორედ ეს ჭაბუკი იყო დედოფლის მიერ ხელდასხმული ფარაონთა მემკვიდრედ, თუმცა ძმებში უფროსი სემენხარე იყო.

დიდი ხანია, დედა-დედოფალი აღარ ეთათბირებოდა ვაჟს, უსტარს საერთოდ აღარ უგზავნიდა. გაჭაღარავდა, ნაოჭები გაუჩნდა, მაგრამ სიბერეს არ ეპუებოდა, მხნედ დააბიჯებდა. აიეს მეცადინეობით სრულად მიენდო დიდქურუმებს, რომლებმაც თანდათანობით ისევ დაიბრუნეს ძალაუფლება და გადიდგულდნენ.

ამენო, მამავ ჩემო მშობელო, ამ არეულ დროში, ამ გაურკვევლობაში რარიგ მწადია, შენგან ვისმინო სიტყვა მართალი!

სოფლის ბოლოს, ველისპირა სახლში, შენ ნელ-ნელა იფერფლებოდი, მშვიდი, დინჯი, როგორც ყოველთვის.

მაგრამ შენი ხმა მაინც ჩამესმის: „ეს გიჟი და ბრძენი იმავდროულად, ეს შენი საყვარელი ეხნატონი, შვილო ჩემო, თავის დროს უსწრებს. დიდსულოვანი და გულკეთილი, იგი სრულიად დაუცველია ამ სამყაროში. შენ კი, ბუბასტოს, შენი გზა გაქვს, იმას მიჰყვევი...“

გვერდით რომ მყავდე, მამავ ბატონო, რამდენ რამეს დაგეკითხებოდი! რა გამოვა, ბოროტებას შიშველი ხელებით რომ დახვდები? ხელოვნება, ფილოსოფია, სიქველე – აქვთ მათ რაიმე ძალა თუ ოდენ თავშესაფრად გამოდგებიან? ვის მხარზეა სიმართლე: პოეტის თუ ჯარისკაცის? მშვიდობიანი ადამიანის თუ დამპყრობლის? ვინ უფრო მამაცია: ის, ვინც მახვილს აიღებს, თუ ის, ვინც ხელიდან გააგდებს მას? დაღუპულები უნდა ვიტიროთ თუ ქება ვუთხრათ გამარჯვებულებს? ერთი სიმართლე არ უნდა ჰქონდეს ჩვენს სიტყვას ყველგან, იქნება ეს ეგვიპტე, ნუბია, ბაბილონი თუ რა ვიცი კიდევ სად?!

გაქვს, ამენო, ამ კითხვებზე პასუხი?

ზოგჯერ მგონია, ვიცი, როგორ მოვიქცე. ხანდახან კი, როცა ნეფერტიტისთან ერთად დავაბიჯებ ამ იავარქმნილ მიწაზე, ნაცარტუტად ქცეულ ნანგრევებში, ლამის თავი გამისკდეს და ტვინი გადმოვანთხიო!

ამენო ნილოსს გაჰყურებდა, სიკვდილი რომ ეწვია. მისი სახლი ამ შეუდარებელ ხეობაში იდგა, გამხმარი შლამისგან ნაგები, ლერწმითა და ბანანის ფოთლებით გადახურული, ზაფხულის პაპანაქებისგან რომ იცავს.

დარწმუნებული ვარ, სწორედ იქ იჯდა, ჭვრეტდა მწვანე ჰორიზონტს, მდინარის დინებას და მშვიდად ელოდა აღსასრულს.

„მინდა, შორს განვდევნო ეხნატონის ბოლო დღეების მოგონებები, თუმცა, ბუბასტოს, ზოგჯერ თავად ვუხმობ მათ. ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში ის აქ იყო, მე მას ვგრძნობდი, შემეძლო დავლაპარაკებოდი.

ვერავითარი ხატება, ზმანება თუ ჩვენება ვერ შეცვლის თვალით ნანახს, გინდაც შეხებას შუბლზე, თმაზე, თვალებზე... სულ სხვაა ცოცხალი სხეული! რომელ ოცნებაში შეიძლება წარმოიდგინო მისი სითბო, მხურვალე სუნთქვა, ბაგეთაგან მოწყვეტილი ცეცხლივით სიტყვა.

ბოლო დროს ცალ-ცალკე ვწევართ, მაგრამ მთელი ღამე ვფხიზლობ, ვაყურადებ. მესმის, როგორ შფოთავს. ეს აწეწილი ქვეყანა კიდით კიდემდე მისი სატკივარია. გაიღვიძებს ხოლმე აძაგძაგებული, ცივოფლში იწურება, კრთის. მთხოვს, გავათბო. სიამოვნებს ჩემი ცხელი სუნთქვა მკერდზე, კისერზე. სათითაოდ ვუზელ ხელ-ფეხს. ჩირაღდნის შუქზე ვხედავ, როგორ უწყნარდება სახე, ტუჩებზე ღიმილი გადაურბენს ოდნავ. ერთმანეთს ხელისგულებს ვუკოცნით, ერთმანეთის იმედით ვცოცხლობთ, გვჯერა, ერთად დავამარცხებთ წყვდიადს, მშვიდობით გავითენებთ კიდევ ერთ ღამეს.

– ჩემ მერე შენ დარჩები, – მიმეორებს, – არ მიატოვებ ჩვენს ქალაქს.

ზოგჯერ ღამით ბოლთას სცემს ოთახში, საათობით არ ჩერდება. ვფიქრობ, გვერდში ამოვუდგე, მაგრამ როგორც კი ვუახლოვდები, ზურგს მაქცევს, თითქოს ველარ მცნობს. მერე კედელზე მიმაგრებულ ჩირაღდანს სწვდება და აქრობს. ყველა გზა მოჭრილი მაქვს. შეუვალი ხდება. ისლა დამრჩენია, უკან დავიხიო. თავს ვანებებ. იქვე იატაკზე ვჯდები და მარტოს ვტოვებ თავის იდუმალ წყვდიადში.

ფარდებში ძლივს აღწევს ჩვენამდე მთვარისშუქი.

ყვრიმალები ამოეწია. ლოყები ჩაუცვივდა. დამძიმებული თავი ჩაქინდრული აქვს.

იმ ღამეებში, როცა ვერ ვახერხებდი მის ნუგეშისცემას, თავს ზედმეტად და დაკარგულად ვგრძნობდი.

დედოფალ თიიას გარდაცვალების ამბავმა, თებედან ჩამოსულმა წარჩინებულებმა პირდაპირ რომ მოგვახალეს, სულის სიღრმემდე შეძრა ეხნატონი, საბოლოოდ ჩასცა ლახვარი. ამის მერე ველარც გაიმართა წელში. თავს დამნაშავედ გრძნობდა, ჩიოდა, რომ თავად მოუსწრაფა დედას სიცოცხლე, იმედი გაუცრუა, მასთან ერთად ჩაფიქრებული რეფორმების გატარება რომ ვერ შეძლო.

– რაც უნდა მოხდეს, ქალაქს გადაარჩენ.

ისევ ვპირდები.

ვთავაზობ, თანამმართველად გამოაცხადოს სემენხარე, რომელმაც ახლახან მერეთზე იქორწინა.

მისი შეხედულებებიდან გამომდინარე, იმედი მქონდა, მხარს დაგვიჭერდა ამ განსაცდელის ჟამს.

ხმა გავრცელდა, რომ ეხნატონს ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა. ჩვენი ქალაქი მტრების აშკარა სამიზნედ იქცა და მალე მოქიშპეებს საჯიჯგნად დარჩებოდათ.

ვფიქრობდი, ეხნატონის გვერდით სემენხარეს და მერეთის ყოფნა შემოტევებს აგვარიდებდა, ჩვენდამი ნდობას აღადგენდა. მიმაჩნდა, რომ ეხნატონის იდეების ერთგული სემენხარე სასწრაფოდ უნდა დაგვესახელებინა ეგვიპტის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ".

თიიას აღსასრული ისეთივე მშფოთვარე იყო, როგორიც მთელი მისი ცხოვრება.

ახალგაზრდა კალმოსანი სეტუ, რომელიც მოგვიანებით ტუტანხამონის ჟამთააღმწერელი გახდება, მიყვებოდა, რომ იმ დღეს დილიდან დედოფალმა ჩქარი ნაბიჯებით შემოიარა თავისი პალატები. ჯერ კიდევ წინა დღეს ყველას უბრძანა, მარტო დაეტოვებინათ, ისურვა, მხოლოდ აიე, რამდენიმე მსახური, მწერალი და თხუთმეტი წლის ნებხერე ხლებოდნენ. დაქროდა ცარიელ დარბაზებში და უკან ადევნებულ უფლისწულს რჩევა-დარიგებებს აძლევდა. გამოუცხადა, რომ მალე ის გახდებოდა ეგვიპტის მბრძანებელი, რადგან მისი უფროსი ძმის სემენხარეს მეფობას დიდი დღე აღარ ეწერა. მოგვიანებით, მოვლენებს რომ თვალი გადავავლე, ხშირად მიჩნდებოდა კითხვა, თანამმართველის უდროო წასვლა ამ ქვეყნიდან თიიას მიერ ხელდასხმული შეთქმულების შედეგი ხომ არ იყო?

რაც შეეხება ეხნატონს, სეტუ მარწმუნებდა, რომ დედოფალს იგი ერთხელაც არ უხსენებია. ისიც უთქვამს სეტუს ჩემთვის, რომ შვილის მოგონება ყოველთვის ტანჯავდა ქალს, და ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობოდა, როდესაც აღგზნებული უცებ ლაპარაკს შეწყვეტდა და გაირინდებოდა.

დედოფალი თიია ელვასავით დაქროდა თავისი მემატიანის წინ დარბაზის მთელ სიგრძეზე. ხანაც ბოლომდე არმისული შემოტრიალდებოდა და უფრო მოკლე მანძილზე მიმოდიოდა. ზოგჯერ, თითქოს ძაღლების ხროვა მიესიაო, თიია უცნაური მოძრაობებით იგერიებდა რაღაცას, დაძაბული სახის ნაკვთები ეჭიმებოდა, ებერებოდა. გეგონებოდათ, ნიღაბი ჩამოიცვაო.

– ნებხერე, შენ იქნები ის, რასაც ჰქვია დღეგრძელობა – ჯანი – ძალა. ეს სიტყვები სულ დაივიწყეს და ამიტომაც უკან-უკან წავიდა ეგვიპტის საქმე.

ჭაბუკი თან დაჰყვებოდა და მონუსხული უსმენდა. დედოფალმა ურჩია, ტახტზე ასვლისთანავე იმედის ქალაქში ჩასულიყო და, სანამ მთელ სამეფოს არ დაიქვემდებარებდა, ორივე დედაქალაქში ეცხოვრა, ბოლოს კი თებეში დამკვიდრებულიყო.

– ტაძრებს ძველ დიდებას დაუბრუნებ, – მიუბრუნდა აიეს, დასტურად თავი რომ დაუქნია.

დედოფალს კვლავ შეეკრა სუნთქვა. გასასვლელს ეცა, გარეთ გავიდა, ღრმად ჩაისუნთქა და ისევ მოითქვა სული. ეცადა, სწრაფად, მტკიცე ნაბიჯით გამოევლო, მაგრამ ფეხებში სიმძიმე იგრძნო. ნებხერეს ჩამოეყრდნო მხარზე. ძლივს წამოლასლასდა.

– ისე მოიქეცი, რომ სახელოვანი კვალი დატოვო. დავიწყებულ ღმერთებს კვლავ დაუდგი ტაძრები, ააშენე სამარხები სამარადისო განსასვენებლად და მორთე ისინი ოქრო-ვერცხლით, ძვირფასი ქვებით და ნივთებით აავსე. ასე შემოინახავენ შენს სახელს საუკუნეები. სიმდიდრე გრძნობაზე მეტ ხანს ძლებს...

შეჩერდა თავისივე ნათქვამით გულგახეთქილი და თითქმის სინანულით დაამატა:

– გაშლილი ხელებით ვერაფერს დაიკავებ. თანდათან ყველაფერი გაგისხლტება.

სული ეხუთებოდა. თმის სამაგრი მოიხსნა, სწრაფი მოძრაობით მოიშორა ფართო ყელსაბამი, იქვე დააგდო. მერე გვირგვინს სტაცა ხელი, თავისგან შორს, იატაკზე გააგორა.

ხველა ახრჩობდა.

მკერდში ყრუ ტკივილი იგრძნო. დარტყმა ძლიერი იყო, მაგრამ მაინც წელში გამართული იდგა, წარბიც არ შეუხრია. დაძაბული იყო, მაგრამ ამაყად ელოდა მომდევნო შეტევას. ამანაც არ დაახანა. მკერდში მეორე დარტყმამ კიდეც მოუღო ბოლო. საზარლად ამოიგმინა და ჩაიკეცა.

აიემ კარები დააღო. მათ უკან მომლოდინე დიდებულები შემობრძანდნენ დარბაზში, სადაც დედადედოფალი ესვენა. მათთან ერთად იყო მთავარსარდალი ჰორემჰებიც; კარგა ხანია, თებეში იმყოფებოდა.

ცხედარი გაასნორეს, განსასვენებელზე დააწვინეს. ძვირფასი გადასაფარებელი იატაკსაც ფარავდა.

ამ შემზარავი სიკვდილით გაოგნებული ყმაწვილი უფლისწული განაბული იდგა სეფექალებში. აიე მისკენ გაემართა და წინ გამოიყვანა. ყველას მზერა ნებხერესკენ იყო მიმართული. როდესაც გამოიარა, ყველა მონიწებით უკრავდა თავს. ახლა ყრმა განცალკევებით დგას შემაღლებულ ადგილას, გაშეშებული. თვალები ცრემლებით ავსებია. საშუალო სიმაღლისაა, კარგი აღნაგობის, ლამაზი სახე აქვს, მშვენიერი ნაკვთები:

სწორი ცხვირი, სქელი ტუჩები, შავი ნაღვლიანი თვალები, საფეთქლებისკენ გაფრენილი წარბები.

ჩამიჩუმი არ ისმის. ცხედართან მსახურები ფუსფუსებენ.

სემენხარე მეფისადმი ერთგულებასა და მერეთის ზეგავლენას შუა იჭყლიტებოდა. ელოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ შესაბამისად ემოქმედა. დედოფალ თიიას გარდაცვალების შემდეგ ნორჩი მეუღლე არ ასვენებდა, თებეში წასვლა დაიჩემა, რომ იქ ყველას აღიარება მოეპოვებინათ, განსაკუთრებით კი უმცროსი ძმის – ნებხერესი.

ეხნატონი მთლიანად მოიცვა ნაღველმა.

როგორც წყალდიდობის დროს მოდიდებული ნილოსი ხან ერთ ნაპირს აწყდება, ხან მეორეს, მისი გადაწყვეტილებაც ხან ერთ არჩევანზე შეჩერდებოდა, ხან სრულიად საპირისპიროზე.

ერთ საღამოს, თანამმართველისა და სხვა მოწმეთა თანდასწრებით, ფარაონმა უბრძანა თავის მეუღლეს, ჩრდილოეთის სასახლეში გადასულიყო და ამიერიდან იქ დაედო ბინა. ეს სასახლე ქალაქის ბოლოს, კლდეების ძირში იდგა.

იმ საღამოს საშინლად ვიყავი აღშფოთებული იმით, რაც მაშინ გავიგე. ნეფერტიტიმ მანიშნა, არაფერი წამომცდენოდა, თავად მეფეს მიუახლოვდა, უნდოდა დალაპარაკებოდა, მაგრამ ეხნატონმა ზურგი შეაქცია და წავიდა, მარტო დატოვა იქ მყოფებთან.

ჰორემჰების კარიერა ჯარში დაიწყო, მაგრამ დიპლომატის ნიჭიც აღმოაჩნდა და ცოტა ხნის წინ იმასაც

მიაღწია, რომ თებეს დაქვემდებარებული ზემო ეგვიპტის მმართველის მოადგილედ დაენიშნათ. მალე იმედის ქალაქში მისი ემისრები გამოჩნდნენ. ცოტა ხანში მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ მაღალი სამღვდელოების წარმომადგენლები. ისინი მოელაპარაკნენ დიდქურუმ მერინეს და დაითანხმეს, ამონის და ძველი ღმერთების კულტი აღედგინათ იმედის ქალაქში. სამაგიეროდ ჰპირდებოდნენ, რომ თებეში მიბრუნებისთანავე ტაძრებში ატონის სადიდებელ ლოცვებს დააწესებდნენ. მათ ისიც მოახერხეს, რომ სემენხარესა და მის ცოლთან ერთად ფარაონის მესამე ასული ანხესიც წაეყვანათ. ამ უკანასკნელის ნებხერეზე დაქორწინებას უნდა განემტკიცებინა ყველა ამ ცვლილების შედეგად შერყეული დინასტია.

იმ ხანებში მოსესაც გაეგო მეფის შეჭირვებული მდგომარეობა და სასწრაფოდ ჩამოვიდა შორეული ოლქებიდან, სადაც ბოლო წლებში ეხნატონის ახალი იდეების გასავრცელებლად იყო მივლინებული. ეხნატონმა ის იმ სასახლეში მიიღო, სადაც უკვე თვლიდნენ, რომ ფარაონს არავითარი ძალა აღარ გააჩნდა, რომ „მას მხოლოდ უნდა უსმინო და თანხმობის ნიშნად პირდაღებულმა თავი უქნიო". და რომ მისი მიმდევრები მალე დაყრიდნენ ფარ-ხმალს, მის ქომაგთა ვნებები კი დაცხრებოდა, როგორც კი მიხვდებოდნენ, რა დამღუპველია მკრეხელობა.

დარბაზის სიღრმიდან მისკენ მომავალი ეხნატონის შემხედვარე მოსე მყისვე მიხვდა ყველაფერს, მასთან მიირბინა და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე გულში ჩაიკრა ეს მახეში გამომწყვდეული სხეული მდრტვინავი სულით:

– რამდენი რამ გვასწვლე...

მან იგრძნო, რომ ჯერ კიდევ რაღაც ბჟუტავდა ამ ჩაფერფლილ სხეულში.

მალე მცველები მოვიდნენ და სთხოვეს მოსეს, წასულიყო. როდესაც გაიგო, ნეფერტიტი ქალაქგარეთ გადაეხვეწათ, მის საძებრად გაეშურა, მაგრამ დედოფლისკენ მიმავალი ყველა გზა ჩახერგილი იყო და ჯარის შენაერთები იცავდნენ.

ამენო, მამავ ჩემო მშობელო, რამდენჯერ დამილოცავს შენი თესლი, ჯუჯად რომ ჩამსახა! იმ არეულ დღეებში ჩემ გარდა არავის შეეძლო ქალაქში დაუბრკოლებლად გადაადგილება.

მოსემ დატოვა იმედის ქალაქი. მთავრდებოდა ერთი ერა და მას უკან ვერავინ დაბრუნებდა. კარგა ხანმა განვლო, როცა შევიტყვე, რომ იგი — რჩეული – მეთაურობდა თავისი ხალხის გამოსვლას ეგვიპტიდან.

იტყვის კიდევ რამეს ნეფერტიტი? იმედი მაქვს, ბოლომდე ეცდება, დაიმორჩილოს განშორებით გატანჯული გული. ვიცი, ეხნატონისა და მისი ქალაქისათვის ჩემთან ერთად ბოლომდე მიიყვანს ამ მონათხრობს. მაგრამ როდის ალაპარაკდება? ვგრძნობ, ზოგჯერ როგორ ეწამება, თავს ებრძვის. მეც ქალალდი და მელანში ამოწებული კალამი მუდამ მომარჯვებული მაქვს, იმედს არ ვკარგავ, მოთმინებით ველოდები.

„დღის ბოლო იყო, ბუბასტოს. ზეცის და მიწის შესაყარს ცეცხლი ეკიდა. ჩემშიც გამოკრთა რაღაც იმედი. წუხელ ეხნატონს, როგორც იქნა, ჩაეძინა. ახლა თავის თანამმართველ სემენხარეს გვერდით ზის და მშვიდად გამოიყურება. ისინი ხშირად მართავდნენ თავყრილობებს სასახლის ბანზე. აქ იყვნენ საპატიო სტუმრები, თებედან ახლად ჩამოსული ორი თუ სამი დიდქურუმი. მოწვეული იყო ბევრი ჩვენი თანამოქალაქეც. მე მოშორებით ვიდექი ბანოვანთა თანხლებით. მერეთიც ჩვენთან მოვიდა, ხელში თავისი უმრწემესი და ეკავა.

შორიდან შევნიშნე, ერთ-ერთი დიდქურუმი სემენხარესკენ დაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა, რის შემდეგ ეს უკანასკნელი მეფისკენ მიტრიალდა და წერილი გადასცა. ეხნატონი უეცრად ფეხზე წამოიჭრა. თვალებით რაღაცას მეკითხებოდა, თითით კი რაღაც მანიშნა. მერე მომიახლოვდა და მიბრძანა, ახლავე ჩრდილოეთის სასახლეში გადავსულიყავი, ჩავკეტილიყავი და გარეთ არ გამოვსულიყავი. მოზომილად, მტკიცედ ლაპარკობდა, მაგრამ ეს აღარ იყო მისი ჩვეული ხმა.

სტუმრები დაიშალნენ. ჩვენთან დიდქურუმნი და რამდენიმე ახლობელი დარჩნენ, რომლებიც უზარ-

მაზარ ლოდებად ჩახერგილან ჩემსა და ეხნატონს შორის. აქეთ-იქით ვაწყდები, მწადია, გავარღვიო ეს სივრცე, გავიგო, რა ხდება. როგორ მინდა, ყველა წავიდეს, ცოტა ხნით მაინც მის პირისპირ მარტო დავრჩე. მაგრამ ფეხს არავინ იცვლის.

როდესაც მის გვერდით ვიყავი, ვხედავდი, მისი ბაგეები სხვას ამბობდნენ, თვალები კი სხვას; რალაცას მემუდარებოდნენ. რის თქმა სურდა? იქნებ წინააღმდეგობა უნდა გამეწია, არ დავმორჩილებოდი? თუ უნდა დავთანხმებოდი დროებით გადასახლებაზე ჩვენი ქალაქის გადასარჩენად და საკეთილდღეოდ?

შენ ცდილობდი, მომშველებოდი, ბუბასტოს. შენ მიმიხვდი მინიშნებას. ყველაზე უარეს შემთხვევაში, რომელსაც ჯერაც არ ველოდი, მხოლოდ და მხოლოდ შენ განდობდი ჩვენ შორის საიდუმლო კავშირს, ერთადერთი შენ იქნებოდი ჩვენ შორის გაბმული უკანასკნელი ძაფი.

თავიდან არ მშორდება ეხნატონის თხოვნა, რომლის შესრულებასაც დავპირდი: „რაც უნდა მოხდეს, უნდა დარჩე, არასოდეს მიატოვო ეს ქალაქი“.

სემენხარეც და სხვებიც ალმაცერად მიმზერენ. მე ეხნატონს მივჩერებივარ, ველი, რაიმე მითხრას, მანიშნოს...

ის უეცრად მიტრიალდა. მის ზურგს ვხედავ, კვლავ ჩამესმის მისი ნაბიჯების ხმა, თანდათან რომ მშორდება და მერე სულ წყდება.

ისლა დამრჩენია, მცველებს გავყვე შორს, მისგან შორს, მისგანვე მითითებულ სასახლეში.

მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა. იმ საღამოს ეჭვი აღარ მეპარებოდა, დანამდვილებით ვიცოდი, რაც მოხდებოდა, ვიცოდი, რომ მისგან ეს ნაბიჯების ხმაღა დამრჩებოდა. აწ ვერავითარი ძალა ვეღარ დაგვაშორებდა ერთმანეთს.

იმ საღამოს დარწმუნებული ვიყავი, რომ უკანასკნელად ვხედავდი მას, ვინც ერთსა და იმავე დროს ჩემი სიყვარულიც იყო, მეუღლეც, მამაც, ძმაც, შვილიც და ჩემი ღმერთიც".

ამის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა.

სემენხარემ და მერეთმა თებეს მიაშურეს ნორჩ ანხესთან ერთად, რომელიც ნებხერეზე დააქორწინეს. ცოტა ხნის შემდეგ თანამმართველი დაიღუპა. ზოგი ამბობდა, სემენხარე გაქანებული ეტლიდან გადმოვარდაო; სხვები ირწმუნებოდნენ, სამეფო ნადირობის დროს დაიკარგა და გარეული ვირების ჯოგმა გათელაო. რამდენიმე დიდებულმა აცნობა ეხნატონს ამის შესახებ და დაბეჯითებით ურჩია, თებეში გამგზავრებულიყო თანამმართველის დაკრძალვის ცერემონიალზე დასასწრებად. ნეფერტიტისთვის არავის არაფერი უთქვამს.

ერთ დილას ეხნატონის ხომალდმა თებესკენ აიღო გეზი. იგი უკან აღარასოდეს დაბრუნებულა. ბევრი ვიძიე, რა მოხდა, მაგრამ დღემდე საიდუმლოს ფარდა არ ახდია. ყველა დუმს. ასე რომ, ვერასოდეს გავიგე, – ან კი გაირკვევა ოდესმე? – როგორი იყო აღსასრული ამ სწორუპოვარი მეფისა.

თავისით შეწყდა მისი სიცოცხლე თუ ძალდატანებით? იქნებ აღარც უნდოდა, ეცოცხლა, რაკიღა თავისი ნების წინააღმდეგ უწევდა ამ გზით დაბრუნება, რაც უკან დახევას ნიშნავდა. ისიც შეიძლება, უღალატეს და მუხანათურად ჩაუგდეს მტერს ხელში.

როგორც უნდა იყოს, მარადიული სასუფეველი დაუმკვიდრდეს მას, რომელმაც დროს გაუსწრო.

„ამ კლდეში, რომელზეც ჩრდილოეთის სასახლეა მიშენებული, ეხნატონმა თავის დროზე ჩვენი სამარხები გამოათხრევინა. მცხუნვარე მზისა და უდაბნოს ქარების ამარა დატოვებული ეს მოშიშვლებული ადგილი მან იმიტომაც აირჩია, სრულიად განცალკევებით რომ იყო. განსასვენებლების მშენებლობა გამუდმებით ჩერდებოდა ხოლმე და დასრულება აღარ ეღირსა; მეფეს უფრო საშურად მიაჩნდა, უწინ ცოცხლებისათვის ეზრუნა და მთელ ძალებს ქალაქის მშენებლობას ახმარდა.

არავითარი სამარხის, არავითარი მუმიის ტყვეობაში არ იმყოფება ეხნატონი! მან განვლო თავისი ცხოვრების გზა და აგრძელებს მას მზესთან ერთად, რომელსაც არც სამეფო სჭირდება და არც სამარხი.

მისი გაქრობა მასვე ჰგავს: არასოდეს ეტეოდა თავის სხეულში, დროსა თუ ადგილში.

ასეთი თავისუფალი, უკიდეგანო სული მხოლოდ უსასრულობას შეიძლება შეერთებოდა“.

ტუტანხატონად წოდებული ნებხერე თებეში ტახტზე დასვეს. მას გვერდით მთავარსარდალი ჰორემჰები და ვეზირი აიე ედგნენ, რომელთა სახელები ამიერიდან სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება სამეფო კარტუშებზე. მდიდრული პროცესია და დიდებული ნადიმები ყველას მიანიშნებდა, რომ კვლავ ამონს სცემდნენ თაყვანს. და მაინც ჯერ არავინ ტოვებდა იმედის ქალაქს, რომელიც კვლავაც ინარჩუნებდა თავის ავტორიტეტს. ეხნატონის გაუჩინარების შემდეგ ნეფერტიტის ისე გულმოდგინედ აღარ სდარაჯობდნენ. მას და მასთან ერთად მოქალაქეთა ნაწილსაც რაღაც იმედი დაუბრუნდათ, რადგან ატონი ჯერაც არ იყო დავიწყებული და ამ ღვთაებას კვლავ ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

თებეელ მაღალჩინოსანთა რჩევით ტუტანხატონმა თავის თანამეცხედრესთან – ანხესთან ერთად არ დაახანა, სწვეოდა ქალაქს, რომლითაც, კარგად ახსოვდა ჭაბუკ ფარაონს, ძლიერ მოიხიბლა, დედოფალ თიიასთან ერთად რომ მოინახულა. მან სემენხარეც კი დაარწმუნა, რომ შეიძლებოდა იქ ცხოვრება. ანხესი ხომ სიხარულით ცას ეწია; ამ ქალაქში არ გაატარა მან ბედნიერი ბავშვობა?!

მეფე-დედოფალმა ჩამოსვლისთანავე ზემო სასახლეს მიაშურა. ნეფერტიტი გააოგნა ამ წყვილის მსგავსებამ მასა და ეხნატონთან და იფიქრა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დაკარგული, რომ რეფორმებს ახალი სუნთქვა შთაებერებოდა. მაგრამ მის ქალიშვილს და ტუტანხატონს სულ მალე გაუცრუვდათ იმედი; იმედის ქალაქს თავისი ბრწყინვალება დაეკარგა. დიდებულ თებესთან შედარებით აქ სიცოცხლე ჩამკვდარი ჩანდა: გამოკეტილი ტაძრები, დაუმთავრებელი შენობები, უპატრონო ძაღლები, მიტოვებული სავარგულები, მომაკვდავი საქონელი. რამდენიმე ტაძარი კიდეც დანგრეულიყო და ქვებს სხვა მშენებლობებზე ეზიდებოდნენ. ყველაფერი ეს მიტოვებულ ქალაქს მოგაგონებდათ. მიუხედავად ნეფერტიტის ძალისხმევისა, ეს შეუდარებელი ქალაქი ყოველდღე ნელ-ნელა იშლებოდა.

უადგილო ხომ არ იქნება, სენბზე ვილაპარაკო? მისი დარდიც არ მასვენებს. იმ ორომტრიალში, როცა უიმედოდ ვცდილობდი, გამეგო, რა ბედი ეწია ეხნატონს, როცა წამდაუწუმ დავრბოდი დედოფალთან, რომელიც, ცოცხალ-მკვდარი, ადგილს ვერ პოულობდა, მე დავკარგე და გამოვიტირე ჩემი მაიმუნი. ვაითუ, საბრალო იმ ტურების მსხვერპლი გახდა, ღამღამობით მიტოვებულ სახლებს რომ აფარებენ თავს. მიუხედავად მენიჩბე ქალის ნუპას დაჟინებული თხოვნისა, ველარ შევძელი სენბის მაგიერ სხვა ცხოველი მომეყვანა. ნუპა კი ახლა მთელი გულით და სულით, მთელი ძალისხმევით უპატრონოდ დარჩენილ ძაღლებს უვლის და კვებავს.

ვფიქრობ, ნეფერტიტი მალე მიხვდა, რომ ტუტანხატონი არაფრით ჰგავდა თავის წინამორბედს. მის დამყოლ და მორჩილ ხასიათს არაფერი ჰქონდა საერთო ეხნატონის მგზნებარე, უდრეკ და მამაც სულთან.

ტუტანხატონი ხან ერთ სატახტო ქალაქში ცხოვრობდა, ხან მეორეში, და ეს ორი ქალაქი და, შესაბამისად, ორი ღვთაების კულტი თითქოს დაზავდა ერთმანეთთან. თუმცა ატონმა მეორე რიგში გადაინაცვლა, როგორც ეს ადრე, ეხნატონის რეფორმებამდე იყო. ამასობაში იმედის ქალაქში ამონის უზარმაზარი ქანდაკება წამოჭიმეს, რითაც წერტილი დაესვა ერთადერთი ღვთაების თაყვანისცემას და ტუტანხატონიც უდრტვინველად სწირავდა მსხვერპლს ღმერთების ძველ პანთეონს. მალე ახალგაზრდა მეფის სახელშიც აისახა ეს ცვლილებები: იგი ტუტანხამონად იწოდა. ამიერიდან თებეს და ძველ ღვთაებათა პირველობა არავისში ეჭვს არ იწვევდა, და პირიქით, ნეფერტიტისა და მის თანამოაზრეთა დიდი ძალისხმევის მიუხედავად იმედის ქალაქი ძლივსღა ფეთქავდა და დაღუპვის პირას იყო მისული.

პატარა, უწყინარმა ფარაონმა ტუტანხამონმა შვიდი წელი იმეფა. იგი აქამდე არნახული პომპეზურობით დაკრძალეს. სამარხში განძეულობის ტევა არ იყო. სხვა გამოსახულებათა შორის მის მუმიაზე ატონის – ამ უარყოფილი ღვთაების გაშლილი ხელებიცაა აღბეჭდილი.

მოხუცი აიე ანხესს გვერდიდან არ მოსცილებია და ისინი შეძლებისდაგვარად მართავდნენ ქვეყანას, მაგრამ ეს დროებითი იყო, დიდხანს ვერ გასტანდა და მისი გავლენაც სწრაფად სუსტდებოდა.

უკვე დიდი ხანი იყო, ჰორემჰები ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა.

ამ ბოლო ხანებში ძალიან მიჭირს, ნეფერტიტის სიტყვა დავაცდევინო და თავს ძალას ვატან, რომ მისი დახმარების გარეშე განვაგრძო თხრობა. მისთვის სრულიად აუტანელია, ეხნატონი გვერდით რომ აღარა ჰყავს. ჭრილობა არ შუშდება. მღვიმეებში შეიყუჟება ხოლმე, სადაც არავინაა, რომ აწეწილი ფიქრები და ტკბილ-მწარე მოგონებები გაუზიაროს.

მინდა ვირწმუნო, რომ მასში ერთი პატარა, მინავლული ნაპერწკალი მაინც ღვივის. სწორედ ეს ნაპერწკალი არ ჩაქრება ზემო სასახლეში, როგორც ხვალინდელი დღის ოცნება, მარად ცოცხალი.

ჰორემჰებს ნათესაური კავშირი სწადდა სამეფო ოჯახთან, მაგრამ არა მისთვის მიულებელი ეხნატონის სისხლით ნათესავთან. ამიტომ დედოფალ თიიას უმცროს დაზე იქორწინა. ეს ოცდაათი წლის ქალი ყოველთვის განზე იდგა სამეფო კარის ცხოვრებისგან. მხედართმთავარს უკვე მოიხსენიებდნენ, როგორც უდიდესს, უძლიერესს და ხალხის მამამთავარს. ტაშის გრიალში დაიდგა თავზე გვირგვინი. აქედან მოყოლებული, ოფიციალური საბუთებით მისი მეფობა ამენოფის მესამის შემდეგ იწყება, რომლის საქმის გამგრძელებლადაც თავად თვლიდა თავს.

არც ტუტანხამონის მეფობისას და არც აიეს ბმართველობის წლებში ატონის სახელთან დაკავშირებული არც ერთი სიწმინდე არ ყოფილა ხელყო-

ფილი. ძველი ფარაონისადმი დაგროვილი სიძულვილი ჯერაც არ გადმონთხეულიყო. და აი, „უზადო" ჰორემჰებმა განაცხადა, რომ ის იხსნის ქვეყანას ქაოსისა და ფუჭი იმედებისაგან, დაამყარებს ნამდვილ წესრიგს. ბოლო მოეღება ხელისუფლების უნიათობას, ხალხი უკეთ იცხოვრებს. ცხვირის მოჭრით დაემუქრა დამნაშავეთ. ფანატიზმზე დაყრდნობით ხელმწიფემ უმოწყალოდ შეუტია ახლად ფეხადგმულ რეფორმებს. დაგზავნა ჯარები ქვეყნის საზღვრების გასამაგრებლად, გამოსცა ბრძანებები, რომელთა მიხედვით, საყოველთაოდ იდევნებოდნენ ეხნატონის თანამზრახველები.

თებეს ქუჩებში უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ დატყვევებული ბელადები, ხელბორკილდადებული ტუსაღები. მოსემ და მისმა მიმდევრებმა დატოვეს ეგვიპტე და ჩრდილოეთისკენ წავიდნენ აღთქმული ქვეყნის საპოვნელად. ძველი ფარაონის ზოგიერთი ახლობელი, მათ შორის ანხესი, მოაშთეს.

ამავდროულად ტაძრები აივსო განძეულობით, ძვირფას ქვაში გამოკვეთილი ასობით ქანდაკება აღიმართა. დიდქურუმთა მიწებისა და მსახურების თვლა არ იყო. მათ უმალ დაიბრუნეს ძალაუფლება.

დაბოლოს, ჰორემჰებმა განიზრახა, სრულად აღეგავა პირისაგან მიწისა იმედის ქალაქის ისე, რომ მისი მოგონებაც კი წაშლილიყო ადამიანთა მეხსიერებაში.

ჩვენი ქალაქის უიარაღო მოსახლეობა წინააღმდეგობას ვერ უწევდა შემოტევებს და ულმობელი მტრის ხელში აღმოჩნდა. ფანატიკოსებმა დაანგრიეს სახლები, ამოამტვრიეს კარიბჭეებზე ეხნატონისა და ნეფერტიტის სახელები, დაატეხეს ქანდაკებებს

თავები და ხელ-ფეხი. ამ ღრიანცელში ისევ ჩამესმის მოწოდებები „ავაზაკის, ბოროტმოქმედის, მწვალებლის“ წინააღმდეგ. ეხნატონის მუმია რომ არსებულიყო, ისინი ერთ ქვასაც არ გაიმეტებდნენ მის დასასვენებლად. ცეცხლს მისცემდნენ მის ცხედარს, ფერფლს კი ქარს გატანდნენ.

ზემო სასახლეში, სადაც მე და ნეფერტიტი მარტონი დავრჩით, გუშაგს საჭმელი მოჰქონდა და ხმაამოუღებლივ ბრუნდებოდა უკან. გვინდოდა, ჩვენს ხალხთან ვყოფილიყავით ამ გაჭირვების ჟამს, მაგრამ, მიუხედავად ჩემი ხრიკებისა, ფეხს ვერ ვდგამდით სასახლიდან, რომელსაც შეიარაღებული გუშაგები სდარაჯობდნენ.

სასახლის ბანიდან გაოგნებულები ვუყურებდით, რა გულმოდგინებით ანგრევდნენ კედლებს, სვეტებს, სახურავებს; როგორი გრიალით ინთქმებოდა ეს ყველაფერი მტვრის ღრუბელში. საკუთარი აღსასრულის მოლოდინში ვხედავდით, როგორ იშლებოდა ნაწილ-ნაწილ ჩვენი ქალაქი. მაგრამ მკვლელი არ ჩანდა. არავინ მოსულა. ჩვენამდე ვერ მოაღწიეს! ჰორემ-ჰებმა მშვენივრად იცოდა, რომ ნეფერტიტისთვის ყველაზე დიდი სასჯელი იქნებოდა, საკუთარი თვალით ეხილა ეხნატონის ოცნების მსხვრევა და ბრძანა, ჩრდილოეთის სასახლისთვის ხელი არ ეხლოთ.

ვინც ცოცხალი გადარჩა, გაქცევით უშველა თავს ან მომხდურთა მხარეს გადავიდა.

ქუჩები ნაგვით აივსო, მტვრის სქელი ფენით დაიფარა. ახლა სრული სიჩუმეა. დამშეული ფრინველები და უდაბნოს მხეცები შემოსევიან ჩვენს ქალაქს.

„ამჟამად იმედის ქალაქი ოდენ ერთი მოსწორებული ადგილია კვადრატების, სამკუთხედებისა და სწორი ხაზების კონტურებით, რაღაც ცოცხალი ნიშნებია, ფურცელზე ნაწერის მსგავსი. დღითი დღე მეჩვენება, რომ ეს წარსული მხოლოდ მომავალია. ჩემი დაზიანებული "თვალი ხომ არ მიშლის მანძილის აღქმაში?

დამშრალი ნაკადულები, კლდიდან მომწყდარი ლოდები... ზამთრის სუსხიანი ქარი დაღმუის მიტოვებულ ქუჩებში. იქ, სადაც ზაფხულში პაპანაქებაა და ალმური ასდის მიწას, ახლა სულიერის ჭაჭანება არაა, სიცარიელეა, სიცარიელე...

მაგრამ მაინც ვერაფერი, ვერაფერი დამარწმუნებს, რომ ყველაფერი გათავდა. სადღაც აქვე, მახლობლად, სიცოცხლე გრძელდება. ნილოსი ისევ მიედინება, ცისფერი ალკვიონი მის ზემოთ ზეცაში დანავარდობს, მიწა წელიწადის ოთხ დროს მწყობრად ჩაითვლის...

თუ ჩვენი გულისთქმა, ბუბასტოს, მხოლოდ ჩვენი წიაღიდან იყო ამოხეთქილი, ის სხვათა გულისყურამდე ვერ მიაღწევდა, ვერ წარმოაჩენდა სამყაროს ეხნატონის თვალთახედვით. წარღვნა იქნებოდა, გაჩანაგება თუ ღამის წყვდიადი, მისთვის ცხოველმყოფელი

მზე მარად აღორძინებადი იყო. მისთვის, რომელიც არც დიდებას ელტვოდა და არც პატივს, იმედის პაწია ნაპერწკალიც კი ნაბიჯი იყო სასოებისკენ.

ოცნება ამ ქალაქზე, რომლის ნანგრევებს კვლავ ვდარაჯობ ფხიზელი თვალით და ბოლომდე არ მივატოვებ, ზურგს არ შევაქცევ, ოდესმე ფრთებს შეისხამს".

ეს ხელნაწერი დღეს დასრულდება.

ნეფერტიტიმ ორმოც წელს გადააბიჯა. აღსასრულის მოლოდინში იგი თვალს მიეფარება. მოგვიანებით ვიპოვი მის ცხედარს ქვებში, მისი ქალაქის ნანგრევებში. მერე ურიცხვ სტუმართა მოლოდინში ვიქნები. მათ მოიზიდავს დედოფალი, ის, ვინც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ მიატოვა მკვდარი ქალაქი. თუ ამ სტუმართაგან ვინმესადმი ნდობით განვიმსჭვალები, ჩავაბარებ ამ მოგონებებს. თუ არა და, ჩავფლავ სიმედო ადგილას იმ იმედით, რომ მომავალში გათხრებისას წააწყდებიან.

ფიქრიც კი მაკრთობს, რა მოუვა ამ პაპირუსებს საუკუნეთა მანძილზე, როდესაც მრავალი გადამწერის ხელში გაივლის. მე, ჩემი მხრივ, ვუერთგულე ჩემს მეხსიერებას და იმას, რასაც მკარნახობდნენ. მაგრამ განა შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და დავიფიცო, რომ ნეფერტიტის ნაკარნახევის ჩაწერისას არ გამეპარა რაღაც ჩემეული?

დროს მივანდოთ ამისი მსჯავრი.

მე კი ვამთავრებ დ ხელს ვაწერ: „ბუბასტოსი, ძე ამენოსი, ფრიად განაფული კალმოსანი".

პატივს მოგაგებ, მამავ ჩემო მშობელო, რომ მე, ცულლუტს, ხელში ლერწამი დამაჭერინე. თვინიერ

ამისა ვერასოდეს გავხდებოდი ღირსი, ყური მეგდო ეხნატონისთვის, რომლის სულისკვეთების მსგავსი კაცი ქვეყნად ჯერ არ დაბადებულა!

დღეს, ჰორემჰების მეფობის მეორე წლის ბოლო სეზონში, რომელსაც მოსავლის აღების ჟამსაც ეტყვიან, ეს ხელნაწერი საბოლოოდ დასრულებულ არს.

დაახლოებითი ქრონოლოგიური მაჩვენებელი

1388 ქრისტეშობამდე: დაიბადა ნეფერტიტი.
1387: დაიბადა ამენოფის IV (ეხნატონი) – ამენოფის III-ისა და დედოფალ თიიას ვაჟი.
1371: ამენოფის IV-ისა და მისი მამის თანამმართველობა.
1370: გარდაიცვალა ამენოფის III.
1370: დაიბადა სემენხარე – ამენოფის III-ის ვაჟი.
1369: დაიბადა ნებხერე (ტუტანხამონი) – ამენოფის III-ის ვაჟი.
1369: ეხნატონი და ნეფერტიტი თებედან მიდიან იმედის ქალაქისთვის ადგილის შესარჩევად.
1368: დაიბადა უფროსი ქალიშვილი მერეთი – სემენხარეს მომავალი მეუღლე.
1367: დაიბადა მეორე ქალიშვილი მეკეტი.
1366: დამთავრდა იმედის ქალაქის მშენებლობა.
1366: დაიბადა მესამე ქალიშვილი ანხესი – ტუტანხამონის მომავალი მეუღლე.
1362: დედოფალი თიია პირველად ესტუმრა იმედის ქალაქს.
1360: დაიბადა მეოთხე ქალიშვილი ბაკეტი.
1358: დაიბადა მეხუთე ქალიშვილი ნეფერი.
1358: გარდაიცვალა მეკეტი.
1357: დაიბადა მეექვსე ქალიშვილი სეტეპი.
1355: გრდაიცვალა დედოფალი თიია.
1355: ეხნატონის და მისი სიძის – სემენხარეს თანამმართველობა.
1354: გარდაიცვალა ეხნატონი.
1354-1347: ტუტანხამონის მეფობა.
1347-1327: მხედართმთავარ ჰორემჰების მეფობა.
1347: იმედის ქალაქის დანგრევა.
1345: დაიწყო ეს ჟამთააღწერა.
1344: (სავარაუდოდ) გარდაიცვალა ნეფერტიტი.